# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 2 ნოემბერი 1999 №210 (983) | ფასი 50 თეთრი




შაბათს „ეროვნულზე“: „თბილისი“ — „დინამო“ 0:6. დინამოელმა მიხეილ აშვეთიამ (ბურთით) სეზონის პირველი პოკერი გაახერხა

## ტორპედო 93%, დინამო 73%, კოლხეთი 70%

არაფერი შეგეშალოთ, არც „ტორპედოს“, არც „დინამოს“, არც „კოლხეთს“ არჩევნებთან არაფერი აკავშირებთ. პროცენტები კი... ზემოხსენებულ პროცენტებს რაც შეეხება, ეს არის ათი ტურის მონაცემებით გუნდების მიერ დაგროვებული ქულების პროცენტული მაჩვენებელი. მაშ ასე, „ტორპედო“ 30-დან 28 ქულა, ანუ 93 % და ასე...

მაინცდამაინც „ტორპედო“, „დინამო“ და „კოლხეთი“ კი იმად გამოვარჩიეთ, რომ ამათ უკვე გაინაღდეს რვა საუკეთესო გუნდში მოხვედრა.


მეათე ტურის მატჩების მიმოხილვა იხილეთ მეორე-მესამე-მეოთხე გვერდებზე


საქართველოს 11 ჩემპიონატი

## 10 ტური

### «ა» ზონა

29 ოქტომბერი, პარასკევი

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი | 0 |
| სიონი | 1 |

30 ოქტომბერი, შაბათი

| | |
|---|---|
| თბილისი | 0 |
| დინამო | 6 |
| ვიტ ჯორჯია | 0 |
| ბათუმი | 0 |
| არსენალი | 2 |
| სამგურალი | 1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 10 | 7 | 1 | 2 | 22:8 | 22 |
| ვიტ ჯორჯია | 10 | 5 | 3 | 2 | 13:6 | 18 |
| სიონი | 10 | 4 | 3 | 3 | 9:12 | 15 |
| ბათუმი | 10 | 3 | 6 | 1 | 6:3 | 15 |
| ლოკომოტივი | 10 | 4 | 2 | 4 | 14:12 | 14 |
| არსენალი | 10 | 2 | 3 | 5 | 9:14 | 9 |
| თბილისი | 10 | 2 | 3 | 5 | 17:24 | 9 |
| სამგურალი | 10 | 2 | 1 | 7 | 7:18 | 7 |

### «ბ» ზონა

29 ოქტომბერი, პარასკევი

| | |
|---|---|
| თსუ | 0 |
| მერანი | 2 |

30 ოქტომბერი, შაბათი

| | |
|---|---|
| ტორპედო | 5 |
| იბერია | 0 |
| ხობი | 5 |
| გორდა | 1 |
| კოლხეთი | 3 |
| დილა | 0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 10 | 9 | 1 | 0 | 29:5 | 28 |
| კოლხეთი | 10 | 7 | 0 | 3 | 16:11 | 21 |
| დილა | 10 | 4 | 2 | 4 | 11:16 | 14 |
| მერანი | 10 | 2 | 6 | 2 | 10:9 | 12 |
| თსუ | 10 | 2 | 4 | 4 | 5:9 | 10 |
| ხობი | 10 | 2 | 3 | 5 | 12:16 | 9 |
| იბერია | 10 | 2 | 3 | 5 | 5:15 | 9 |
| გორდა | 10 | 2 | 1 | 7 | 7:14 | 7 |

REUTERS



მიკა ჰაკინენი

## ჰაკინენი და ფერარი ჩემპიონები არიან!

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ნახევარი საუკუნე გავიდა 1950 წლის 13 მაისს ფორმულა 1-ის დაბადებიდან. იმ დღეს ინგლისის ერთ-ერთი სამხედრო აეროდრომის ასაფრენი ზოლები ავტოურჩხულების პაექრობის სარბიელი გახდა. პირველი ჩემპიონატის კალენდარში მხოლოდ ექვსი რბოლა იყო. ამჟამად კი ყოველწლიურად 16-17 ეტაპი იმართება და უამრავ სახეობათა შორის ყველაზე მარათონული ჩემპიონატიც მთელი რვა თვე გრძელდება.

სამეფო რბოლების ისტორიაში გუშინწინ 21-ედ მოხდა, რომ სეზონის გამარჯვებული ბოლო რბოლამ დაასახელა, ამასთან, ზედიზედ მესამედ.

ბედი გვაქვსო, იაპონური ეტაპის ორგანიზატორებს ეთქმით. ამომავალი მზის ქვეყნის დიდი პრიზი სულ 15-ჯერ გათამაშდა და აქედან 9-ჯერ სწორედ იქაურ ტრასებზე გაირკვა იმ წლის ტრიუმფატორის ვინაობა. ასეთი მუდმივი საჩემპიონო ინტრიგის მიზეზით რბოლებს მუდამ სარეკორდო აუდიტორია — თითქმის 150 000 მაყურებელი ჰყავს.

გუშინწინ „სუძუკაზე“ ირვინ-ჰაკინენის წლევანდელ სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებას დაესვა წერტილი.


იხილეთ მეთერთმეტე გვერდი


# ფრანგული რევოლუცია

## ფრანგებმა მთელ ახალ ზელანდიას შავი დღე გაუთენეს: ნაქები «შავები» 43:31 დაუჩაგრეს


იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი


REUTERS



რიშარ დურთის ამ მართლაც ულამაზესმა ლელომ ახალზელანდიელები საბოლოოდ გატეხა

საქართველოს ჩემპიონატი **10 ტური**

# ვიცია თუ არვიცია?


ბადრი კილასონიას ფოტო

კობა წიტაიშვილს (№9) „თბილისის" მეკარე ჩიხრაძის კარში პირველი გოლი გააქვს

| |
|---|
| თბილისი |
| 30 ოქტომბერი |
| 16 საათი |
| ეროვნული |
| 1 500 (ტევადობა 75 000) |
| **თბილისი 0:6 დინამო** |
| 0:1 წიტაიშვილი (25), 0:2 აშვეთია (32), 0:3 ალექსიძე (54), 0:4, 0:5, 0:6 აშვეთია (70, 80, 83) |
| **თბილისი:** ა. ჩიხრაძე, მაჭავარიანი, ქემოკლიძე (ტყებუჩავა 78), აბრამიძე (ჩივაძე 78), ო. გველესიანი, კვარაცხელია, ი. შენგელია, ბურდული, ვ. გაგუა, ლ. მელქაძე, ისიანი (ნორაკიძე 46) |
| *სათადარიგო:* ბათიაშვილი |
| **დინამო:** გრიშიკაშვილი, ხიზანეიშვილი, გუჩუა, ბ. ჯინჭარაძე, სიჭინავა, ა. სახვაძე (შაშიაშვილი 61), ალექსიძე (ს. გიგიაძე 72), ი. ვაშაკიძე, ანჩაბაძე (ვ. გიგიაძე 69), წიტაიშვილი, აშვეთია |
| *სათადარიგონი:* დონდტი; გ. შენგელია |
| **გაფრთხილება:** აბრამიძე (72) |
| **მსაჯები:** დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), ვ. ცირდავა (გულრიფში); ა. ნონიკაშვილი (თბილისი) |
| **სფფ-ის დელეგატი:** გ. ფირცხალავა |

**კონსტანტინე გოგიშვილი**

როგორ ფიქრობთ, რა სარგებლობა მოაქვს ფეხბურთს? ან საერთოდ რა არის ფეხბურთი? ისიც საკითხავია, რატომაა ხალხში ეგზომ პოპულარული ინგლისელების მიერ გამოგონილი ეს თამაში?

ვერაფერს გეტყვით, არც აქამდე ვიცოდი, არც ახლა ვიცი და არც ის მგონია, აწი გავიგო რამე. მე კი არა, ფეხბურთი მთლად კარგად, მგონია, თვით ჯოვანი ტრაპატონიმაც არ იცის. აბა, რა ამბავია „ფიორენტინას" ამდენი ხნის ვერ (თუ არ) გამარჯვება?!

ჰოდა, იმან თუ არ იცის, დიდმა და ბებერმა ტრაპიმ, რატომ უნდა ვიცოდე მე, ანაც დავუშვათ, თბილისის დინამოელებმა?

მოდი და გაიგე, ორიოდე თვის წინ კინალამ რატომ წააგო თბილისის „დინამომ" „თბილისთან" მატჩი და ახლა, იმ კინალამ წაგებული მატჩიდან ორი თვის მერე, რით და როგორ გაუტანა ექვსი მშრალი ბურთი „უმცროს ძმებს"? არც ეს ვიცი და კითხვებს თუ გამოვეკიდეთ (ბურთს ვდიოთ, სჯობს), იმდენი პასუხგაუცემელი დაგვიგროვდება... „ეროვნულის" ტაბლოზე ნამდვილად არ დაეტევა და თუ სადმე უფრო დიდი გეგულებათ (ტაბლო), გვამცნეთ, ბატონო!

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, „ვიცის" მეგობრები ვართ თუ „არ ვიცისა", ისე ძალდაუტანებლად და ერთი ამოსუნთქვით მოიგო „დინამომ", „პსვ" — „ეინდჰოვენი" რომ იგებს-ხოლმე ჰოლანდიაში და აშვეთიამაც ოთხი იმისთანა მიაყოლა ერთმანეთს (ესეც ქართული პოკერი), „ეინდჰოვენელივე" რუუდ ვან ნისტელროი პროფესიული შურით გასკდებოდა.

ერთსაც ვიტყვი „დინამოს" მეგოლეზე — აშვეთიას თავით თუ ფეხით გატანილი გოლები მეტად და მეტად მადისაღმძვრელი იყო და დრო რომ ჰქონოდათ, უეჭველია, არჩევნების მომლოდინე პოლიტ-ბლოკები ერთმანეთს დაასწრებდნენ პარტიულ სიებში მის შეყვანას (სხვა თუ არაფერი, ათასიოდე ხმას მაინც მიიმატებდნენ და ესეც საქმეა).

რაც შეეხება მატჩს, „პატარა თბილისელებმა" პირველი ათიოდე წუთი იაქტიურეს მხოლოდ და მეორე დინამოელთა შეტევების ყურებასღა სჯერდებოდნენ. ხანდახან (ორივე ტაიმის მსვლელობისას) მელქაძეს ან გაგუას ყირჭდებოდათ მარადი ჩემპიონის ცქერა და თუ მელქაძე საჯარიმოში შეჭრას ცდილობდა ერთთავად, გაგუამ ორჯერ (ერთი ჯარიმიდან) იმგვარი დააშხუილა, მაყურებლის მოწონებული.

მეტოქის „გამოხდომების" მიუხედავად, წიტაიშვილი, ალექსიძე და აშვეთია მეთოდურად ავსებდნენ „თბილისის" კარს გოლებით. სანამ გაშვებული გოლების რაოდენობა სამს მიაღწევდა, „თბილისის" რუსულმოუბარი მეკარე ჩიხრაძე შედარებით წყნარად იყო. მერე და მერე, როცა გოლებმა იმრავლეს (ვითარცა სარა და იაკობ), გვარიანად (როგორც ქართულ ტემპერამენტს ეკადრება) გაბრაზდა და ერთი ორჯერ იმგვარად გამოენთო თავის მცველებს... ამიტომ თუ იყო, მატჩის ბოლოსთვის „თბილისის" დამცველები რაც შეიძლებოდა ერიდებოდნენ საკუთარ საჯარიმოში შესვლას და აშვეთია და ძმანი მისნიც როგორც ბიულეტენებს საარჩევნო ყუთში, ისე ყრიდნენ ბურთებს ჩიხრაძის კარში.

სულო ცოდვილო, მსაჯებს ხელი ფეხბურთელებისთვის არაფერში შეუშლიათ. სანაია და მისი კოლეგები წყნარად, ზედმეტი, სტვენისა და ნერვიულობის გარეშე მსაჯობდნენ, ხელოვნურ თამაშგარეებს, ჯარიმებს და გოლებს ობიექტურად აფიქსირებდნენ და მატჩის კომისრის ქებაც დაიმსახურეს. უეჭველად ქებას დაიმსახურებდა „დინამო", ვერაფერს გეტყვით, რა უთხრეს მწვრთნელებმა „თბილისს", მაგრამ მატჩის შემდეგ ორიოდ კითხვა კიდევ დამებადა და ერთს ახლა ვიკითხავ.

რატომ უნდა წააგოს „თბილისთან" „დინამომ"? „თბილისი" ხომ „დინამოს" ფარმკლუბია (ფაქტობრივად). ეს დაახლოებით იმას ემგვანებოდა, „მოქალაქეთა კავშირს" რომ თავის დაფრთიანებულ არწივებთან არჩევნები წაეგო. ჰოდა, რატომ?

არ ვიცი, არ ვიცი და ამიტომ ძველს, ქართულს და ბრძნულს (ღვინო არ გეგონოთ) მოვიშველიებ — ზოგი ვიცის, ჰკითხეთ, ზოგიც — არვიციას.

მე მარტო ერთი ვიცი — „დინამომ" მოქალაქეთა კავშირივით მოიგო (უფრო მაგრადაც).

# ტორპედო, სრული სვლით!

| |
|---|
| ქუთაისი |
| 30 ოქტომბერი |
| 16 საათი |
| ტორპედო |
| 3 000 (ტევადობა 23 800) |
| **ტორპედო 5:0 იბერია** |
| 1:0 იონანიძე (5), 2:0, 3:0 ჯანაშია (18, 57), 4:0, 5:0 იონანიძე (60, 72) |
| **ტორპედო:** ქანტურია, შეყრილაძე, თურმანიძე, ხვადაგიანი (ამისულაშვილი 65), მალლაკელიძე, ჩხეტიანი, კ. კვეტენაძე, ვაჩიბერაძე (იმედაძე 61), დ. ჯანაშია, მეგრელაძე (ასათიანი 46), იონანიძე |
| *სათადარიგონი:* სტურუა; მახვილაძე, ვ. მაისურაძე, ბობოხიძე |
| **იბერია:** ვარდანიძე, კ. მეტრეველი (ოდიკაძე 62), ნიკოლეიშვილი, გეგეშიძე, მიქელთაძე, ბიწაძე (ცომაია 81), მ. ჯინჭარაძე, ხმალაძე, გ. ლურსმანაშვილი, დარსაძე (ივეჩიანი 36), ზ. მეტრეველი |
| *სათადარიგონი:* ა. ჩომახიძე; მუმლაძე, ლ. გიორგაძე, ჟვანია |
| **გაფრთხილება:** გეგეშიძე (36) |
| **მსაჯები:** ა. მეშკოვი; მ. ურუშაძე (ორივე თბილისი), კ. მესხი (ზუგდიდი); ა. გუნთაძე (ლანჩხუთი) |
| **სფფ-ის დელეგატი:** ბ. ქარქაშაძე |

**იუზა კაციტაძე** ქუთაისიდან

ტორპედოელებმა წინა ტურში, მოგეხსენებათ, „დილას" აწყევლინეს თავბედი, მისსავე მოედანზე, გორში უსასტიკესი მარცხი აგემეს. ამჯერად კი ქუთაისელებმა მეზობელი სამტრედიელებიც შეიწირეს, „იბერიაც" წყალს გაატანეს, მასაც ხუთი უპასუხო ბურთი გაუტანეს და, წინასწარ ვიტყვით, სტუმრები კიდევ იოლად გადარჩნენ, „ტორპედოს" ორნიშნა ანგარიშითაც შეეძლო ამ თამაშის მოგება. დიახ, „იბერია" თავიდანვე იყო განწირული, ვინაიდან ცხადზე უცხადესი გახლდათ, საჩემპიონო ბილიკს შემდგარ დავით ყიფიანის შეგირდებს ვერაფერს დაუპირისპირებდა.

მასპინძლებს სულ ხუთი წუთი დასჭირდათ ანგარიშის გასახსნელად. გოლი სწრაფ და ლამაზ კომბინაციას მოჰყვა. ჩხეტიანმა ცენტრიდან მარჯვენა ფლანგზე ზუსტი გადაცემით დავით ჯანაშია ჩართო შეტევაში, ამანაც, როგორც სჩვევია, სიჩქარე აკრიბა, გვერდიდან მიუახლოვდა საჯარიმოს და ჩაწოდებაც არ დააზანა. საჯარიმოში კი იონანიძემ იმარჯვა, მალალ ბურთს ნახტომში უმალ შეაგება თავური და ზუსტადაც.

დაწინაურებულებმა შეტევას შეტევა მიაყოლეს და უმძიმეს დღეში ჩააგდეს მეტოქე. სტუმრებს გადაუჭრელ პრობლემად ექცად ჯანაშიას და იონანიძის შეჩერება. არა, გარჯას ვერც დანარჩენ ტორპედოელებს დაუწუნებდით, მაგრამ ეს ორი მაინც შეუდარებელი იყო მოედანზე. გააწამეს, მარა რა გააწამეს „იბერიას" დაცვა. მე-18 წუთზე იონანიძემ ჩინებული ფარული პასით მეკარესთან პირისპირ დატოვა ჯანაშია და ამანაც ...ღელვებლად გაარა.

„ტორპედოს" არც ამის შემდეგ შეუნელებია ტემპი. თამაში მთლიანად „იბერიას" ნახევარზე მიმდინარეობდა და სტუმართა კართან საგოლე მომენტებიც მრავლად შეიქმნა, ეგ იყო, პირველ ტაიმში მასპინძლებმა მეტი ველარ გამოიყენეს. არადა, აშკარად შეეძლოთ. ჯანაშიამ ორჯერ დაუგვიანა გადაცემა გასატანად გამზადებულ მეგრელაძეს, ხოლო ჩხეტიანის სახიფათოდ დარტყმული ჯარიმის შემდეგ ვარდანიძემ კარის დაბალ კუთხეში მიუსწრო ბურთს. 37-ე წუთზე კი ისევ სამტრედიელთა მეკარემ იმარჯვა, მასთან პირისპირ დარჩენილ კვეტენაძეს აჯობა.


მამუკა დარჩია ქუთაისიდან

სამტრედიელთა მეკარემ ოთარ ვარდანიძემ ტორპედოელ გიორგი მეგრელაძეს არ გაატანინა

გატანა, აბა, ვის არ უნდა, მაგრამ ტორპედოელთაგან თუ ვინმეს ეწადა ამ მატჩში თავის გამოჩენა, ეს მეგრელაძე გახლდათ. ძალიან სურდა გიორგის ვაჟის დაბადებას (მამის საპატივცემულოდ მერაბი დაარქვა) ერთი გოლი მაინც მიეძღვნა, მაგრამ საამისოდ ერთი ტაიმი არ ეყო, მეორესთვის კი დავით ყიფიანმა იგი მალხაზ ასათიანით შეცვალა, რომლისთვისაც ეს „ტორპედოში" სადებიუტო თამაში გახლდათ და, უნდა ითქვას, ყმაწვილი სხვებზე ნაკლებად არ გარჯილა, უნარიანად მოქმედებდა ნახევარდაცვაში.

თამაშის ხასიათი არც შესვენების შემდეგ შეცვლილა. მასპინძლებმა კვლავაც რიხიანად ითამაშეს და კიდევ სამჯერ დაამწუხრეს მეტოქე. ჯერ ჯანაშიამ გააკეთა დუბლი, ჩხეტიანის გადაცემის შემდეგ ვარდანიძესთან ერთი ერთზე გავიდა და ისევე როგორც პირველი, მეორეც დინჯად გაუტანა მეკარეს. ჰო, ჯანაშიამ დუბლი იკმარა და... იონანიძისათვისაც მოიცალა, პარტნიორს ჰეთ-თრიქი შეასრულებინა. იონანიძის მეორე და მესამე გოლები ძალიან ჰგავდა ერთმანეთს. ორივე ჯანაშიას მარჯვნიდან ჩაწოდებულებს მოჰყვა. ჯერ იყო და ზურაბმა 15 მეტრიდან შეუჩერებლივ უძლიერესი დარტყმა მიაყოლა პარტნიორის გადაცემას და ბურთი ხარიხას ქვეშ გაჭედა, მეორედ კი თითქმის იმავე ადგილიდან, ოღონდ დაბალ კუთხეში გაგზავნა ზუსტად.

ზემოთაც ვთქვით, „ტორპედოს" უფრო დიდი ანგარიშით შეეძლო ამ თამაშის მოგება. ალბათ, ასეც მოხდებოდა, ვაჩიბერაძეს ძელისთვის რომ არ გაერტყა, თანაც იმედაძის, ჩხეტიანის, იმავე იონანიძის დარტყმულებს ვარდანიძე რომ არ აღდგომოდა წინ და კვეტენაძესაც არ აეცილებინა ხელსაყრელი პოზიციიდან.

# ვინ არის ძლიერი?

მცხეთა
30 ოქტომბერი
16 საათი
არმაზი
700 (ტევადობა 3 000)

**ვიტ ჯორჯია 0:0 ბათუმი**

**ვიტ ჯორჯია:** მამარდაშვილი, საჯაია, ჭანკოტაძე, თოდუა, კოტორაშვილი, ზ. გვაზავა, დ. ნოზაძე, ჯ. მუჯირი, ყიფიანი, ა. ბოკერია, რ. გოცირიძე
*სათადარიგონი:* ჭურაძე; ბარქაია, მაზიაშვილი, დილმელაშვილი, ვლ. გოჩაშვილი, დ. დოლიძე
**ბათუმი:** ტოგონიძე, პაპიძე, არჩვაძე (ტულუში 46), მ. მახარაძე, შ. ხუჯაძე, მინდაძე, კობიძე (რომანაძე 80), ი. მახარაძე, მაჭუტაძე, გელა ქორიძე, აფხაზავა (ა. მუჯირი 75)
*სათადარიგონი:* ვარშანიძე; ქაცარავა, გადელია, თედორაძე
**გაფრთხილება:** არჩვაძე (20)
**გაძევება:** პაპიძე (71)
**მსაჯი:** თ. ლაცაბიძე (სურამი); მ. ელიკაშვილი, ზ. დოლიძე, დ. ხარიტონაშვილი (ყველა თბილისი)
**სფფ-ს დელეგატი:** ა. ბაჩუკაშვილი

**მამუკა კვანტალიანი მცხეთიდან**


ირაკლი ნიკოლაძის ფოტო

ბათუმელი პაატა მაჭუტაძე (№9) ვიტელ გიორგი ყიფიანს გაექცა

ვინ უფრო ძლიერია, თბილისური „ვიტ ჯორჯია“ თუ „ბათუმი“? ჩემპიონატის პირველმა ნახევარმა ამ კითხვას პასუხი ვერ გასცა.

პირველ წრეში ამ გუნდების ბათუმური მატჩი ფრედ 0:0 დასრულდა. ასევე უგოლო ფრე დაფიქსირდა შაბათს, მცხეთაში. ასე რომ, ორი გუნდის დუელმა ჯერჯერობით შედეგი ვერ გამოიღო, თუმც დარწმუნებულები ვართ, ბრძოლა მათ შორის კიდევ გაგრძელდება და უფრო დაიძაბება.

„ბათუმი“ გამოცდილი გუნდია, ამაში საკამათო არაფერია, მაგრამ ბოლო წლებთან შედარებით მათი თამაში პირველად ექვემდებარება საფეხბურთო სქემებს. ბათუმელები გააზრებული, დალაგებული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებენ.

არა, კარნევალეს კიდევ ბევრი ოფლისღვრა მოუწევს, რათა ჩანაფიქრი სისრულეში მოიყვანოს, თუმც პროგრესიც აშკარად სახეზეა.

ბათუმელთა მწვრთნელის ქმედებიდან ჩანს, რომ ფეხბურთელები დავალებებს ბოლომდე ვერ უსრულებენ. ყველანაირ და ყველას ხმას ფარავდა მცხეთაში იტალიელის ყვირილი (რა თქმა უნდა, ბოსკამპის ღრიალს ვერ შეედრებოდა). არ დარჩენია გუნდში ფეხბურთელი, შენიშვნა არ მიეცა, მხოლოდ ნიკა ტოგონიძის მისამართით არ გამოუთქვამს პრეტენზია.

და კიდევ, მსაჯის ქმედებები არ გაუპროტესტებია კარნევალეს, ხოლო ფეხბურთელებმა ნერვები ვერ დაიოკეს. ლაცაბიძემ ერთხელ ვერ ჩასტვინა ისე, სტუმარ მოთამაშეებს არ გაეპროტესტებინათ. პაპიძემ სულაც ისეთ ხმაზე შეაგინა არბიტრს დედა, წითელი ბარათი და გაძევებაც დაიმსახურა.

სხვა მხრივ ყველაფერი რიგზე იყო. „ბათუმს“ მოგებაც შეეძლო, მაგრამ „ვიტ ჯორჯიას“ და მეკარე მამარდაშვილს ვერაფერი მოუხერხა.

რატომ ვერ მოიგეს ვეტერინარებმა, მათ ხომ სათამაშო უპირატესობა ხელთ ეპყრათ და საგოლე მომენტებიც შექმნეს სტუმართა კართან?!

ვიტელებს, პირველ რიგში, გამოცდილება არ ეყოთ და ერთი მეგოლეც არ აწყენდათ. მონდომებას, ინიციანობას და ფიზიკურ მომზადებას კი, ეროვნული ჩემპიონატის პირობებში, ვერავინ დაუწუნებს.

მთელი ორი ტაიმი დაძაბულად და ხისტად მიმდინარეობდა. მასპინძლებმა სტუმართა კარში გაცილებით მეტჯერ დაარტყეს. უმრავლეს შემთხვევაში ბურთი მიზანს ასცდა, ხოლო ორჯერ ტოგონიძემ ითამაშა შესაშურად.

ცხადია, ყველა სახიფათო მომენტის აღწერას არ შევუდგებით, არცთუ მრავალთაგან მხოლოდ სამი მათგანი შევარჩიეთ. მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა ბათუმელი ქორიძე მარჯვენა ფლანგზე გაიჭრა და საჯარიმოში ჩააწოდა. ნოზაძე ბურთს ველარ შესწვდა და ტულუშიც მეკარის წინ მარტო დარჩა. მისი ძლიერად დარტყმული მამარდაშვილმა მოიგერია. იმ წუთს სტადიონზე მყოფთაგან, ვერავინ გეტყოდათ, როგორ მოახერხა მეკარემ მასპინძელთა გუნდის გადარჩენა. ეს სასწაულის ტოლფასი იყო.

ცოტა ხანში მსგავსი მომენტი სტუმართა კართან შეიქმნა. ნოზაძემ ტოგონიძის წინ ეულად მყოფი ბოკერია მოძებნა და ბურთიც ფეხზე დაასვა, მაგრამ ბოლო დარტყმა აჩიკომ ხარიხას გადააცილა.

მატჩი მთავრდებოდა, როცა მოედანზე ახალშემოსულმა რომანაძემ, ასევე შეცვლაზე შემოსული ამირან მუჯირი გაიყვანა გარღვევაზე. ბათუმელი საჯარიმოს მიუახლოვდა თუ არა, ბურთი ძლიერად მარცხენა დაბალ კუთხეში გაგზავნა. იგი ძელს მოხვდა და რომანაძეს მიუვიდა. მამარდაშვილმა, რომელიც მუჯირის დარტყმულს ვერ შესწვდა, წამოდგომაც მოასწრო და რომანაძის დარტყმული მოიგერია.

ბოლოს ლაცაბიძემაც ჩასტვინა და „არმაზზე“ ის შედეგი დაფიქსირდა, რომელიც მაინცდამაინც არც სტუმარს აძლევდა ხელს და არც მასპინძელს.

# არმია ფერზე მოვიდა

თბილისი
30 ოქტომბერი
16 საათი
ისანი
150 (ტევადობა 3 000)

**არსენალი 2:1 სამგურალი**

0:1 კოხრეიძე (33), 1:1, 2:1 გონჩაროვი (50, 73)
**არსენალი:** ჩლაიძე (კუპატაძე 46), ირემაშვილი, ასპინძელაშვილი, ლაცაბიძე, ვახტანგ გაგუა, აბაზაძე, ხოსროშვილი (კვირკველია 70), თარგამაძე, გონჩაროვი, კაკაშვილი (გ. ჩალაძე 82), გ. სულაძე
*სათადარიგონი:* ყუფარაძე, ცოტაძე, ყოლბაია, რობაქიძე
**სამგურალი:** ბოდოკია, ჭყონია, ფრანგიშვილი, ჭელიძე, ვოსკანოვი, ძაგნიძე, კოხრეიძე, ი. ხაჭაპურიძე, ძოძუაშვილი, ზ. ფხაკაძე (ზ. ქუთათელაძე 78), ლონლაძე
*სათადარიგონი:* ო. ბობოხიძე; სადილიანი, ნებიერიძე, გაბლაია, ლ. ქობულაძე
**გაფრთხილება:** ჭელიძე (3), ხოსროშვილი (18), ჩლაიძე (33), კოხრეიძე (44), ფხაკაძე (71), კუპატაძე (90)
**მსაჯები:** ს. კახიანი (თბილისი); გ. ასკაროლი (ქარელი), ზ. მენთეშაშვილი (თბილისი); ლ. სილაგავა (თბილისი)
**სფფ-ის დელეგატი:** გ. ფირცხალავა

**გიორგი ვაშაკიძე**


ნუგზარ კეთილაძის ფოტო

არსენალელი აკაკი კაკაშვილი (№10) მეურვის მოტყუებას ცდილობს

წინა ტურში ეროვნულზე „დინამოსთან“ ფრედ 1:1 ნათამაშევი მატჩის შემდეგ ყველას ეგონა, რომ არმიელებს წყალტუბოს „სამგურალი“ ბდღვნად არ ეყოფოდათ. არა, შაბათს „არსენალმა“ იმერლებს მოუგო, მაგრამ არა ისე, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდა.

თბილისელები მოგებას ბორის გონჩაროვის ორ მადლიან თავურს უნდა უმადლოდნენ, თორემ სტუმრებს ვინძლო სამი ქულაც კი გაეყოლებინათ ხელთ.

„სამგურალი“ უკვე 33-ე წუთზე დაწინაურდა, როდესაც შალვა ფრანგიშვილმა მოედნის თავისივე ნახევრიდან ჩინებული პასი მიაწოდა ირაკლი კოხრეიძეს, შარშან სწორედ არმიელთათვის რომ ირჯებოდა. თბილისელები ხელოვნური თამაშგარეს შექმნისას შეცდნენ, მცველმა დროზე ამოსვლა ვერ მოასწრო და კოხრეიძეც ჩლაიძესთან პირისპირ დარჩა. მეკარე მის შესახვედრად კარიდან კი გამოვიდა, მაგრამ ნახევარმცველმა აუღელვებლად, იოლად გაუტანა — 0:1.

პირველ ნახევარში აღსანიშნავი არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთლით ვოსკანოვის შორიდან დარტყმულ ბურთს, რომელიც ჩლაიძემ ცალი ხელით კარს ზემოთ იოლად გადააგდო. საერთოდ, თბილისელთა მეკარე ერთობ ნერვიულობდა და არბიტრ სოსო კახიანს ყვითელი ბარათიც დასტყუა, როდესაც კოხრეიძემ გოლი გაიტანა, მან სიმწრისაგან ბურთი მოედნის გარეთ ისროლა. „არსენალის“ მწვრთნელს, მამუკა გეგეჭკორსაც რაღა დარჩენოდა, შესვენებაზე ჩლაიძე ახალგაზრდა კუპატაძით შეცვალა და ზვიადმაც გაუმართლა. რომ არა „არსენალის“ გოლკიპერი, „სამგურალი“ ხამს თუ არა, ქულას მაინც წაიღებდა ავლაბრიდან. თუმცა ამაზე ქვემოთ, მანამდე კი გონჩაროვის გოლებზე ვთქვათ.

„არსენალმა“ ორივე გოლი სტანდარტული მდგომარეობიდან გაიტანა. შეხვედრის განახლებიდან 5 წუთში აბაზაძის ჯარიმიდან ჩაწოდებულს ბორის გონჩაროვი შეეგება, ყურადღებამოდუნებულ წყალტუბოელ მცველებს დაასწრო და თავურით სათადარიგო თედო ბოდოკიას გაუტანა 1:1. ამ მეკარემ ძირითადი ოთარ ბობოხიძე შეცვალა და ნორმალურადაც გაისარჯა. გაშვებულ ორ გოლშიც არ მიუძღვის ბრალი, გამოსვლებზე კი სულაც შეუცდომლად ითამაშა.

გავიდა 23 წუთი და წყალტუბოელები დაცვაში კიდევ ერთხელ შეცდნენ. სულაძემ კუთხური მოაწოდა, გონჩაროვმა სტუმართა მცველების პოზიციური შეცდომით ისარგებლა და ახლოდან უძლიერესი თავურით, აუღებელი დარტყმით მეკარეს შანსი არ დაუტოვა 2:1.

თითქოსდა „სამგურალი“ უკვე მარცხს უნდა შეჰგუებოდა, მაგრამ... სტუმრები აბობოქრდნენ, იგრძნეს, რომ ანგარიშის გათანაბრება ხელეწიფებოდათ, „ისნის“ ხრიოკ მინდორზე (მინდორი პირობითად თუ ჰქვია, საფარი ხასხასა მწვანეს მაგივრად სულ მთლად გადაყვითლებულ-გადახუნებულია) ტემპს უმატეს და ბოლო 10 წუთი დაძაბული და საამო საცქერი გახადეს. აქ კი თბილისელები ზვიად კუპატაძემ იხსნა. ტანმორჩილმა მეკარემ ჯერ მასთან პირისპირ დარჩენილ ირაკლი ხაჭაპურიძეს ჩინებული ნახტომით არ გაატანინა, მერე კი შეცვლაზე შესული ქუთათელაძეც დაამწუხრა — ორიოდ მეტრიდან თავით დაბალ კუთხეში დარტყმული იშვიათი რეაქციით კუთხურზე გადააგდო.

მამუკა გეგეჭკორის ხელი აშკარად დაეტყოთ არმიელებს, „არსენალი“ ფერზე მოვიდა.

# ტრადიციის მსხვრევა

ფოთი
30 ოქტომბერი
16 საათი
ფაზისი
700 (ტევადობა 6 000)

**კოლხეთი 3:0 დილა**

1:0 ე. გვასალია (11), 2:0 შალამბერიძე (13), 3:0 ღლანიძე (60)
კოლხეთი: მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, დავითნიძე, ქუნთელია, შალამბერიძე, კიკლიაშვილი (ჯლარკავა 83), ტრაპაიძე, ღლანიძე, ე. გვასალია (მელაძე 72), ხუჭუა (კედელაშვილი 65)
*სათადარიგონი:* ქვაჩახია; ანჯაფარიძე, ბულუხია, პაპავა
დილა: მდივანი, გ. ჩიტაია, რ. ხაჭაპურიძე, გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი, ფეხუაშვილი (სულთანიშვილი 20), თაყაძე, ციცქიშვილი, მარღიშვილი, ხორგუაშვილი, შატაკიშვილი
*სათადარიგონი:* სოლოლაშვილი; საყვარელიძე, აკოფიანი, ოლგესაშვილი, მარეხაშვილი, კარელიძე
გაფრთხილება: დავითნიძე (66)
მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); მ. ნაკაიძე (ლანჩხუთი)
სფფ-ის დელეგატი: ა. დურსუნიში

გოჩა ჯანაშია ფოთიდან

„კოლხეთმა" როგორც იქნა ნავსი გატეხა. ასე რიგ უსიამოვნო ტრადიციას ბოლო მოუღო, დაამარცხა რა ბოლო წლების უხერხული მეტოქე გორის „დილა".

გორელები მართლაც გადაულახავ ზღუდედ იქცნენ ზღვისპირელთათვის. ეს ბოლო წლებია „ფაზისზე" მასპინძლებს ერთხელაც ვერ უმარჯვნიათ მათთან, გორში ხეირზე ხომ ჯვარი წერია. ასე იყო პირველ წრეშიც, როცა „დილამ" პირწმინდად დაჩაგრა მეტოქე — 3:0.

ამ გუნდების ფოთში ჩატარებული შარშანდელი სკანდალური მატჩის დავიწყებაც არ ეგების. მაშინ ქართლელებმა თამაშით აჯობეს კოლხებს, რომლებმაც თავის მხრივ ჯოხი მსაჯებზე გადატეხეს და ცხინვალელ მსაჯს ელოევს შავი დღე აყარეს.

ეს შარშან იყო, წელს კი კოლხები უდავოდ აღმავლობას განიცდიან. ჰოდა, ამანაც განაპირობა, რომ მათ გორელთა ძლევით სრულფასოვანი რევანშიც აიღეს და ორ საგარეო მოგებას, მესამე საშინაოც ზედ მიაყოლეს.

შედეგზე რა მოგახსენოთ, მაგრამ „კოლხეთის" გარჯა მთლად შთამბეჭდავი ნაღდად არ ჩანდა. თავიდანვე დუნედ დაწყებული თამაშის ფონზე ერთგვარად ალოგიკურიც კი იყო სწრაფი გოლი. მე-11 წუთი იყო, როცა ღლანიძემ საჯარიმოში მაღალი ბურთი ჩააწოდა, იქ კი ძირითადში პირველად გამწესებულმა ელდარ გვასალიამ თავური დაჰკრა და პოზიციურად შემცდარმა მდივანმა ცხრიანში ჩაკიდებულ ბურთს ვერაფერი მოუხერხა.

მასპინძლებმა მეტოქეს გონს მოსვლა არ აცალეს ისე გაუტანეს მეორე. ორ წუთსაც არ გაევლო, ჯონი შალამბერიძემ საჯარიმოს წინა ხაზთან მყოფმა კარში რომ ძლიერად დაარტყა. გორელთა მეკარე კი კვლავაც უძლური აღმოჩნდა. ეს ორივე გოლი მართლაც ლამაზი გამოდგა.

გორელთა თავკაცმა მერაბ კოჭლაშვილმა თამაშის გამოსწორება სცადა და სულთანიშვილს უხმო მინდორზე. „დილას" თითქოს გამოცოცხლება დაეტყო, მაგრამ კარში დარტყმამდე და მითუმეტეს საგოლე მომენტამდე საქმე არც მისულა. ერთხელ იყო, ტაიმის ბოლოსკენ, როცა ხორგუაშვილს შეუქმნეს კარგი მომენტი. მან კი უწყინარ სიტუაციაში დარტყმა ვერ მოახერხა.

თამაშის განახლება კვლავ სტუმართა ოდნავი უპირატესობით აღინიშნა. განსაკუთრებით თაყაძის შთამბეჭდავი თამაშია აღსანიშნავი. ამ ბიჭმა მართლაც დაუღალავად იშრომილვაწა, მაგრამ მარტო მისი გარჯა თამაშის შემოტრიალებისთვის, ბუნებრივია, საკმარისი არ აღმოჩნდა.

„კოლხეთი" ორი გატანილი გოლის შემდეგ, ერთგვარად მოდუნებული ჩანდა და ასე იყო მეორე ტაიმშიც. თუმცა, მე-60 წუთზე სხვაობა მაინც გაიზარდა. მარჯვენა ფლანგიდან ქუნთელიას შეტევას საჯარიმოში დაბალი გადაცემა მოჰყვა. გვასალიამ ბურთი კოხტად გაატარა და საჯარიმოში შეჭრილმა ღლანიძემ მდივანს აუღებელი დაურტყა.

დარჩენილ დროში აბა ღირებული და განსაკუთრებული რა უნდა შექმნილიყო. შედეგი ხომ ცხადზე ცხადი იყო. ერთი კი უნდა ავღნიშნოთ. „კოლხეთის" წინსვლა გასაგებია, მაგრამ „დილას" კრიზისი რომ დაეწყო ეს ადვილი შესამჩნევია. კოჭლაშვილის „სინათლეზე" სადებიუტო მოგებას ორი პირწმინდა მარცხი მოჰყვა. რვა მიღებული ბურთი და არცერთი გატანილი. ასეთი რამ კი გორელებს არასდროს დამართნიათ. ადრე ამბობდნენ, „დილა" პირველი წრის გუნდია და მეორე წრეში ქულების გაფლანგვა სჩვევიაო. ეს გასაგებია, მაგრამ ჯერ ხომ ჩემპიონატის პირველი ეტაპია და ოთხეულში გასვლაც არ არის მთლად გარანტირებული.

# გიორგი ქინქლაძეს იორკშირიდან შეეხმიანნენ

## დერბი ქაუნთიმ ქინქლაძეს სამწლიანი კონტრაქტი და 2.000.000 გირვანქა შესთავაზა

გასულ შაბათს იორკშირში მეტად საყურადღებო შეხვედრა გამართულა. ამსტერდამის „აიაქსელი" გიორგი ქინქლაძე მოსალაპარკებლად შეხვედრია ჯიმ სმიტს, პრემიერლიგის ერთ-ერთი აუტსაიდერის — „დერბი ქაუნთის" მთავარ მწვრთნელს.

„დერბი ქაუნთიმ" მას შემდეგ დაადგა თვალი ქართველს, რაც ინგლისის პირველი დივიზიონის „შეფილდ იუნაიტედმა" განაცხადა, რომ ქინქლაძის ყიდვა მისთვის პრიორიტეტული აღარ არის. ეს განცხადება თვენახევრიანი მოლაპარაკების შემდეგ გააკეთა „შეფილდ იუნაიტედის" პრეზიდენტმა მაიკ მაკდონალდმა, როცა შეიტყო, რომ „აიაქსმა" ქინქლაძე 2,5 მილიონიდან 3 მილიონ გირვანქამდე გააძვირა. სხვათა შორის, ეს გადაწყვეტილება „აიაქსმა" მას შემდეგ მიიღო, რაც „შეფილდ იუნაიტედმა" 3 მილიონ გირვანქად გაყიდა ნახევარმცველი ლი მორისი... „დერბი ქუანთიში".



ჯიმ სმიტი

თუმცა არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც „შეფილდ იუნაიტედის" მცდელობა, ეყიდა (ან იჯარით აეყვანა) გიორგი ქინქლაძე იყო ბლეფი, ამით ინგლისელ აგენტთა ჯგუფი, რომლებთანაც გააფორმა ხელშეკრულება ქინქლაძემ, ცდილობდა, ზეწოლა მოეხდინა ამსტერდამის „აიაქსზე" ქინქლაძის ფასის დასაგდებად, რათა შემდეგ იგი უკვე სერიოზულად დაინტერესებულ კლუბს შეეძინა.

რა გამოვიდა აქედან, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია. „აიაქსი", რომელიც წლის დასაწყისში ქინქლაძეს 3,5 მილიონ გირვანქად აფასებდა, შემდეგ 2,5-ზეც თანახმა იყო, თუმცა ბოლოს მაინც 3 მილიონი გირვანქა მოითხოვა.

შაბათის შეხვედრაზე ჯიმ სმიტს არ უთქვამს, რამდენს გადაუხდის „აიაქსს". მან ქინქლაძეს 3-წლიანი კონტრაქტი და ამ დროის განმავლობაში ანაზღაურ ბის სახით 2 მილიონი გირვანქა შესთავაზა. SKY-ის ცნობით, ქინქლაძე სმიტს დათანხმდა. „დერბი ქაუნთი" 1999 წლის იანვრიდან მოყოლებული მეექვსე ინგლისური კლუბია („ევერტონის", „ლიდსის", „მანჩესტერ სიტის", „ბრედფორდის", „პორტსმუთის", „შეფილდ იუნაიტედის" შემდეგ), რომელმაც ქინქლაძის გადაბირების სურვილი გამოთქვა. ჯერჯერობით უცნობია „ქაუნთის" თაობაზე „აიაქსის", „შეფილდ იუნაიტედისა" და თავად ქინქლაძის საჯარო მოსაზრებები.

„დერბი ქაუნთი", რომელიც ვარსკვლავებს არასდროს წყვეტდა ინგლისურ ფეხბურთში, ახლაც სერიოზულ კრიზისს განიცდის. სმიტის გუნდმა წლევანდელ სეზონში ტრანსფერებზე 9 მილიონ 750 ათასი გირვანქა დახარჯა. იყიდა მორისი „შეფილდ იუნაიტედიდან", არგენტინელი ფუენტესი, ენდი ოაკერი და სეტ ჯონსონი „ქრიუდან". ამის მიუხედავად, გუნდს ბოლოდან მე-5 ადგილი უჭირავს და პირველ დივიზიონში გავარდნის რეალური კანდიდატია.

მართალია, ბოლო ტურში „დერბიმ" წმინდა ინგლისურად „ჩელსის" 3:1 გადაურბინა, ნოემბერში იორკშირელებს ნამდვილი ჯოჯოხეთი ელით. 6-ში სმიტის გუნდი სტუმრად „ლივერპულს" ხვდება, 20-ში „მანჩესტერ იუნაიტედს" იღებს, 28-ში „უემბლიზე" „არსენალს" ესტუმრება. 4 დეკემბერს კი „ლიდსთან" ელის შეხვედრა. დამკვირვებლები ამ ოთხი ტურის შემდეგ „დერბის" პოტენციურ ბოლოადგილოსანად რიცხავენ.

ინგლისური მედია ქინქლაძეს ფრანჩესკო ბაიანოს შემცვლელად მიიჩნევს, რომელსაც სმიტთან კონფლიქტი ჰქონია და „ქაუნთის" დატოვებაზე ფიქრობს. გუშინ კი „დერბიმ" წამოიწყო მოლაპარაკებები „გლაზგო რეინჯერსთან", 1,5 მილიონ გირვანქად სახელგანთქმული შოტლანდიელის კოლინ ჰენდრის გადასაყვანად.

სიმონ მენაბდე

# ვინ ვის ურტყამდა...

ხობი
30 ოქტომბერი
16 საათი
კოლხეთი
2 500 (ტევადობა 12 000)

**ხობი 5:1 გორდა**

0:1 ინასარიძე (17), 1:1 ხურცილავა (36პ), 2:1 ჭიჭინაძე (42), 3:1 ჩიტაია (44), 4:1 ჭიჭინაძე (62), 5:1 ტყებუჩავა (90)
ხობი: ბაბუაძე, ონიანი, ზ. კვეკვესკირი, ალანია (ჯამბურია 60), ზურაბ აიანადი, ხურცილავა, გოგიტაძე, ლ. გვაზავა, ლ. ბუკია (ტყებუჩავა 69), ჭიჭინაძე, ჩიტაია (დანელია 64)
*სათადარიგონი:* ნიქაბერიძე; ზაზა აიანადი, ვართაგავა
გორდა: მ. ქორიძე, მჭედლიძე, ბექაური, ინასარიძე, გაბელაია, ვ. კილასონია, თელიაშვილი, მ. სახვაძე, ა. ბუკია (მიშველაიძე 27, ბაჩილავა 46), კიტეიშვილი, ლ. ალადაშვილი
*სათადარიგონი:* გონგაძე; ჩიტაური, ბერიძე
გაფრთხილება: ბექაური (23), ინასარიძე (30), მჭედლიძე (75), ბუკია (51), ალანია (54), აიანადი (57), გვაზავა (70)
მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი)
სფფ-ის დელეგატი: ნ. კაკულია

თენგიზ ძოწუა ხობიდან

ეს მატჩი ორივე გუნდისთვის პრინციპული იყო. ცხრილის ფსკერზე ჩაძირული გუნდები ბოლო ადგილიდან ამოსვლას ფიქრობდნენ.

„ხობმა" პირველი წუთებიდანვე შეუტია და სწრაფი გოლის გატანას შეეცადა. შექმნეს კიდევაც მომენტი, მაგრამ არბიტრი „ჩაერია". ჭიჭინაძე ურტყამდა საჯარიმოს ხაზიდან და ბურთი ერთ-ერთ სტუმარ მცველს ხელზე მოხვდა და მიმართულება შეიცვალა. მსაჯი იქვე ?ყოფებოდა, მაგრამ არაფერი მომხდ ?აო...

მასპინძლები შეტევებით გაერთნენ და კონტრშეტევა გამოეპარათ. ვარლამ კილასონიამ საკუთარი საჯარიმოს სიახლოვეს მიიღო ბურთი და თითქმის მთელი მოედანი გადაირბინა, ზუსტი გადაცემა გაუკეთა ალადაშვილს, მანაც ძლიერად დაარტყა. ბაბუაძემ კი მოიგერია, მაგრამ იქვე ინასარიძე დახვდა ბურთს და ზუსტი დარტყმით ანგარიში გახსნა.

მასპინძლებმა შეტევებს მოუხშირეს. 35-ე წუთზე რომეო გოგიტაძემ ზუსტი გადაცემით ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა ჭიჭინაძე, მანაც არ დაახანა და ძლიერად დაარტყა კარის მიმართულებით. სტუმართა მეკარეს გაუჭირდა ბურთის ხელში შემაგრება და იქვე მყოფმა ჩიტაიამ კარში გადაგზავნა ბურთი.

არბიტრმა კარის აღება დააფიქსირა და მოედნის ცენტრისკენ გაიშვირა ხელი. რუსთაველებმა პროტესტი გამოთქვეს და არბიტრს გვერდითი მსაჯისკენ მიუთითეს, შეხედე, ალამი აქვს აწეულიო. მართლაც, თანამსაჯ რუსიშვილს ალამი აღემართა და ჩამოშვებას არც აპირებდა. შალამბერიძე რუსიშვილისკენ გაემართა მოსალაპარაკებლად და... იქ ამბავი დატრიალდა!

სრულიად მოულოდნელად მოედანზე ხალხი შეიყარა. ატყდა შეხლა-შემოხლა; ვინ ვის ურტყამდა ვერ გაიგებდი. ერთი კი ცხადი იყო — ყველაზე მეტი ლაისმენ რუსიშვილს მოხვდა. მატჩის დელეგატი ნოდარ კაკულიაც ჩაერია საქმეში და ვითარების გამოსწორება სცადა... ბოლოს და ბოლოს ათწუთიანი პაუზის შემდეგ მატჩიც განახლდა. რუსთაველებმა თავისუფალი დარტყმით შეიყვანეს ბურთი თამაშში. გატანილი გოლი არ ჩაითვალა.

ამ მომენტიდან მოყოლებული აშკარად ეტყობოდა, არბიტრმა ხელიდან გაუშვა მატჩის სადავეები და ხშირად უცნაურ გადაწყვეტილებებს იღებდა. ყვითელი ბარათებიც ბლომად აფრიალა.

36-ე წუთზე სტუმართა კარის მიმართულებით თერთმეტმეტრიანი დაინიშნა. რუსთაველები საჯარიმოში გოგიტაძის წაქცევის გამო დაისაჯნენ. ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს ამ პენალტის დანიშვნით შალამბერიძემ შეცდომა მოინანია. არა, შეცდომაში არჩათვლილ გოლს არ ვგულისხმობ. იმ მომენტში თამაშგარე მდგომარეობა აშკარა იყო. შალამბერიძეს მატჩის დებიუტში არდანიშნული პენალტი თუ გაახსენდა.

ასე იყო თუ ისე, ხურცილავამ თერთმეტმეტრიანი ზუსტად შეასრულა.

ხობელები გააქტიურდნენ და ტაიმის ბოლომდე კიდევ ორჯერ შეძლეს ქორიძის დამწუხრება. ჯერ ჭიჭინაძემ 20 მეტრიდან ჯარიმა უნაკლოდ შეასრულა და შანსი არ დაუტოვა მეკარეს, ხოლო 44-ე წუთზე ჩიტაიამ მცველთა მოდუნებით ისარგებლა და 7 მეტრიდან ანგარიში ორამდე გაზარდა.

მეორე ტაიმში მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო და მეოთხედაც იხეირეს. პირველ ტაიმში გატანილი გოლის ანალოგიურად, კვლავ ჭიჭინაძემ ზუსტად ისეთივე მანძილიდან ისევ ჯარიმა გაიტანა.

მატჩის მიწურულს შეცვლაზე შემოსულმა ტყებუჩავამ ანგარიში კატასტროფული გახადა.

თამაშის შემდეგ რუსთაველთა მთავარი მწვრთნელი იასონ ალადაშვილი აღელვებული ჩანდა. მან აღნიშნა: „კიდევ კარგი, რომ ამ მატჩს დაესწარით და ნახეთ რა და როგორ მოხდა. მსაჯს რომ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, იმასაც ნახავდით. მატჩი შეწყვეტილი იყო. ეს ყველაფერი ვიდეოკასეტაზე დაფიქსირებულია. მატჩი განახლდა და... ამ ინციდენტის შემდეგ მსაჯებზე ზეწოლა იყო და მათაც შიშის გამო შეგნებულად დაგვჩაგრეს. ჩვენ მატჩის გაპროტესტებას ვაპირებთ. ამას ასე არ დავტოვებთ."

# ერთი საათით სინათლისკენ

ისედაც დღედალამებულ ქართულ ფეხბურთს უფრო რომ არ დაუღამდეს, ნოემბერში ეროვნული ჩემპიონატის მატჩები 15 საათზე დაიწყება. შეგახსენებთ, რომ აგვისტოში ჩემპიონატის მატჩები 18 საათზე იმართებოდა, სექტემბერში — 17 საათზე, გასულ თვეში კი მატჩები დღის ოთხ საათზე იწყებოდა.

15 საათზე გაიმართება აგრეთვე დღეს და ხვალ დანიშნული საქართველოს თასის მეთექვსმეტედფინალური შეხვედრები.

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თბილისისა და მოსკოვის „დინამოს" ყოფილი მეკარე
ვალტერ სანაია
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## ინგლისი

XIII ტური

**არსენალი 0:0 ნიუკასლი**

არსენალი: სიმენი, ლუჟნი, კიოუნი (ამსონი 65), ადამსი, უინტერბერნი, ლიუნგბერგი, ვიეირა, გრიმანდი, სილვინიო (ოვერმარსი 60), ანრი (ბერხკამპი 46), შუკერი
ნიუკასლი: კარელსე, დაბიზასი, მარსელინიო, დუმა, პისტონე, ლი, სოლანო (ფერგიუსონი 90), სპიდი, დომი, გალაჰერი, შირერი
გაფრთხილება: კიოუნი, დაბიზასი, ლი
მსაჯი: ჯონსი

**მანჩესტერი 3:0 ასტონ ვილა**

1:0 სქოულზი (30), 2:0 კოული (45), 3:0 კინი (65)
მანჩესტერი: ბოსნიჩი, ირვინი, სტამი, სილვესტრი, ფ. ნევილი, ბექემი, როი კინი, სქოულზი, გიგზი (კრუიფი 79), ე. კოული (უილსონი 79), იორკი (სოლსკიაერი 66)
ასტონ ვილა: ჯეიმსი, დილანი, კალდერვუდი, საუთგეიტი, ბარი, ბოატენგი (სტოუნი 55), ჰენდრი, ტეილორი, ტომპსონი (რაიტი 72), დაბლინი, კარბონე (მერსონი 76)
გაფრთხილება: ბარი
მსაჯი: უილკი

**ლიდსი 1:0 ვესტ ჰემი**

1:0 ჰარტი (57)
ლიდსი: მარტინი, კელი, რადებე, ვუდგეიტი, ჰარტი, ბოუერი, ბეტი, მაკფაილი, კიუელი, ა. სმიტი (ჰაკერბი 58), ბრიჯესი
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, რ. ფერდინანდი, რადოკი, მარგასი, ლომასი, ფოე (ჯ. კოული 70), ლამპარდი, მონკური, კელერი, ვანჩოპე, კიტსონი
გაფრთხილება: ბოუერი, ბრიჯესი, მონკური, ფოე, ლომასი
მსაჯი: პოლი

**სანდერლენდი 2:1 ტოტენჰემი**

1:0, 2:0 ქუინი (10, 21), 2:1 ივერსენი (63)
სანდერლენდი: სორენსენი, მაკინი, ბოულდი, ბატლერი, გრეი, სამერბი (უილიამსი 87), როი (ბალი 72), მაკკინი, შვარცი, ქუინი, ფილიპსი (დიჩიო 61)
ტოტენჰემი: უოლკერი, კარი, ს. კემპბელი, ვეგა, ტარიკო, პირსი (პერი 45), ფროინდი, ლეონარდსენი (შერვუდი 77), კლემენსი, ჟინოლა (დომინგუში 45), ივერსენი
გაფრთხილება: ტარიკო, კემპბელი, ივერსენი
მსაჯი: რილი

**ქოვენთრი 4:0 უოტფორდი**

1:0 კინი (17), 2:0 ფროგატი (33), 3:0 ჰაჯი (49), 4:0 მაკალისტერი (62პ)
ქოვენთრი: ჰედმანი, ტელფერი, შოუ, უილიამსი, ჰალი, მ. ჰაჯი, მაკალისტერი, პალმერი, ფროგატი, რობი კინი, რუსელი
უოტფორდი: ჩემბერლენი, გიბსი, პალმერი, პანაი (უორდი 45), ლიტლი, ჯონსონი, პიდი, ისტონი, მილერი (ნგონგე 45), ვუტერი, სმიტი (გუდმუნდსონი 72)
გაფრთხილება: ფროგატი
მსაჯი: დარკინი

**დერბი ქაუნთი 3:1 ჩელსი**

1:0 ბარტონი (7), 1:1 ლებეფი (10), 2:1, 3:1 დელაპი (80, 88)
დერბი ქაუნთი: პოულტი, ლაურსენი (პრიორი 53), კარბონარი, შნური, ერანიო (ბორბოკისი 75), დელაპი, ჯონსონი, პაუელი, დორიგო, ფუერტესი (მორისი 82), დ. ბარტონი
ჩელსი: დე გუი, ფერერი, ლებეფი (დეშამპი 53), ჰოგი (ლამბური 33), ბაბაიარო, პოიეტი, ჯ. მორისი, დი მატეო, ამბროზეტი (ჰარლი 64), სატონი, ძოლა
გაფრთხილება: შნური, ბარტონი, ლამბური
მსაჯი: ჰარისი

**ლესტერი 3:0 შეფილდ უენსდი**

1:0, 2:0 ტაგარტი (24, 36), 3:0 კოტი (57)
ლესტერი: ფლაუერსი, სინკლერი, ტაგარტი (ჯილკრისტი 77), ელიოტი, იმპი, იზეტი, ლენონი, სევიჯი (ზაგორაკისი 86), გაპი, ჰესკი, კოტი (ოუქსი 88)
შეფილდ უენსდი: სრნიჩეკი, ტომი, აზერტონი, უოლკერი, ჰინჩკლიფი, ალექსანდერსონი, რუდი (კროსველი 62), იონკი, სონერი, სიბონი, დე ბილდე
გაფრთხილება: ტომი
მსაჯი: ალკოკი

**მიდლსბრო 2:1 ევერტონი**

0:1 კემპბელი (13), 1:1 ციგე (15), 2:1 დინი (61)
მიდლსბრო: შვარცერი, სტამპი, ფლემინგი, ვიკერსი, პალისტერი, ონილი, ჟუნინიო, ინსი, ციგე, რიკარდი, დინი
ევერტონი: ჟერარდი, დანი, ვეირი, გუგი, ბალი, ბარმბი (ჯონსონი 80), პემბრიჯი, კოლინზი, ანსუორთი, ჰათჩისონი, კ. კემპბელი
გაფრთხილება: პალისტერი, პემბრიჯი, კოლინზი, ანსუორთი
გაძევება: ვეირი (76)
მსაჯი: დურსო

**უიმბლდონი 1:1 საუთჰემპტონი**

0:1 პახარსი (67), 1:1 გეილი (90)
უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, კიმბლი, ტეტჩერი, კორტი, ერლი (ბადირი 66), ჰართსონი, იუელი, გეილი, ანდერსენი (ლებერნი 77), ჰრეიდარსონი
საუთჰემპტონი: ჯონსი, დოდი, ლუნდეკვამი, რიჩარდსი, ოუკლი, ჰიუზი, რიპლი, ბენალი, პახარსი (ბიტი 71), კაჩლული, სოლტვედტი
გაფრთხილება: კორტი, ჰრეიდარსონი
მსაჯი: ლოჯი

**ლივერპული — ბრედფორდი**

წუხელ გვიან გაიმართა

# სამი ლონდონელთა გარეშე



REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — ასტონ ვილა 3:0. მანჩესტერელებმა დუაიტ იორკმა და პოლ სქოულზმა (მარჯვნივ) ასტონ ვილელი ჯორჯ ბოატენგი მოიმწყვდიეს

მთელი ასი წელიწადია, „დერბი ქაუნთის“ ასე ცუდად არ დაუწყია ჩემპიონატი. ცხრილის ბოლოში ჩაკარგული „დერბი“ შარშან კარგი და სახიფათო გუნდი იყო და ლიდერიც ჰყავდა, კოსტარიკელი მეგოლე პაულო ვანჩოპე. ახლა ვანჩოპე „ვესტ ჰემში“ თამაშობს და „დერბი ქაუნთის“ მხცოვან უელსელ მენეჯერს, ჯიმ სმიტს დიდი პრობლემები აქვს. ამიტომ, როცა დერბის „პრაიდ პარკის“ მინდორზე ვიალის ვარსკვლავთკრებული, „ჩელსი“ გამოვიდა, ბევრი არავინ ფიქრობდა, რომ აქ რაიმე განსაკუთრებული მოხდებოდა. ბუქმეიკერთა შეხედულებაც სრულიად ემთხვეოდა საერთო-სახალხოს — წლევანდელ სეზონში ხომ „დერბიმ“ ექვსი საშინაო თამაშიდან ხუთი წააგო.

მაგრამ ფეხბურთი დემოკრატიული თამაშია და ვერავინ გაითვალისწინებს ხოლმე კრიზისული გუნდის სულისკვეთებას, რომელიც არა, არა და თავს აჯობებს ხოლმე. ეს განსაკუთრებით ხშირად ინგლისში ხდება ხოლმე და როცა „პრაიდ პარკზე“ თამაში დასრულდა, შუქფარზე 3:1 ენთო „დერბის“ სასარგებლოდ.

მეოთხმოცე წუთამდე ეს იყო ფრე, რომელსაც „ჩელსი“ პრობლემების გარეშე ახერხებს ხოლმე ძალების ჩემპიონთა ლიგისთვის შემოსანახად. შეხვედრის მეათე წუთისთვის გოლების გაცვლა მოთავებული იყო დეონ ბარტონის ადრიან გოლს, ლებეფმა სამ წუთში უპასუხა.

მაგრამ აი, გამოჩნდა ასეთი, რორი დელაპი, რომელმაც ბოლო ათ წუთში ორი გოლი გაუტანა ლონდონელებს. გოლი გოლს სჯობდა, ანუ დელაპმა საუცხოო დარტყმები შეასრულა. მარცხმა ათქმევინა ჯანლუკა ვიალის, მასპინძლები გვჯობდნენ საბრძოლო სულითაც და ბურთსაც უკეთესად ათამაშებდნენო. ამ წაგებით კი „ჩელსი“ მერვე ადგილამდე დაქვეითდა და ორი გამოტოვებული მატჩი რომც მოიგოს, მეხუთეზე მაღლა ვერაფრით ავა.

დერბელთა აღტაცებული მენეჯერი ჯიმ სმიტი დიდად აქებდა თავის ფეხბურთელებს, თან კი ნოემბრის თვის დაძაბულ კალენდარზე მსჯელობდა. „დერბის“ მიყოლებით ელის თამაშები „ლივერპულთან“, „მანჩესტერ იუნაიტედთან“, „არსენალთან“ და „ლიდსთან“. რას უნდა მოელოდე?

ცხრილში დერბის მეზობელმა „ნიუკასლმა“ ამ სეზონში პირველი ფრე გაახერხა. გასვლაზე, „არსენალთან“. საცქერად ფრიად მოსაწყენ თამაშში არსენ ვენგერმა მეორე ტაიმშიღა შემოუშვა მოედანზე დენის ბერხკამპი და მარკ ოვერმარსი, თუმც ამით არაფერი შეცვლილა. არც ამათ და არც ჯორდების კაპიტან ალან შირერს გოლები არ გაუტანიათ. არ გაუტანია ჩრდილო-აღმოსავლეთის სხვა გუნდის, „სანდერლენდის“ ლიდერ კევინ ფილიპსსაც, თუმც მისმა გუნდმა 2:1 მოუგო „ტოტენჰემს“ და კვლავ ლიდერთა სამეულში დარჩა. ახმახი ირლანდიელის, ნეილ ქუინის მოხდენილმა დუბლმა ტოტენჰემელთა ერთადერთი საპასუხო წაშალა და პიტერ რიდის გუნდი კიდევ ერთხელ განადიდებინა მედიას.

„სანდერლენდს“ არ ჰყავს ვარსკვლავები, ისევე როგორც „ბრედფორდს“, „უოტფორდს“ და „დერბის“, მაგრამ „სანდერლენდი“ უაღრესად განათლებული, მოუღლელი და უტეხი გუნდია. ჰოდა, აი, შედეგიც.

„სანდერლენდს“ მხოლოდ ბურთების უკეთესი სხვაობით უსწრებს „მანჩესტერი“. „იუნაიტედმა“ შაბათს 3:0 მოუგო „ასტონ ვილას“, რომელსაც ერთადერთი საგოლე მომენტი ჰქონდა — ბენიტო კარბონემ თამაშის დასაწყისშივე გაარტყა მასპინძელთა ძელს. მაგრამ უკვე პირველი ნახევრის შემდეგ სერ ალექსის გუნდი 2:0-ს იგებდა. ბექემის ორ პასს სქოულზისა და ენდი კოულის დარტყმები მოჰყვა. შესვენების შემდეგ კი კაპიტანმა როი კინმა დაჰკრა საჯარიმოს მისადგომებიდან და საქმეც ამით მოთავდა. ამ მესამე გოლშიც ბექემის წილი იდო.

ამ გამარჯვებით „იუნაიტედი“ ეგებ ლიდერიც გამხდარიყო „ლიდსს“ რომ ერთი გოლი არ გაეტანა „ელანდ როუდზე“ ბოლო თვეში წაფორხილებული და აჭრილი „ვესტ ჰემისთვის“. „ლიდსი“ მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში დომინირებდა, მაგრამ მაიკლ ბრიჯესსა და ალან სმითს [illegible] ზუსტე აკლდებოდათ. თუ არ დაკლდებოდათ და [illegible] ჰისლოპი [illegible] სწაულებს. მაგრამ რაც თავდამსხმელმეგოლეებმა ვერ მოახერხეს, მოახერხა მათმა თანატოლმა მცველმა იან ჰარტმა.

იგი განთქმულია შორეული დარტყმებით და გუნდში პენალტებისა და ჯარიმების აღსრულება აქვს მინდობილი. თუკი თავდამსხმელები საჯარიმოს ფარგლებიდან ვერას ხდებოდნენ, იანმა მის გარედან სცალა ბედი და შეხვედრის ერთადერთი გოლი გაიტანა, მაგრამ ეს არ იყო ლიდერის მთლად მშვიდობიანი გამარჯვება — მათ მეკარეს, ნაიჯელ მარტინს მთელი თავისი ოსტატობის ამოქმედება დასჭირდა ფრენკ ლამპარდ-უმცროსის საჯარიმო დარტყმის მოსაგერიებლად. და მაინც „ლიდსი“ ლიდერია და ორი ქულით უსწრებს „მანჩესტერსა“ და „სანდერლენდს“.

კვლავ ყურადღების ცენტრშია იორკშირელთა მენეჯერი დევიდ ოლირი:

„ყველა თამაშში ვერ გაიტან სამ და ოთხ გოლს“, ამბობს იგი, „ამჯერად ერთი გოლით მოვიგეთ, მაგრამ რა გოლით. ყოველთვის ველი იანისგან ასეთ რაღაცას და ისიც აკეთებს. ჩვენ ვითამაშეთ ძლიერად და პროფესიულად მოვიგეთ“.

სხვაფრივ ხმაური არ ყოფილა, „ქოვენთრიმ“ „უოტფორდი“ გაფცქვნა, კრისტიან ციგემ ბრწყინვალე ჯარიმა გაუტანა „ევერტონს“ და მისმა „მიდლსბრომ“ 2:1 მოიგო, „უიმბლდონმა“ და „საუთჰემპტონმა“ ქულები გაიყვეს, „ლესტერმა“ კი მშრალზე დატოვა ბედკრული „უენსდი“, რითაც ხუთეულში გაერია.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ლიდსი | 13 | 9 | 2 | 2 | 26:16 | 10 | 29 | 7 | 5 | 1 | 1 | 11:5 | 6 | 16 | 6 | 4 | 1 | 1 | 15:11 | 4 | 13 |
| 2 | მანჩესტერი | 13 | 8 | 3 | 2 | 31:19 | 12 | 27 | 7 | 5 | 2 | 0 | 22:6 | 16 | 17 | 6 | 3 | 1 | 2 | 9:13 | -4 | 10 |
| 3 | სანდერლენდი | 13 | 8 | 3 | 2 | 23:11 | 12 | 27 | 7 | 5 | 2 | 0 | 10:3 | 7 | 17 | 6 | 3 | 1 | 2 | 13:8 | 5 | 10 |
| 4 | არსენალი | 13 | 8 | 2 | 3 | 20:12 | 8 | 26 | 7 | 5 | 1 | 1 | 13:5 | 8 | 16 | 6 | 3 | 1 | 2 | 7:7 | 0 | 10 |
| 5 | ლესტერი | 13 | 7 | 2 | 4 | 23:17 | 6 | 23 | 7 | 5 | 2 | 0 | 14:6 | 8 | 17 | 6 | 2 | 0 | 4 | 9:11 | -2 | 6 |
| 6 | მიდლსბრო | 13 | 7 | 0 | 6 | 18:17 | 1 | 21 | 7 | 4 | 0 | 3 | 8:8 | 0 | 12 | 6 | 3 | 0 | 3 | 10:9 | 1 | 9 |
| 7 | ტოტენჰემი | 12 | 6 | 2 | 4 | 21:17 | 4 | 20 | 6 | 4 | 0 | 2 | 15:11 | 4 | 12 | 6 | 2 | 2 | 2 | 6:6 | 0 | 8 |
| 8 | ჩელსი | 11 | 6 | 1 | 4 | 18:10 | 8 | 19 | 5 | 4 | 0 | 1 | 13:3 | 10 | 12 | 6 | 2 | 1 | 3 | 5:7 | -2 | 7 |
| 9 | ევერტონი | 13 | 5 | 3 | 5 | 22:20 | 2 | 18 | 6 | 3 | 3 | 0 | 15:7 | 8 | 12 | 7 | 2 | 0 | 5 | 7:13 | -6 | 6 |
| 10 | ლივერპული | 12 | 5 | 3 | 4 | 13:11 | 2 | 18 | 6 | 3 | 0 | 3 | 6:5 | 1 | 9 | 6 | 2 | 3 | 1 | 7:6 | 1 | 9 |
| 11 | ასტონ ვილა | 13 | 5 | 3 | 5 | 13:15 | -2 | 18 | 6 | 3 | 3 | 0 | 8:3 | 5 | 12 | 7 | 2 | 0 | 5 | 5:12 | -7 | 6 |
| 12 | ვესტ ჰემი | 12 | 5 | 2 | 5 | 12:11 | 1 | 17 | 5 | 4 | 1 | 0 | 7:3 | 4 | 13 | 7 | 1 | 1 | 5 | 5:8 | -3 | 4 |
| 13 | ქოვენთრი | 13 | 4 | 4 | 5 | 20:15 | 5 | 16 | 7 | 4 | 0 | 3 | 15:8 | 7 | 12 | 6 | 0 | 4 | 2 | 5:7 | -2 | 4 |
| 14 | საუთჰემპტონი | 12 | 3 | 4 | 5 | 19:23 | -4 | 13 | 6 | 2 | 2 | 2 | 10:10 | 0 | 8 | 6 | 1 | 2 | 3 | 9:13 | -4 | 5 |
| 15 | უიმბლდონი | 13 | 2 | 7 | 4 | 19:27 | -8 | 13 | 7 | 1 | 4 | 2 | 10:11 | -1 | 7 | 6 | 1 | 3 | 2 | 9:16 | -7 | 6 |
| 16 | დერბი ქაუნთი | 13 | 3 | 3 | 7 | 13:22 | -9 | 12 | 7 | 2 | 0 | 5 | 6:13 | -7 | 6 | 6 | 1 | 3 | 2 | 7:9 | -2 | 6 |
| 17 | ნიუკასლი | 13 | 3 | 2 | 8 | 23:27 | -4 | 11 | 6 | 3 | 1 | 2 | 16:7 | 9 | 10 | 7 | 0 | 1 | 6 | 7:20 | -13 | 1 |
| 18 | ბრედფორდი | 11 | 3 | 2 | 6 | 9:17 | -8 | 11 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:10 | -5 | 5 | 6 | 2 | 0 | 4 | 4:7 | -3 | 6 |
| 19 | უოტფორდი | 13 | 3 | 0 | 10 | 8:22 | -14 | 9 | 6 | 2 | 0 | 4 | 6:9 | -3 | 6 | 7 | 1 | 0 | 6 | 2:13 | -11 | 3 |
| 20 | შეფილდ უენსდი | 13 | 1 | 2 | 10 | 8:30 | -22 | 5 | 6 | 1 | 1 | 4 | 7:9 | -2 | 4 | 7 | 0 | 1 | 6 | 1:21 | -20 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ფილიპსი (სანდერლენდი) | 13 |
| შირერი (ნიუკასლი) | 11 |
| ბრიჯესი (ლიდსი) | 9 |
| კოული (მანჩესტერი) | 9 |

XIV ტური

6 ნოემბერი

ასტონ ვილა — საუთჰემპტონი
ბრედფორდი — ქოვენთრი
ლივერპული — დერბი
მანჩესტერი — ლესტერი
მიდლსბრო — სანდერლენდი
შეფილდი — უოტფორდი

7 ნოემბერი

ჩელსი — ვესტ ჰემი
ნიუკასლი — ევერტონი
ტოტენჰემი — არსენალი
უიმბლდონი — ლიდსი

## პირველი დივიზიონი

XIV ტური

**ვესტ ბრომვიჩი 1:1 ვულვზი**

1:0 მაკდერმოტი (13), 1:1 აკინბი (82)

**ბარნსლი 1:0 ნოტინგემი**

1:0 ჰინეტი (56პ)

**ბირმინგემი 1:0 ჩარლტონი**

1:0 ჰიუზი (25)

**ბლექბერნი 0:2 ქუინზ პარკი**

0:1 უორდლი (40), 0:2 გალენი (89)

**ბოლტონი 2:0 სუინდონი**

1:0 ტეილორი (87), 2:0 ჰანსენი (88)

**ფულემი 1:1 ნორვიჩი**

1:0 საიმონსი (9), 1:1 რობერტსი (53)

**იფსვიჩი 2:0 გრიმსბი**

1:0 კლაპჰემი (36), 2:0 ნეილორი (60)

**პორტვეილი 1:2 სიტი**

1:0 ფოილი (40), 1:1 სნიდერსი (72 ს.გ.), 1:2 გრენვილი (77)

**პორტსმუთი 3:1 კრ. პალასი**

0:1 ლინიგანი (22), 1:1 კლარიჯი (43), 2:1 ბლედბერნი (61), 3:1 კლარიჯი (73)

**შეფილდი 0:1 ჰადერსფილდი**

0:1 დისონი (51)

**სტოკპორტი 1:1 უოლსოლი**

0:1 რიკეტსი (71), 1:1 ბირნი (88)

**ტრანმერი 2:0 ქრიუ**

1:0 ჰილი (63), 2:0 ალისონი (80)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიტი | 15 | 10 | 2 | 3 | 21:8 | 32 |
| იფსვიჩი | 14 | 8 | 2 | 4 | 28:17 | 26 |
| ჩარლტონი | 13 | 8 | 2 | 3 | 23:14 | 26 |
| ბირმინგემი | 16 | 7 | 5 | 4 | 25:17 | 26 |
| ჰადერსფილდი | 15 | 7 | 4 | 4 | 26:18 | 25 |
| ფულემი | 14 | 6 | 7 | 1 | 17:9 | 25 |
| ბარნსლი | 15 | 8 | 1 | 6 | 28:25 | 25 |
| ქუინზ პარკი | 14 | 6 | 5 | 3 | 20:14 | 23 |
| სტოკპორტი | 15 | 6 | 5 | 4 | 17:19 | 23 |
| ვულვზი | 15 | 5 | 7 | 3 | 15:15 | 22 |
| ბოლტონი | 15 | 5 | 5 | 5 | 22:18 | 20 |
| ნორვიჩი | 15 | 5 | 5 | 5 | 15:15 | 20 |
| პორტსმუთი | 14 | 5 | 4 | 5 | 19:21 | 19 |
| გრიმსბი | 15 | 5 | 4 | 6 | 15:20 | 19 |
| ნოტინგემი | 15 | 4 | 6 | 5 | 20:17 | 18 |
| ვესტ ბრომვიჩი | 14 | 3 | 9 | 2 | 13:11 | 18 |
| ტრანმერი | 16 | 4 | 4 | 8 | 20:27 | 16 |
| შეფილდ იუნ. | 15 | 4 | 4 | 7 | 18:25 | 16 |
| ბლექბერნი | 13 | 3 | 5 | 5 | 14:15 | 14 |
| უოლსოლი | 16 | 3 | 5 | 8 | 13:26 | 14 |
| კრ. პალასი | 14 | 3 | 4 | 7 | 19:27 | 13 |
| ქრიუ | 14 | 3 | 4 | 7 | 15:24 | 13 |
| სუინდონი | 16 | 3 | 4 | 9 | 12:25 | 13 |
| პორტვეილი | 16 | 3 | 3 | 10 | 18:26 | 12 |

# გერმანია

X ტური

**უნტერჰახინგი 1:0 ფრაიბურგი**

1:0 რაკლი (80პ)
უნტერჰახინგი: ვიტმანი, ზაიფერტი, გრასოვი, შტრემელი, ჰაბერი (გარსია 59), მატიას ციმერმანი, შვარცი, შტრაუბე (კიოგლი 76), ობერლაიტნერი, რაკლი, ზაიტცი (მენდესი 76)
ფრაიბურგი: გოლცი, კონდე, დიარა, ჰერმელი, ცაიერი, ვილი (კოლი 46), გიუნეში (კორელი 85), ბაია, კობიაშვილი, სელიმი, ბრუნსი (ვაისჰაუპტი 62)
გაფრთხილება: ვილი
მსაჯი: ფანდელი

**ბაიერნი 5:0 ვოლფსბურგი**

1:0 ელბერი (11), 2:0 სანტა კრუზი (15), 3:0, 4:0 ელბერი (26, 78), 5:0 ვისინგერი (89)
ბაიერნი: ვესელსი, ბაბელი, მათეუსი (სალიჰამიჯიჩი 75), კუფური, შტრუნცი, ეფენბერგი (იერემისი 46), ფინკი, ტარნატი, შოლი (ვისინგერი 69), სანტა კრუზი, ელბერი
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ონილი, ტომსენი, კრიგერი, ბილიშკოვი, დამაიერი, ნოვაკი (აკონორი 75), ვისერი, ფელდჰოფი (მალტრიცი 36), ვიუკი (იუსკოვიაკი 61), აკპობორი
გაფრთხილება: კუფური, ონილი
მსაჯი: იანსენი

**ჰამბურგი 1:1 დორტმუნდი**

1:0 ბუტი (62პ), 1:1 ბობიჩი (68)
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ფიშერი, ჰოოგმა, პანადიჩი, ჰირში, გროთი (ფ. ერნსტი 24), გრამოცისი, კარდოზო, მაჰდავიკია (დოლი 80), პრეგერი, იებოა
დორტმუნდი: ლემანი, როიტერი, ვიორნსი, კოლერი, კაპეტანოვიჩი (კ. ბაუმანი 63), რიკენი (ევანილსონი 63), სტევიჩი, ნერლინგერი, ადო, მიოლერი (რეინა 36), ბობიჩი
გაფრთხილება: ფიშერი, გრამოცისი, გროთი, ევანილსონი, კოლერი, ლემანი, ნერლინგერი, რიკენი
მსაჯი: შტარკი

**ლევერკუზენი 1:1 მიუნხენი**

1:0 კირსტენი (61), 1:1 ვინკლერი (90)
ლევერკუზენი: მატიშეკი, ჟივკოვიჩი, ნოვოტნი, რეები, ჰაპე, რამელო, ემერსონი, ბ. შნაიდერი (პონტე 75), ბაინლიხი, კირსტენი, ნოივილი
მიუნხენი: ჰოფმანი, ვანენბურგი, ტაპალოვიჩი, პასლაკი (გრაილიხი 44), შტრანცლი (შროტი 64), ზელიჩი (რიდლი 79), ტაისი, ჩერნი, ჰესლერი, მაქსი, ვინკლერი
გაფრთხილება: ემერსონი, გრაილიხი, შტრანცლი, ტაპალოვიჩი, ტაისი, ვანენბურგი, ვინკლერი
მსაჯი: კოოპი

**შალკე 1:1 ჰერტა**

0:1 სანე (3), 1:1 აიგენრაუხი (42)
შალკე: შობერი, ვალდოხი, აიგენრაუხი, ტონი, ნემეცი (კმეტჩი 64), ვან კერკჰოვენი, კამპუისი (ლატალი 70), ალპუგანი (ჰელდი 87), ვილმოტსი, ასამოა, სანდი
ჰერტა: კირალი, ჰ. ჰერცოგი, რეკდალი, ვან ბურიკი, სვერისონი, დაისლერი, ნოიენდორფი, მიხალკე, სანე, ვოში (ტომი 87), არაჩიჩი (დაეი 73)
გაფრთხილება: ასამოა, ნემეცი, დაისლერი, ჰერცოგი, ნოიენდორფი, სვერისონი
მსაჯი: ბერგი

**შტუტგარტი 0:1 ლაუტერნი**

0:1 ხრისტოვი (25)
შტუტგარტი: ვოლფარტი, ტ. შნაიდერი, ტიამი, ტოდტი, კელერი (კარნელი 46), სოლდო, ჯორჯევიჩი (პინტო 72), გერბერი, ლისტეში (დანდი 46), ბალაკოვი, განეა
კაიზერსლაუტერნი: რაინკე, რამზი, შონბერგი, კოხი, როოსი, შტრასერი (ვაგნერი 81), ბუკი, კომლიენოვიჩი (რაიხი 8, პეტერსონი 66), სფორცა, ხრისტოვი, მარშალი
გაფრთხილება: განეა, პეტერსონი, როოსი
მსაჯი: ჰაინემანი




შტუტგარტი — კაიზერსლაუტერნი 0:1. ლაუტერნელი მარიან ხრისტოვის (მარცხნივ) ამ თავურმა სტუმრებს გამარჯვება მოუტანა

**დუისბურგი 0:0 ულმი**

ბაიერლემ ვერ გაიტანა პენალტი (59)
დუისბურგი: სტაუჩე, ჰაიტო, მ. შნაიდერი, ვოლერტი, ჰირში, ტოფტინგი (ბუგერა 79), ნოინი, ვედაუ (ცაიერი 56), ჰოერსენი (ვოლტერსი 68), ოსტჰოფი, ბაიერლე
ულმი: ლაუქსი, უნსოლდი, მარკესი, შტადლერი, რადოკი, ოტო, მაიერი (პლუერი 83), შარინგერი (როსლერი 46), ზდრილიჩი, ტრიკულია (ლეანდრო 46), ვან დერ ჰაარი
გაფრთხილება: შნაიდერი, ნოინი, ოსტჰოფი, ტოფტინგი, ვოლტერსი, უნსოლდი
გაძევება: ჰირში (89)
მსაჯი: შტაინბორნი

**ვერდერი 2:1 ჰანზა**

1:0 პიზარო (3), 1:1 ვიბრანი (74პ), 2:1 აილტონი (85)
ვერდერი: ფ. როსტი, ფრინგსი, ფ. ბაუმანი, ცეზარი, ვიდნერი (აილტონი 76), დაბროვსკი, ვიკი, მაქსიმოვი, ა. ჰერცოგი (ფლოკი 88), ბოდე, პიზარო
ჰანზა: ბროიტიგამი, ბენკენი, ჰოლეჩეკი (კოვაჩიჩი 86), ელერსი, ვიბრანი, ვაილანდტი, იასერი, ემარა (ბრაიტკროიცი 46), ბრანდი, ბაუმგარტი, არვიდსონი
გაფრთხილება: აილტონი, ფრინგსი, ბაუმგარტი, ბენკენი
გაძევება: ბრანდი (86)
მსაჯი: შტრამპე

**არმინია 1:1 აინტრახტი**

1:0 ბაგერი (56), 1:1 გუიე მიენი (90)
ლაბადიამ ვერ გაიტანა პენალტი (61)
არმინია: კოხი, პეეტერსი, კლიცპერა, შტრატოსი, რიდლევიჩი (შტერნკორფი 88), ჰოფშნაიდერი, მაული (ვატერინკი 58), მაისნერი, ვაისენბერგერი, ბაგერი (ბოდე 82), ლაბადია
აინტრახტი: ნიკოლოვი, იანსენი, კრახტი, შური, კუჩერა, დომბი, ბულუტი (ჰელდტი 66), ვებერი, გუიე მიენი, სალუ (იანგი 20), ფიორტოფტი
გაფრთხილება: ვაისენბერგერი, შტრატოსი, გუიე მიენი, ნიკოლოვი
გაძევება: შური (60)
მსაჯი: აუსტი

# მწვერვალი პატრონს დაუბრუნდა

**მიუნხენის** „ბაიერნმა“ შაბათს „ოლიმპიაშტადიონზე“ „ვოლფსბურგი“ დაიბრიყვა და ჩემპიონატის ცხრილის სათავეში მოექცა. წლეულს ეს პირველად მოხდა. ბავარიელებს ცხრა ტური და ორთვენახევარი დასჭირდათ იმისათვის, რომ კვლავ ეგემათ ლიდერობის სიტკბო.

„სამი გოლის გატანამ ძალიან გამახარა, თანაც სამივე ძალიან ლამაზი იყო. თუმცა ამაზე მეტად ის მსიამოვნებს, რომ კვლავ პირველ ადგილზე ვართ. მწვერვალი თავის პატრონს დაუბრუნდა, მაგრამ მის შესანარჩუნებლად დიდი შრომა მოგვიწევს. „ბაიერნი“ ამისთვის მზადაა“ — განუცხადა ტელეკომპანია „PREMIER“-ს მიუნხენელთა ბრაზილიელმა გოლეადორმა ჯოვანი ელბერმა. იგი „ვოლფსბურგთან“ მატჩის გმირად მოინათლა. დაიმსახურა კიდეც. მასპინძელთა პირველი, მესამე და მეოთხე გოლი სწორედ მან გაიტანა.

თამაშის წინ „ბაიერნის“ ხელმძღვანელობამ მორიგი კრება მოაწყო, სადაც სამშაბათს ჩემპიონთა ლიგის გასვლით შეხვედრაში „პსვ ეინდჰოვენის“ წინააღმდეგ ფეხბურთელთა საქციელზე იმსჯელეს. კრების გადაწყვეტილებით, იენს იერემისი 10 000 მარკით დაჯარიმდა, ლოთარ მათეუსი კი სასჯელს გადაურჩა, არადა, მათეუსისა და ჰოლანდიელთა მწვრთნელ ერიკ გერეტსს შორის კონფლიქტი კინაღამ გუნდურ ჩხუბში გადაიზარდა.

ბავარიელთა თავკაცი ოტმარ ჰიცფელდი კლუბში სიტუაციის გამწვავებას მოერიდა და „ვოლფსბურგის“ წინააღმდეგ ორივე ფეხბურთელი ათამაშა, თუმცა იერემისი მეორე ტაიმში შეიყვანა მინდორზე. „ბაიერნმა“ მთელი შეხვედრა ჩინებულად ჩაატარა და პატარა გაკვეთილი ჩაუტარა გუნდს, რომელსაც მეათე ტურის წინ სულ ორი ქულით უსწრებდა. ელბერის გარდა გოლები პარაგვაელმა სანტა კრუზმა და თამაშში გვიან ჩართულმა ვისინგერმა გაიტანეს. ერთი დეტალიც — პირველ ტაიმში მიუნხენელებმა სულ ხუთჯერ დაარტყეს სტუმართა კარში, აქედან სამჯერ რაიტმაიერს ბურთის კარიდან გამოტანა მოუხდა.

ლევან კობიაშვილი „უნტერჰახინგი“ — „ფრაიბურგის“ შეხვედრაში საუკეთესოდ აღიარეს. ლევანმა მარცხენა ფლანგი აიკლო, მეურვე ჰაბერი შესაცვლელიც გახადა, თუმცა „ფრაიბურგს“ ამით ვერ უშველა. მასპინძელი ალთინ რაკლის მიერ მე-80 წუთზე გატანილი პენალტი მატჩში ერთადერთი აღმოჩნდა. სამართალი რომ ყოფილიყო, გოლი უფრო ადრეც უნდა გასულიყო, ოღონდ „უნტერჰახინგის“ კარში. ბაიამ, სელიმიმ და ბრუნსმა რეალური მომენტები გააცუდეს. ალექსანდრე იაშვილსა და ლევან ცქიტიშვილს ამ მატჩში არ უთამაშიათ.

„ჩემი გუნდით, მარცხის მიუხედავად, კმაყოფილი ვარ. ცუდად ნამდვილად არ გვითამაშია, თუმცა გოლის გატანა ვერ შევძელით. პენალტი კი, სიმართლე გითხრათ, საეჭვო მომეჩვენა“ — თქვა „ფრაიბურგის“ დამრიგებელმა ფოლკერ ფინკემ.

აწ უკვე ყოფილი ლიდერი „დორტმუნდი“ ასევე ყოფილ მეორეადგილოსან „ჰამბურგს“ ეწვია და შინ ქულა წაიღო. პირველ ტაიმში რეალური მომენტი სამჯერ შეიქმნა, სამჯერვე მასპინძელთა კართან და სამჯერვე ოტო ადოს აქტიურობით, თუმცა „ჰამბურგი“ გადარჩა. ორჯერ ბუტმა იმარჯვა, ერთხელაც რიკენმა იჩქარა — ადომ ჩინებული პასით მეკარესთან პირისპირ შეყრილმა მიზანს ააცილა.

მეორე ტაიმი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. 61-ე წუთზე მასპინძელთა ბერძენმა ნახევარმცველმა გრამოცისმა იაქტიურა და პენალტი მოინადირა. ალბათ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, ვინ შეასრულებდა თერთმეტმეტრიანს — ჰამბურგელთა მეკარე ჰანს იორგ ბუტმა ამჯერადაც უნაკლოდ დაარტყა, მიმდინარე სეზონში მეოთხე გოლი გაიტანა და ახლა ჩემპიონატის ბომბარდირებს ელბერსა და აკპობორის მხოლოდ სამი ბურთით ჩამორჩება. წონასწორობა რვა წუთში აღდგა. ფრედი ბობიჩმა ევანილსონის კარგი პასი გამოიყენა და საკუთარ თავს დაბადების დღე თავური გოლით მიულოცა. სხვათა შორის, ბობიჩისთვის ეს გოლი ასევე მეოთხე იყო მიმდინარე სეზონში. საბოლოოდ „ჰამბურგი“ — „დორტმუნდის“ მატჩი ლოგიკური შედეგით დასრულდა და ორივე გუნდს ერთი საფეხურით დაქვეითება მოუხდა.

მწვერვალს პატრონი („ბაიერნი“) ნამდვილად არ დაუბრუნდებოდა, „ლევერკუზენს“ „მიუნხენ 1860“-თან საშინაო მატჩში ერთი წუთიც რომ გაეძლო და კარი მშრალად შეენახა. თუმცა 90-ე წუთზე ვინკლერმა გაიტანა და მასპინძლებიც ქულას დასჯერდნენ.

„ლევერკუზენი“ ამ შეხვედრაში ძალიან პასიურობდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს კრისტოფ დაუმის შეგირდები არც კი ცდილობდნენ, შეეტიათ. ისინი მთელი 90 წუთის განმავლობაში სულ ორჯერ დაემუქრნენ ჰოფმანის კარს. ნოივილმა ორიოდე მეტრიდან სასწაულებრივად ვერ გაიტანა, კირსტენმა კი თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა — პენალტით ანგარიში გახსნა. სტუმართა მონდომებამ შედეგი, როგორც აღვნიშნეთ, ბოლო წუთზე გამოიღო.

„შალკემ“ ბერლინის „ჰერტას“ უმასპინძლა და პირველ 45 წუთში, თამაშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მეტოქეს გადაუარა. გელზენკირხენელებმა ამ დროის განმავლობაში ოცჯერ დაურტყეს კირალის, სტუმრებმა კი ეს სულ ოთხჯერ მოახერხეს. მიუხედავად ამისა, ტაიმი 1:1 დასრულდა. ბურთები სანემ და აიგენრაუხმა შეაგდეს. მეორე ნახევარში თამაში ოდნავ გათანაბრდა, გატანა ორივე გუნდს შეეძლო, თუმცა გოლი აღარ გასულა და თამაშიც, სხვა ოთხი შეხვედრის მსგავსად, ფრედ დასრულდა.

ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება „დუისბურგს“, რომელიც ერთადერთი კლუბია, გასული ათი მატჩიდან ერთიც რომ ვერ მოიგო. შაბათს მისი მეტოქე პირველი ბუნდესლიგის ერთ-ერთი უსუსტესი და უღარიბესი კლუბი „ულმი“ იყო. მასპინძლები ძალიან ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი, თუმცა გაწბილდნენ. არადა, გამარჯვების ჩინებული შანსი ჰქონდათ. მეორე ტაიმში უნსოლდის ხელით თამაშის გამო მსაჯმა სტუმართა კარში პენალტიც დანიშნა, მაგრამ „ულმი“ მეკარე ლაუქსმა იხსნა, რომელმაც ბაიერლეს დარტყმა მოიგერია.

„კაიზერსლაუტერნი“ კვირას შტუტგარტში ჩავიდა და არცთუ ტყუილად. ოტო რეჰაგელის შეგირდები მინდორზე ძალიან მობილიზებულნი გავიდნენ და შედეგიც მოიმკეს: 25-ე წუთზე ხრისტოვმა გაიტანა და „ლაუტერნმაც“ 1:0 მოიგო.

**ვანო ოქროპირიძე**

| № | | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაიერნი | 10 | 6 | 2 | 2 | 18:9 | 9 | 20 | 5 | 3 | 1 | 1 | 11:4 | 7 | 10 | 5 | 3 | 1 | 1 | 7:5 | 2 | 10 |
| 2 | დორტმუნდი | 10 | 6 | 2 | 2 | 15:7 | 8 | 20 | 5 | 3 | 1 | 1 | 8:5 | 3 | 10 | 5 | 3 | 1 | 1 | 7:2 | 5 | 10 |
| 3 | ჰამბურგი | 10 | 5 | 4 | 1 | 20:10 | 10 | 19 | 5 | 3 | 2 | 0 | 13:4 | 9 | 11 | 5 | 2 | 2 | 1 | 7:6 | 1 | 8 |
| 4 | ლევერკუზენი | 10 | 5 | 4 | 1 | 16:9 | 7 | 19 | 5 | 4 | 1 | 0 | 13:5 | 8 | 13 | 5 | 1 | 3 | 1 | 3:4 | -1 | 6 |
| 5 | შალკე | 10 | 4 | 4 | 2 | 13:10 | 3 | 16 | 5 | 1 | 3 | 1 | 5:6 | -1 | 6 | 5 | 3 | 1 | 1 | 8:4 | 4 | 10 |
| 6 | ვერდერი | 10 | 4 | 3 | 3 | 22:13 | 9 | 15 | 5 | 2 | 1 | 2 | 10:7 | 3 | 7 | 5 | 2 | 2 | 1 | 12:6 | 6 | 8 |
| 7 | მიუნხენი | 10 | 4 | 3 | 3 | 16:11 | 5 | 15 | 5 | 3 | 1 | 1 | 11:4 | 7 | 10 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:7 | -2 | 5 |
| 8 | ვოლფსბურგი | 10 | 4 | 3 | 3 | 14:19 | -5 | 15 | 5 | 4 | 0 | 1 | 10:9 | 1 | 12 | 5 | 0 | 3 | 2 | 4:10 | -6 | 3 |
| 9 | ლაუტერნი | 10 | 4 | 1 | 5 | 13:20 | -7 | 13 | 5 | 3 | 0 | 2 | 7:6 | 1 | 9 | 5 | 1 | 1 | 3 | 6:14 | -8 | 4 |
| 10 | ჰანზა | 10 | 4 | 1 | 5 | 14:22 | -8 | 13 | 5 | 4 | 1 | 0 | 11:5 | 6 | 13 | 5 | 0 | 0 | 5 | 3:17 | -14 | 0 |
| 11 | ფრაიბურგი | 10 | 3 | 3 | 4 | 15:11 | 4 | 12 | 5 | 3 | 1 | 1 | 12:4 | 8 | 10 | 5 | 0 | 2 | 3 | 3:7 | -4 | 2 |
| 12 | ჰერტა | 10 | 2 | 6 | 2 | 14:16 | -2 | 12 | 5 | 2 | 3 | 0 | 9:5 | 4 | 9 | 5 | 0 | 3 | 2 | 5:11 | -6 | 3 |
| 13 | უნტერჰახინგი | 10 | 3 | 2 | 5 | 9:12 | -3 | 11 | 5 | 3 | 2 | 0 | 7:2 | 5 | 11 | 5 | 0 | 0 | 5 | 2:10 | -8 | 0 |
| 14 | შტუტგარტი | 10 | 3 | 2 | 5 | 8:13 | -5 | 11 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:7 | -2 | 4 | 5 | 2 | 1 | 2 | 3:6 | -3 | 7 |
| 15 | არმინია | 10 | 2 | 4 | 4 | 8:15 | -7 | 10 | 5 | 1 | 3 | 1 | 4:5 | -1 | 6 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:10 | -6 | 4 |
| 16 | ულმი | 10 | 2 | 3 | 5 | 10:16 | -6 | 9 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:4 | 1 | 7 | 5 | 0 | 2 | 3 | 5:12 | -7 | 2 |
| 17 | აინტრახტი | 10 | 2 | 2 | 6 | 11:16 | -5 | 8 | 5 | 1 | 1 | 3 | 6:7 | -1 | 4 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | -4 | 4 |
| 18 | დუისბურგი | 10 | 0 | 5 | 5 | 9:16 | -7 | 5 | 5 | 0 | 4 | 1 | 4:5 | -1 | [illegible] | 5 | 0 | 1 | 4 | 5:11 | -6 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| აკპობორი (ვოლფსბურგი) | 7 |
| ელბერი (ბაიერნი) | 7 |
| პიზარო (ვერდერი) | 6 |
| კირსტენი (ლევერკუზენი) | 6 |

**XI ტური**

6 ნოემბერი

არმინია - ვერდერი
აინტრახტი - ჰერტა
ლაუტერნი - შალკე
ფრაიბურგი - დუისბურგი
ულმი - ბაიერნი
ჰანზა - ჰამბურგი
მიუნხენი - უნტერჰახინგი
დორტმუნდი - ლევერკუზენი
ვოლფსბურგი - შტუტგარტი

## მეორე ბუნდესლიგა

X ტური

**ვალდჰოფი 4:3 კიკერსი**

1:0 კლაუსცი (1), 1:1 პფუდერერი (23), 2:1 სანტონსი (45), 3:1 კლაუსცი (57), 3:2 პფუდერერი (77), 4:2 პროტცელი (84), 4:3 მარიჩი (85)

**ნიურნბერგი 2:2 ზანქტ პაული**

0:1 მარინი (12), 1:1 ბელიაკოვი (19), 1:2 პოლუნინი (62), 2:2 ჰანკე (70 ს.კ.)

**ბერლინი 1:3 კოტბუსი**

1:0 როსლერი (18), 1:1 ლატუნდილი (80), 1:2 ბეეკი (83), 1:3 მირიუტა (90)

**ჰანოვერი 1:1 კარლსრუე**

1:0 კელი (16), 1:1 მაისნერი (22)

**ქემნიცი 2:2 ალემანია**

0:1 ლიომერმანი (15), 0:2 ლანდგრაფი (35), 1:2 სკელა (45პ), 2:2 ვებერი (86)

**ოფენბახი 1:0 ფიურტი**

1:0 კოლინგერი (80)

**მაინცი 0:0 კიოლნი**

**ფორტუნა 0:0 ობერჰაუზენი**

**გლადბახი — ბოხუმი**

წუხელ გვიან გაიმართა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოტბუსი | 10 | 7 | 0 | 3 | 21:9 | 21 |
| კიოლნი | 10 | 6 | 3 | 1 | 17:7 | 21 |
| ბერლინი | 10 | 5 | 3 | 2 | 20:14 | 18 |
| ალემანია | 10 | 5 | 3 | 2 | 20:19 | 18 |
| ქემნიცი | 10 | 5 | 2 | 3 | 16:13 | 17 |
| ნიურნბერგი | 10 | 5 | 2 | 3 | 17:15 | 17 |
| ფიურტი | 10 | 4 | 4 | 2 | 9:7 | 16 |
| ჰანოვერი | 10 | 4 | 2 | 4 | 16:13 | 14 |
| მაინცი | 10 | 3 | 5 | 2 | 13:13 | 14 |
| ვალდჰოფი | 10 | 3 | 3 | 4 | 15:17 | 12 |
| კიკერსი | 10 | 3 | 3 | 4 | 13:18 | 12 |
| ფორტუნა | 10 | 3 | 2 | 5 | 10:15 | 11 |
| კარლსრუე | 10 | 2 | 4 | 4 | 17:18 | 10 |
| გლადბახი | 9 | 3 | 1 | 5 | 12:15 | 10 |
| ობერჰაუზენი | 10 | 2 | 3 | 5 | 10:15 | 9 |
| ბოხუმი | 9 | 2 | 2 | 5 | 15:19 | 8 |
| ზტ. პაული | 10 | 1 | 5 | 4 | 9:14 | 8 |
| ოფენბახი | 10 | 1 | 3 | 6 | 6:15 | 6 |

## იტალია

### VIII ტური

**ინტერი 1:1 ლაციო**

1:0 სამორანო (36), 1:1 პანკარო (90)

ინტერი: პერუცი, პანუჩი, ბლანი, დომორო, ხ. ძანეტი, დი ბიაჯო, იუგოვიჩი (დაბო 86), გეორგატოსი, პაულო სოუზა, ვიერი, სამორანო

ლაციო: მარკეჯანი, პანკარო, ფერნანდო კოუტუ, მიხაილოვიჩი, ფავალი (ნეგრო 35), სერჟიო კონსეისაო (სიმეონე 58), ვერონი, ალმეიდა, ნედვედი, სალასი, ბოკშიჩი (ს. ინძაგი 73)

გაფრთხილება: სალასი, ფერნანდო კოუტუ, დი ბიაჯო, დომორო, სიმეონე, ალმეიდა

მსაჯი: ტრეოსი

**ვერონა 0:0 მილანი**

ვერონა: ფრეი, ფილიპინი, აპოლონი, ფრანჩესკეტი, ფალსინი, ჯანდებიაჯი (დიანა 12), ბროკი, მარასკო, მელისი (სერიჩი 67), კოლუჩი, ადაილტონი (ალიეტი 79)

მილანი: აბიატი, ნგოტი, კოსტაკურტა, მალდინი, ჰელვეგი, გატუზო, ჯუნტი, სერჟინიო (ორლანდინი 90), ლეონარდო (ბობანი 66), ვეა (შევჩენკო 57), ბირჰოფი

გაფრთხილება: ჰელვეგი, სერიჩი

მსაჯი: კოლინა

**ვენეცია 0:1 ბოლონია**

0:1 ბილიკა (12ს.კ.)

ვენეცია: კასაცა, ბრიოსკი (კარდონე 61), ლუპი, ბილიკა, ბეტარინი, ვალტოლინა (ჩიულო 80), იაჩინი (ბერგი 61), ნანამი, პედონე, მანიერო, პეტკოვიჩი

ბოლონია: პალიუკა, ფალკონე, ბია, ტარანტინო, პარამატი, ნერვო, ინგესონი (პიაჩენტინი 79), მაროკი, ვომე (პაგანინი 64), კ. ანდერსონი, სინიორი (ვენტოლა 84)

გაფრთხილება: მანიერო, ლუპი, პარამატი, ბეტარინი, ვომე, ბია

გაძევება: კარდონე (75)

მსაჯი: სერენა

**რომა 2:2 კალიარი**

1:0 მონტელა (2), 1:1 ოლივეირა (15), 2:1 დელვეკიო (39), 2:2 მბომა (85პ)

რომა: ანტონიოლი, ძაგო, ალდაირი, მანგონე, კაფუ, მარკოს ასუნსაო, ტომაზი, კანდელა, ტოტი, მონტელა, დელვეკიო

კალიარი: სკარპი, დი ლიზო (დე პატრე 79), ლოპესი, ვილა, ძებინა (მოდესტო 63), ამეტრანო (მაიელე 61), ბერეტა, ონილი, მაჩელარი, მბომა, ოლივეირა

გაფრთხილება: დი ლიზო, ძებინა, ამეტრანო, სკარპი, ტოტი

გაძევება: ოლივეირა (72)

მსაჯი: ტრენტალანჯე

**პარმა 2:1 ბარი**

1:0 კანავარო (5), 2:0 ინოჩენტი (28ს.კ.), 2:1 ინოჩენტი (83)

პარმა: ბუფონი, სარტორი, ტურამი, კანავარო, ფუზერი, დ. ბაჯო, ბოგოსიანი (ბრედა 73), ვანოლი (სერენა 59), ორტეგა, კრესპო, დი ვაიო (ვალემი 80)

ბარი: მანჩინი, დე როსა (ნექროიზი 46), ფერარი, ინოჩენტი, დელ გროსო, კოლაუტო, დ. ანდერსონი, მარკიჩი (პეროტა 46), მარკოლინი (ოლივარესი 72), ოსმანოვსკი, მასინგა

გაფრთხილება: მარკოლინი, დე როსა, სარტორი, ორტეგა

მსაჯი: ფარინა

**იუვენტუსი 1:0 პიაჩენცა**

1:0 დელ პიერო (76პ)

იუვენტუსი: ვან დერ სარი, ფერარა (ბირინდელი 67), მონტერო, იულიანო, კონტე (ძამბროტა 46), ტაკინარდი, დავიდსი, ბაკინი (პესოტო 69), ზიდანი, ფ. ინძაგი, დელ პიერო

პიაჩენცა: რომა, ლამაკი, პოლონია, ვერხოვოდი, მანიგეტი, გაუტიერი (ბუზო 67), საკეტი, კრისტალინი, მაცოლა, რასტელი (სტროპა 10), დიონიჯი (რიციტელი 73)

გაფრთხილება: მონტერო, ბუზო, პოლონია

მსაჯი: როდომონტი

**ლეჩე 0:1 პერუჯა**

0:1 ოლივე (69)

ლეჩე: კიმენტი, ხუარესი, ვიალი, სავინო, ბალერი (ბილოტი 81), კონტიჩიო, ლიმა, პიანჯერელი (ბონომი 70), კოლონელო (პარადიზო 60), სესა, ლუკარელი

პერუჯა: მაცანტინი, რიპა, კალორი, მატერაცი, ბა (დაინო 61), ბიზოლი, ნაკატა, ოლივე, მილანეზე (რივალტა 95), მელი, ნ. ამორუზო (სუსი 81)

გაფრთხილება: კონტიჩიო, მელი, ხუარესი, ამორუზო

მსაჯი: მესინა

**ფიორენტინა 1:1 ტორინო**

0:1 სომეზე (88), 1:1 ბალბო (89)

ფიორენტინა: ტოლდო, ადანი (მიატოვიჩი 68), ფირიკანო, რეპკა, დი ლივიო, როსიტო (ბალბო 85), ამორი (ბრესანი 50), ჰაინრიხი, რუი კოშტა, ბატისტუტა, კიეზა

ტორინო: ბუჩი, გალანტე, ანდრე კრუზი, მალტალიატი, ბრამბილა (ტრიკარიკო 69), მენდესი, სკარკილი, კოკო, სომეზე (კუდინი 85), სილენცი (ლენტინი 17), ფერანტე

გაფრთხილება: როსიტო, ტრიკარიკო, ლენტინი, კოკო, სომეზე, დი ლივიო, რუი კოშტა

მსაჯი: პელეგრინო

**უდინეზე 3:2 რეჯინა**

1:0 პოჯი (31), 1:1 კალონი (56), 2:1 ფიორე (73), 3:1 პოჯი (80), 3:2 პოსანცინი (87)

უდინეზე: ტურჩი, სოტილი, ძანკი, ბერტოტო, ჟენო, ჯანიკედა, ფიორე, ვან დერ ვეგტი (ლოკატელი 59), იორგენსენი (მუცი 68), სოსა (ტოლედო 75), პოჯი

რეჯინა: ორლანდონი, ჯიაკეტა, ჩირილო, სტოვინი, ბერნინი, პრალია (იანუცი 90), პირლო, ბარონიო, მორაბიტო (რეგი 75), კალონი (ოშადოგანი 65), პოსანცინი

გაფრთხილება: სოტილი, ჯანიკედა, ჩირილო, პირლო

მსაჯი: ტომბოლინი

# ბედის როლი მარჩელო ლიპის შემოქმედებაში



REUTERS მილანიდან

ინტერი — ლაციო 1:1. მასპინძელი სირილ დომორო და სტუმარი სიმონე ინძაგი (№21) ბურთისთვის იბრძვიან

„ვერ ვიტყვი, რომ ბედი გვწყალობდა. „ლაციოს" 89 წუთის განმავლობაში შანსი არაფრისა ჰქონია, ზოგადად კი კარგად ვითამაშეთ" — თქვა „ინტერის" მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ „სან სიროს" საპრესკონფერენციო დარბაზში რომაელ ლიდერთან დრამატული შეხვედრის დამთავრების შემდეგ.

ძნელია ლიპის არ დაეთანხმო და არა იმიტომ, რომ ამ კაცმა ფეხბურთის ავან-ჩავანი ხუთი თითივით იცის, არამედ იმიტომ, რომ ამას დიდი ფილოსოფია არ ჭირდება. „ინტერს" აგერ უკვე ორი ტურია არ უმართლებს, თანაც გუნდებთან, რომლებიც მართალია ძლიერთა შორის უძლიერესნი გახლავან, მაგრამ შავ-ლურჯთაგან განსხვავებით, ჩემპიონთა ლიგისგან გათავისუფლებული სერია A-ს შეხვედრებში რაღაცის გამოსაწურად თავს ძალას ატანენ.

საილუსტრაციოდ „ინტერის" მეტოქეთა მწვრთნელების მატჩისშემდგომი სიტყვები მოვიტანოთ. წინა ტურში, როდესაც ლიპის ფეხბურთელებმა დერბი წააგეს (1:2), „მილანის" თავკაცმა, ალბერტო ძაკერონიმ თქვა:

„თავდადებით ვითამაშეთ. თითოეულმა ფეხბურთელმა ღირსეულად წარმოაჩინა თავი, მაგრამ აქვე მსურს სწორედ მე ვიყო ის ადამიანი, რომელიც სხვებზე ადრე აღნიშნავს, რომ გამარჯვებაში ხელი რიცხობრივმა უპირატესობამ შეგვიწყო".

მოკლედ გავიხსენოთ, რომ „ინტერისა" და „მილანის" შეხვედრაში „ინტერი" მე-20 წუთზე დაწინაურდა, 31-ზე მსაჯმა იმ გოლის ავტორი, რონალდო გააძევა მოედნიდან და მიუხედავად ამისა შავ-ლურჯებმა 73-ე წუთამდე შეინარჩუნეს უპირატესობა — 73-ზე შევჩენკომ გაუქვითათ, ხოლო ვეამ მეორე 89-ზე გაუტანა.

შაბათის მატჩის შემდეგ კი „ლაციოს" თავკაცმა სვენ გორან ერიკსონმა აღიარა:

„მთელი საათის განმავლობაში ჩვენ უბრალოდ არ ვარსებობდით. „ინტერი" გვჯობდა. მას მეორე გოლის შეგდებაც შეეძლო, მაგრამ ბოლო თხუთმეტ წუთში მდგომარეობა გამოსწორდა და გულმა მიგრძნო, რომ გავქვითავდით".

„ინტერი" მთელი თამაშის განმავლობაში სჯობდა „ლაციოს". ანგარიში 36-ე წუთზე პაულო სოუზას პასით ივან სამორანომ გახსნა. პირველი ტაიმის დამთავრებამდე ორ წუთით ადრე იმავე სამორანოს ლუკა მარკეჯანიმ აუღო ძნელად მოსაგერიებელი დარტყმა. 72-ზე კი ხავიერ ძანეტის პასით კვლავ და კვლავ ჩილელმა ფორვარდმა გაარტყა ძელს ბურთი — ახლო მანძილიდან, დაუცველ კარში ასეთი გოლის ვერგატანა მართლაც უიღბლობის ზეიმი გახლდათ. იყო რამდენიმე სხვა მომენტიც, მაგრამ 90-ე წუთზე მასპინძელთა კართან კუთხური დაინიშნა, ხუან ვერონმა ახლო ძელთან ჩააწოდა, სადაც ჯუზეპე პანკარომ იყოჩაღა და ანგარიში გაქვითა.

მსაჯის დამატებულ წუთებში რომაელებმა კინაღამ გამარჯვების გოლიც გაიტანეს: სინიშა მიხაილოვიჩმა თავისი საფირმო საჯარიმო დაარტყა, რომელიც ანჯელო პერუციმ ვირტუოზულად მოიგერია.

პანკაროს გოლი რომ არა, დღეს „ლაციო" და „იუვენტუსი" ქულათა თანაბარი რაოდენობით იქნებოდნენ პირველ-მეორე ადგილებზე.

ტურინელებმა „პიაჩენცა" ალესანდრო დელ პიეროს მიერ თამაშის დამთავრებამდე 14 წუთით ადრე გატანილი პენალტის წყალობით დაამარცხეს, თუმცა მანამდე ორჯერ ძელს გაარტყეს ბურთი. ორივე ეპიზოდი შესვენების შემდეგ იყო. პირველად ძელმა ფილიპო ინძაგის დარტყმული უკუაგდო, მეორედ კი ედგარ დავიდსის მონდომებას გადაასხა ცივი წყალი. ამათ გარდა იყო 63-ე წუთიც, როდესაც პიეტრო ვერხოვოდმა პაოლო მონტეროს თავური კარის ხაზიდან გამოიტანა.

ბოლოს კი პიაჩენცელთა და მათი კარის ძელთა წინააღმდეგობა, როგორც იქნა, დამარცხდა: ჯოვანი სტროპამ საკუთარ საჯარიმოში ალესანდრო ბირინდელი დასცა და დელ პიერომ თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან ზემოხსენებული გოლი გაიტანა.

მესამე და მეოთხე ადგილებზე მილანური კლუბები მოდიან. „ინტერის" ამბავი ზემოთ მოგახსენეთ, „მილანმა" კი ვერონაში 0:0 ითამაშა. მოგეხსენებათ, ორ ფრონტზე გადაღლილ შავწითლებს ხვალ, სტამბოლში „გალათასარაისთან" შეხვედრაში ჩემპიონთა ლიგის შემდგომ ეტაპზე გასვლა-არგასვლის ბედი უწყდებათ და აქედან გამომდინარე, მთლად თავისებურად ვერ თუ, არ ითამაშეს. იმის თქმა, თუ მილანელებმა კონკრეტულად რა დააკლეს „ვერონასთან" თამაშს ძნელია და, ალბათ, ხანგრძლივ ანალიზსაც ითხოვს, მოკლედ კი ასე ითქმის — მათ მარილი აკლდათ. ეს მარილი ალბერტო ძაკერონის გუნდმა მატჩის ბოლო მონაკვეთში, მოედანზე ანდრეი შევჩენკოს შესვლით მეტ-ნაკლებად შეიძინა, მაგრამ სამი ქულისთვის მაინც არ იყო საკმარისი.

„ფიორენტინასა" და „ტორინოს" შეხვედრაში კი ფლორენციელთა გმირმა, გაბრიელ ბატისტუტამ 55-ე წუთზე პენალტი ვერ გაიტანა — ბურთი ხარიხას მოხვდა. ამ დროს ანგარიში 0:0 იყო. „არტემიო ფრანკიმ" გოლები ბოლო 2 წუთში იხილა. ჯერ ტურინელმა ვინჩენცო სომეზემ იყოჩაღა, მერე კი მასპინძელმა აბელ ბალბომ.

**ბაბუნა ძიძია**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ლაციო | 8 | 5 | 3 | 0 | 19:9 | 10 | 18 | 4 | 3 | 1 | 0 | 13:7 | 6 | 10 | 4 | 2 | 2 | 0 | 6:2 | 4 | 8 |
| 2 | იუვენტუსი | 8 | 5 | 2 | 1 | 10:5 | 5 | 17 | 4 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 5 | 10 | 4 | 2 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 7 |
| 3 | მილანი | 8 | 3 | 5 | 0 | 18:11 | 7 | 14 | 3 | 2 | 1 | 0 | 9:3 | 6 | 7 | 5 | 1 | 4 | 0 | 9:8 | 1 | 7 |
| 4 | ინტერი | 8 | 4 | 2 | 2 | 13:6 | 7 | 14 | 5 | 3 | 1 | 1 | 12:5 | 7 | 10 | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 0 | 4 |
| 5 | რომა | 8 | 3 | 4 | 1 | 13:8 | 5 | 13 | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 1 | 5 | 4 | 2 | 2 | 0 | 8:4 | 4 | 8 |
| 6 | პერუჯა | 8 | 4 | 1 | 3 | 11:11 | 0 | 13 | 4 | 3 | 1 | 0 | 8:3 | 5 | 10 | 4 | 1 | 0 | 3 | 3:8 | -5 | 3 |
| 7 | პარმა | 8 | 3 | 3 | 2 | 13:12 | 1 | 12 | 4 | 2 | 1 | 1 | 7:4 | 3 | 7 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:8 | -2 | 5 |
| 8 | უდინეზე | 8 | 3 | 3 | 2 | 13:12 | 1 | 12 | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 1 | 7 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:6 | 0 | 5 |
| 9 | ტორინო | 8 | 2 | 4 | 2 | 8:9 | -1 | 10 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 2 | 7 | 4 | 0 | 3 | 1 | 2:5 | -3 | 3 |
| 10 | ბოლონია | 8 | 2 | 4 | 2 | 4:6 | -2 | 10 | 4 | 1 | 2 | 1 | 2:1 | 1 | 5 | 4 | 1 | 2 | 1 | 2:5 | -3 | 5 |
| 11 | რეჯინა | 8 | 2 | 3 | 3 | 11:12 | -1 | 9 | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 1 | 5 | 5 | 1 | 1 | 3 | 6:8 | -2 | 4 |
| 12 | ფიორენტინა | 8 | 2 | 3 | 3 | 10:12 | -2 | 9 | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 0 | 7 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:5 | -2 | 2 |
| 13 | ლეჩე | 8 | 2 | 2 | 4 | 9:13 | -4 | 8 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 2 | 7 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:9 | -6 | 1 |
| 14 | ვერონა | 8 | 2 | 2 | 4 | 5:11 | -6 | 8 | 4 | 2 | 1 | 1 | 4:1 | 3 | 7 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:10 | -9 | 1 |
| 15 | ბარი | 8 | 1 | 4 | 3 | 6:9 | -3 | 7 | 4 | 0 | 4 | 0 | 3:3 | 0 | 4 | 4 | 1 | 0 | 3 | 3:6 | -3 | 3 |
| 16 | პიაჩენცა | 8 | 1 | 3 | 4 | 5:9 | -4 | 6 | 4 | 1 | 3 | 0 | 4:2 | 2 | 6 | 4 | 0 | 0 | 4 | 1:7 | -6 | 0 |
| 17 | ვენეცია | 8 | 1 | 2 | 5 | 6:11 | -5 | 5 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 4 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:6 | -3 | 1 |
| 18 | კალიარი | 8 | 0 | 4 | 4 | 7:15 | -8 | 4 | 4 | 0 | 2 | 2 | 2:6 | -4 | 2 | 4 | 0 | 2 | 2 | 5:9 | -4 | 2 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 7 |
| ვიერი (ინტერი) | 5 |
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 5 |
| ვერონი (ლაციო) | 4 |
| ლუკარელი (ლეჩე) | 4 |
| კრესპო (პარმა) | 4 |
| მუცი (უდინეზე) | 4 |

**IX ტური**

7 ნოემბერი

ბოლონია — ინტერი
კალიარი — ფიორენტინა
ლაციო — ვერონა
ლეჩე — უდინეზე
მილანი — ვენეცია
პერუჯა — ბარი
პიაჩენცა — პარმა
რეჯინა — რომა
ტორინო — იუვენტუსი

## სერია B

### IX ტური

**ალძანო 3:1 ჯენოა**

1:0, 2:0 სკალზო (41, 45), 3:0 ფლორიანჩიჩი (61), 3:1 ფრანკიოზო (90პ)

**ტერნანა 2:2 ნაპოლი**

1:0 ტეოდორანი (7), 2:0 მიკოლი (18), 2:1, 2:2 რობიატი (33, 60)

**პისტოიეზე 0:2 ჩეზენა**

0:1 ბაროლო (49), 0:2 კამპედელი (88)

**მონცა 1:0 ატალანტა**

1:0 ტოპიჩი (4)

**ფერმანა 1:2 ვიჩენცა**

1:0 მარინო (4), 1:1 პალადინი (35), 1:2 ბუჩი (80)

**რავენა 0:0 ტრევიზო**

**სამპდორია 0:0 კიევო**

**სავოია 0:0 სალერნიტანა**

**კოზენცა 0:0 ემპოლი**

**პესკარა — ბრეშა**

წუხელ გვიან გაიმართა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატალანტა | 9 | 6 | 1 | 2 | 15:8 | 19 |
| ბრეშა | 8 | 5 | 3 | 0 | 13:3 | 18 |
| ვიჩენცა | 9 | 5 | 1 | 3 | 17:8 | 16 |
| სამპდორია | 9 | 4 | 4 | 1 | 9:6 | 16 |
| ალძანო | 9 | 4 | 2 | 3 | 13:12 | 14 |
| პესკარა | 8 | 3 | 4 | 1 | 13:11 | 13 |
| ნაპოლი | 9 | 3 | 4 | 2 | 14:13 | 13 |
| ტერნანა | 9 | 3 | 4 | 2 | 10:12 | 13 |
| ტრევიზო | 9 | 3 | 3 | 3 | 15:11 | 12 |
| რავენა | 9 | 2 | 5 | 2 | 10:8 | 11 |
| ჩეზენა | 9 | 2 | 5 | 2 | 9:8 | 11 |
| ემპოლი | 9 | 3 | 2 | 4 | 5:12 | 11 |
| კიევო | 9 | 3 | 1 | 5 | 11:12 | 10 |
| მონცა | 9 | 2 | 4 | 3 | 8:10 | 10 |
| კოზენცა | 9 | 2 | 4 | 3 | 7:9 | 10 |
| სავოია | 9 | 2 | 4 | 3 | 9:13 | 10 |
| ჯენოა | 9 | 2 | 2 | 5 | 9:10 | 8 |
| სალერნიტანა | 9 | 1 | 4 | 4 | 9:16 | 7 |
| პისტოიეზე* | 9 | 3 | 1 | 5 | 7:12 | 6 |
| ფერმანა | 9 | 1 | 2 | 6 | 8:17 | 5 |

** „პისტოიეზეს" დაკლებული აქვს 4 ქულა*

# 87 ათასი ცხვირსახოცი

REUTERS მადრიდიდან

## ესპანეთი

X ტური

### ესპანიოლი 1:1 სარაგოსა

0:1 აკუნია (33), 1:1 პოჩეტინიო (90)
ესპანიოლი: კავალიერო, პოჩეტინიო, კრისტობალი, დე ლუკასი, არტეაგა (ველამასანი 46), როტჩენი, სერხიო, გალკა (როხერი 46), მაურო ნავასი, ტამუდო (სერანო 65), ბენიტესი
სარაგოსა: ხუანმი, სუნდგრენი (კუარტერო 55), აგუადო, პაკო, პაბლო, ხუანელე, აკუნია, არაგონი (გარიტანო 90), ჟამელი (ელგერა 85), მილოშევიჩი, ველისკა
გაფრთხილება: როტჩენი, პოჩეტინიო, ჟამელი, კუარტერო, ბენიტესი
მსაჯი: მედინა კანტალეხო

### ალავესი 1:0 სელტა

1:0 ხულიო სალინასი (61)
ალავესი: ერერა, ხოსეტე, ტელიესი, კარმონა, ნან რივერა (ხავი მორენო 84), პაბლო (ასკოიტია 71), დესიო, მორალესი, კოდრო, მაგნო (ხულიო სალინასი 59), ასტუდილიო
სელტა: დუტრუელი, სერხიო, ჯოროვიჩი, კასერესი, მოსტოვოი, მაკელელე, ჯოვანელა, კარპინი (ტომასი 78), ხუანფრანი, ბენი მაკკარტი (ტურდო 67), გუსტავო ლოპესი (ველასკო 46)
გაფრთხილება: ნან რივერა, ველასკო, მაგნო, მაკელელე, კოდრო, მოსტოვოი, მორალესი, პაბლო, დესიო, ტელიესი, ერერა
გაძევება: მოსტოვოი (41), მაკელელე (49)
მსაჯი: დავილა

### ბეტისი 1:0 სოსიედადი

1:0 ფინიდი (44)
ბეტისი: ტონი პრატსი, მერინო, კარპანი, რივასი, ფილიპესკუ, იტო, ფინიდი (გალვესი 89), დენილსონი (ბენჟამინი 85), კროსა, რომერო (კუელიარი 79), ალფონსო
სოსიედადი: ალბერტო, არანსაბალი, პიკაბეა, ლორენი, ფუენტესი, გომესი, გერერო (კუპბაუერი 40), დე პედრო, ბონილია (დე პაულა 65), იდიაკესი (ალდეონდო 65), სა პინტუ
გაფრთხილება: ლორენი, ფუენტესი, რივასი, დენილსონი, კუპბაუერი, პიკაბეა
მსაჯი: ესკინას ტორესი

### ბილბაო 1:1 ოვიედო

0:1 დუბოვსკი (13), 1:1 ესკერო (20)
ბილბაო: ი. ეჩებერია, ფელიპე, პაჩი ფერეირა, ალკორტა, ლაკრუსი, ი. გერერო, ურუტია (ტიკო 79), ალკისა, ურსაისი, ესკერო, ხ. ეჩებერია
ოვიედო: ესტებანი, რაბარივონი, ბორისი, ბანგო (ოსკარ ალვარესი 54), დანჟუ, პომპეი, პაულო ბენტუ (ივანი 55), ეკურსა, ლოსადა (პინტუ 75), დელი ვალდესი, დუბოვსკი
გაფრთხილება: პაჩი ფერეირა, დუბოვსკი, ბორისი, რაბარივონი
მსაჯი: ანდრადას ასურმენდი

### ნუმანსია 2:0 სევილია

1:0 რუბენ ნავარო (32), 2:0 მორანი (81)
ნუმანსია: ნუნიესი, ოქტავიო, ივან როჩა, მუნისი, ბელსუე, ბარბუ (ტიტო 65), პაჩეტა (მორანი 71), ნაგორე, კასტანიო, რუბენ ნავარო (მორალესი 56), ოხედა
სევილია: ვალენსია, ნანდო (ოლივეირა 68), ექტორი (ხესული 49), ტაბარე, მარჩენა, პრიეტო, ცარტასი, ფრანსისკო, ანხელი, მარსელო ოტერო, ხუან კარლოსი (ზალაიეტა 73)
გაფრთხილება: ბარბუ, ფრანსისკო, კასტანიო, პრიეტო, ნაგორე
გაძევება: ხესული (63)
მსაჯი: ფერნანდეს მარინი

### რეალი 1:3 ატლეტიკო

1:0 მორიენტესი (8), 1:1 ჰასელბაინკი (12), 1:2 ხოსე მარი (30), 1:3 ჰასელბაინკი (38)
რეალი: ბიზარი, რობერტო კარლოსი, ხულიო სეზარი, ივან კამპო, მიჩელ სალგადო, გუტი (კასილიასი 49), ზეედორფი, რედონდო (კარემბუ 62), ივან ელგუერა (ეტოო 69), მორიენტესი, რაული
ატლეტიკო: მოლინა, კაპდევილა, შამოტი, გამარა, გასპარი, აგილერა (ვალერონი 64), ბარახა, ბეიბლი, ჰასელბაინკი (პაუნოვიჩი 89), სოლარი, ხოსე მარი (კორეა 79)
გაფრთხილება: ბარახა, ხოსე მარი, რობერტო კარლოსი
გაძევება: ბიზარი (49)
მსაჯი: ანტონიო ლოპეს ნიეტო

### დეპორტივო 2:1 ბარსელონა

1:0, 2:0 მაკაი (1, 17), 2:1 რივალდო (66)
დეპორტივო: სონგო, რომერო, ნაიბეტი, მანუელ პაბლო, ჯალმინია, იოკანოვიჩი, მაურო სილვა, დონატო, ტურუ ფლორესი (ფერნანდო 74), ვიქტორი (სკალონი 87), მაკაი (პაულეტა 73)
ბარსელონა: არნაუ, სერხი, დეუ (სიმაო 46), აბელარდო (პუიოლი 46), რაიციგერი, გაბრი (რ. დე ბური 56), კოკუ, გვარდიოლა, რივალდო, დანი, ფიგუ
გაფრთხილება: იოკანოვიჩი, ფიგუ, ჯალმინია, გვარდიოლა, ვიქტორი, პუიოლი, მაურო სილვა
მსაჯი: ტურიენდო ალვარესი

### მალაგა 1:1 ვალენსია

1:0 ედგარი (28), 1:1 კლაუდიო ლოპესი (67)
მალაგა: კონტრერასი, ვალკარსე, ლარაინსარი, ბრავო, როხასი, რუფეტი (რუანო 86), აგოსტინო (დარიო სილვა 74), მოვილია (სანდრო 69), დე ლოს სანტოსი, კატანია, ედგარი
ვალენსია: პალოპი, კარბონი, პელეგრინო, ჯუკიჩი, სორია, ხერარდი, კილი გონსალესი, მენდიეტა (ფარინოსი 70), ალბელდა (ოსკარი 58), კლაუდიო ლოპესი, ხუან სანჩესი (მილია 79)
გაფრთხილება: სანდრო, მილია, როხასი, სორია, კარბონი
მსაჯი: დაუდენ იბანიესი

### ვალიადოლიდი 1:2 რაიო

0:1 ფერონი (9), 1:1 ვიქტორი (68), 1:2 ლორენსი (83)
ვალიადოლიდი: სესარი, მარკოსი, პენია, გარსია კალვო, სანტამარია, ჩემა, ეუსებიო (ტურიელი 80), აროლდ ლოზანო, ვიქტორი, პეტერნაკი (ალბერტო 74), როდრიგო
რაიო ვალეკანო: კელერი, კლოტე, ფერონი (ამაია 80), ლორენსი, ესტიბარისი, ერნანდესი, კოტა, პოშნერი (მიჩელი 62), სემბრანოსი, კანაბალი (პაბლო სანსი 34), ბოლო
გაფრთხილება: მარკოსი, ესტიბარისი, პენია, პაბლო სანსი, პოშნერი
მსაჯი: მანუელ დიას ვეგა

### რასინგი 1:1 მალიორკა

1:0 ამავისკა (763), 1:1 სტანკოვიჩი (79)
რასინგი: სებალიოსი, არსენო, სიეტესი, მელბერგი, ტაისი, ვივარ დორადო, ბილაბონია (მანხარინი 70), ესპინია, სალვა (რუშფელტი 72), ამავისკა, მუნიტისი
მალიორკა: ბურგოსი (ლეო ფრანკო 46), მიგელ სოლერი, სივიერო, ნადალი, ოლაიზოლა, ი. სტანკოვიჩი, სერისუელა (ჩიჩი სოლერი 89), ენგონგა, ლორენი, დიეგო ტრისტანი, კინტეროსი (ლეო ბიაჯინი 68)
გაფრთხილება: არსენო, ოლაიზოლა, ამავისკა, მიგელ სოლერი, ბილაბონია, ენგონგა
მსაჯი: იტურალდე გონსალესი



რეალი — ატლეტიკო 1:3. ატლეტიკოელთა ჰოლანდიელმა ლეგიონერმა ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა (მარჯვნივ) ალბანო ბიზარის (მარცხნივ) ორი გოლი გაუტანა

მადრიდულ დერბიში, „ატლეტიკოსთან" 1:3 დამარცხების შემდეგ, „რეალის" უელსელი მწვრთნელის, ჯონ ტოშაკის მოხსნის მოწოდებები გაისმა.

მარცხის მეორე დღეს, როდესაც ტოშაკი „სამეფო გუნდის" საწვრთნელ ბაზაზე მივიდა, დახვდა გულშემატკივართა ჯგუფი, რომელიც მონდომებით გაიძახოდა მის საწინააღმდეგო ლოზუნგებს. ფანების აზრით, „ატლეტიკოსთან" შეხვედრა გახლდათ უარესი, ამ სეზონის ცუდად ჩატარებულ მატჩებს შორის.

„რეალის" პრეზიდენტმა, ლორენცო სანსმა, უშუალოდ თამაშის შემდეგ კომენტარზე უარი განაცხადა, კვირას კი ოფისში არ მისულა. აღსანიშნავია, რომ აქამდე პრეზიდენტი უელსელის თავდადებული დამცველი გახლდათ, ხოლო რა მოხდება ახლა, როდესაც „რეალმა" ესპანეთის ჩემპიონატში ზედიზედ მერვე შეხვედრა ჩაატარა გამარჯვების გარეშე, ძნელი სათქმელია, მით უფრო, რომ პრესაში გვარიანმა კრიტიკამ იძალა.

„მესმის ხალხის უკმაყოფილების მიზეზი" — განაცხადა ტოშაკმა — „მომხმარებელი ხომ ყოველთვის მართალია, მაგრამ მზად ვარ მუშაობა განვაგრძო. „მოლდესთან" მომავალ შეხვედრაზე ვფიქრობ".

მაშ ასე, პრიმერადივიზიონის მეათე ტურში „რეალმა" წააგო. წააგო „ბარსელონამაც", ლა კორუნიაში, „დეპორტივოსთან" 1:2. გრანდთა ძლევაში დიდი როლი ჰოლანდიელმა ფეხბურთელებმა ითამაშეს, „ბარსელონას" ლა კორუნიის გუნდის თავდამსხმელმა როი მაკაიმ, ხოლო „რეალს" ატლეტიკოელმა ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა გაუტანეს ორ-ორი გოლი.

„ბარსელონას" მარცხმა ცხრილის სათავეში მადრიდის მესამე გუნდი, „რა[illegible]ო ვალეკანო" დააბრუნა, რომელმაც სტუმრად სძლია „ვალიადოლიდს" 2:1.

კატალონიელთა მეტოქე, „დეპორტივო" ყველა პოზიციაზე უფრო ძლიერი ჩანდა, მეტადრე, როდესაც საქმე შეტევას ეხებოდა, რაც „ბარსას" მცველთა აშკარად სუსტი თამაშის შედეგი გახლდათ. შეხვედრის დაწყებიდან ერთი წუთიც არ იყო გასული, როდესაც აბელარდოს შეცდომით მაკაიმ ისარგებლა და ანგარიში გახსნა, ხოლო, მსაჯის საათმა მეჩვიდმეტე წუთი რომ ჩამოჰკრა, იმავე ფორვარდმა მეორედაც დალაშქრა სტუმართა კარი.

„ბარსელონამ" თავისი ერთადერთი გოლი მეორე ტაიმის შუაში გაიტანა. მისი ავტორი გახლდათ რივალდო.

„დეპორტივოს გაუმართლა. თამაშის დასაწყისში გატანი[illegible] ორ გოლს სხვას ვერაფერს ვუწოდებ. ჩვენ კი ერთობ [illegible] მოვ[illegible] გონს" — [illegible] მატჩის შემდეგ დამარცხებულთა მწვრთნელმა ლუის [illegible] განაცხადა.

„სანტიაგო ბერნაბეუზე" [illegible] „რეალისა" და „ატლეტიკოს" ზემოხსენებულ დერბიში, ოთხივე გოლი პირველ ტაიმში გავიდა. მატჩის მიწურულს 87 ათასი გულშემატკივარი თეთრ ცხვირსახოცს აფრიალებდა, რაც პროტესტის გამოხატვის ესპანური ფორმა გახლავთ.

„სამართლიანი ანგარიში იყო. მეტიც, უარესი შეიძლებოდა მომხდარიყო. გუნდს კონცენტრაცია აკლდა და აქ მიზეზად ტრავმების დასახელება სისულელე იქნებოდა. ჩვენ ისე ვთამაშობთ, როგორც მე ნამდვილად არ მსურს" — ეს სიტყვებიც ტოშაკს ეკუთვნის.

„ჩვენ დღითიდღე ვაუმჯობესებთ თამაშს და დღევანდელი შედეგიც კარგი ფეხბურთის ლოგიკური გაგრძელება გახლდათ" — თქვა „ატლეტიკოს" მეორე გოლის ავტორმა ხოსე მარიმ.

ესპანეთის მესამე წარგზავნილმა ჩემპიონთა ლიგაში, „ვალენსიამ", „რეალისა" და „ბარსელონასგან" განსხვავებით ქულა მოიპოვა — მალაგაში 1:1 ითამაშა. საგულისხმოა, რომ საერთაშორისო სარბიელზე ჩინებული გამოსვლის პარალელურად „ვალენსიას" შინაური საქმეები ძალიან ცუდად მიუდის — გუნდი მე-15 ადგილზეა.

ვალენსიელთაგან გოლი არგენტინელმა თავდამსხმელმა კლაუდიო ლოპესმა გაიტანა. მან ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ ესპანელი მიმომხილველები კითხულობენ: იმსახურებდა კი ექტორ კუპერის გუნდი თუნდაც ქულას?

**მიხეილ სურგულაძე**

| № | სულ: თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ: თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად: თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 რაიო ვალეკანო | 10 | 7 | 1 | 2 | 14:9 | 5 | 22 | 5 | 3 | 0 | 2 | 7:7 | 0 | 9 | 5 | 4 | 1 | 0 | 7:2 | 5 | 13 |
| 2 ბარსელონა | 10 | 6 | 2 | 2 | 24:11 | 13 | 20 | 5 | 4 | 1 | 0 | 15:3 | 12 | 13 | 5 | 2 | 1 | 2 | 9:8 | 1 | 7 |
| 3 სარაგოსა | 10 | 5 | 3 | 2 | 17:7 | 10 | 18 | 5 | 4 | 1 | 0 | 14:2 | 12 | 13 | 5 | 1 | 2 | 2 | 3:5 | -2 | 5 |
| 4 დეპორტივო | 10 | 5 | 3 | 2 | 18:12 | 6 | 18 | 5 | 4 | 0 | 1 | 12:5 | 7 | 12 | 5 | 1 | 3 | 1 | 6:7 | -1 | 6 |
| 5 სელტა | 10 | 6 | 0 | 4 | 11:10 | 1 | 18 | 5 | 4 | 0 | 1 | 7:4 | 3 | 12 | 5 | 2 | 0 | 3 | 4:6 | -2 | 6 |
| 6 ბეტისი | 10 | 5 | 1 | 4 | 9:13 | -4 | 16 | 5 | 4 | 1 | 0 | 5:1 | 4 | 13 | 5 | 1 | 0 | 4 | 4:12 | -8 | 3 |
| 7 რასინგი | 10 | 4 | 3 | 3 | 18:16 | 2 | 15 | 5 | 1 | 3 | 1 | 8:6 | 2 | 6 | 5 | 3 | 0 | 2 | 10:10 | 0 | 9 |
| 8 ესპანიოლი | 10 | 4 | 2 | 4 | 13:14 | -1 | 14 | 5 | 3 | 2 | 0 | 9:5 | 4 | 11 | 5 | 1 | 0 | 4 | 4:9 | -5 | 3 |
| 9 ალავესი | 10 | 4 | 2 | 4 | 9:10 | -1 | 14 | 5 | 3 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 10 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:7 | -3 | 4 |
| 10 ატლეტიკო | 10 | 4 | 1 | 5 | 14:16 | -2 | 13 | 5 | 3 | 0 | 2 | 7:5 | 2 | 9 | 5 | 1 | 1 | 3 | 7:11 | -4 | 4 |
| 11 რეალი | 10 | 2 | 6 | 2 | 18:17 | 1 | 12 | 5 | 1 | 2 | 2 | 10:10 | 0 | 5 | 5 | 1 | 4 | 0 | 8:7 | 1 | 7 |
| 12 ბილბაო | 10 | 3 | 3 | 4 | 13:17 | -4 | 12 | 5 | 2 | 2 | 1 | 7:6 | 1 | 8 | 5 | 1 | 1 | 3 | 6:11 | -5 | 4 |
| 13 ოვიედო | 10 | 3 | 3 | 4 | 9:13 | -4 | 12 | 5 | 3 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 10 | 5 | 0 | 2 | 3 | 4:10 | -6 | 2 |
| 14 ნუმანსია | 10 | 3 | 3 | 4 | 11:17 | -6 | 12 | 5 | 2 | 3 | 0 | 8:5 | 3 | 9 | 5 | 1 | 0 | 4 | 3:12 | -9 | 3 |
| 15 ვალენსია | 10 | 3 | 2 | 5 | 13:12 | 1 | 11 | 5 | 2 | 1 | 2 | 7:4 | 3 | 7 | 5 | 1 | 1 | 3 | 6:8 | -2 | 4 |
| 16 მალიორკა | 10 | 3 | 2 | 5 | 13:15 | -2 | 11 | 5 | 3 | 1 | 1 | 10:6 | 4 | 10 | 5 | 0 | 1 | 4 | 3:9 | -6 | 1 |
| 17 ვალიადოლიდი | 10 | 3 | 2 | 5 | 10:14 | -4 | 11 | 5 | 3 | 0 | 2 | 8:7 | 1 | 9 | 5 | 0 | 2 | 3 | 2:7 | -5 | 2 |
| 18 მალაგა | 10 | 2 | 3 | 5 | 15:19 | -4 | 9 | 5 | 2 | 2 | 1 | 9:6 | 3 | 8 | 5 | 0 | 1 | 4 | 6:13 | -7 | 1 |
| 19 სოსიედადი | 10 | 2 | 3 | 5 | 12:17 | -5 | 9 | 5 | 2 | 1 | 2 | 9:10 | -1 | 7 | 5 | 0 | 2 | 3 | 3:7 | -4 | 2 |
| 20 სევილია | 10 | 1 | 5 | 4 | 11:13 | -2 | 8 | 5 | 1 | 3 | 1 | 7:5 | 2 | 6 | 5 | 0 | 2 | 3 | 4:8 | -4 | 2 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| სალვა (რასინგი) | 13 |
| მილოშევიჩი (სარაგოსა) | 10 |
| კატანია (მალაგა) | 7 |
| დანი (ბარსელონა) | 7 |
| რივალდო (ბარსელონა) | 7 |
| ჰასელბაინკი (ატლეტიკო) | 7 |

### XI ტური

7 ნოემბერი

რასინგი — ესპანიოლი
სარაგოსა — ალავესი
სელტა — ბეტისი
სოსიედადი — ვალიადოლიდი
რაიო — რეალი
ატლეტიკო — ნუმანსია
სევილია — ბილბაო
ოვიედო — დეპორტივო
ბარსელონა — მალაგა
მალიორკა — ვალენსია

## მეორე დივიზიონი

XII ტური

### კორდობა 1:4 ლეიდა

1:0 ალბერტო საავედრა (5), 1:1 ხოსემი (18), 1:2 კიკე ალვარესი (78), 1:3 როა (85), 1:4 სიმეონი (89)

### ლას პალმასი 1:0 ლოგრონიესი

1:0 რენალდო (70)

### ოსასუნა 0:1 ალბასეტე

0:1 ხესუსი (57)

### ლეგანესი 1:0 ბადახოსი

1:0 პაჩონი (88)

### კომპოსტელა 2:2 სალამანკა

1:0 მაურისიო (48), 2:0 მაურო (58), 2:1 ბარბარა (76), 2:2 იონი (79)

### მერიდა 3:1 ეიბარი

1:0 ტალი (40), 1:1 რუბენი (43), 2:1 უნაი (48), 3:1 მონტეგუდო (81)

### ტოლედო 2:0 ელჩე

1:0 ქუინი (22), 2:0 დავიდი (86)

### უელვა 0:4 ვილიარეალი

0:1 გალვანი (18), 0:2, 0:3 მოიზესი (58, 71), 0:4 ისაკი (90)

### სპორტინგი 4:0 ლევანტე

1:0 ხურადო (21), 2:0, 3:0 ჩერიშევი (30, 803), 4:0 მანოლო (90)

### ტენერიფე 3:0 ესტრემადურა

1:0 მისტა (23), 2:0 პიერი (54), 3:0 მისტა (65)

### ატლეტიკო B 0:0 ხეტაფე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლას პალმასი | 12 | 8 | 1 | 3 | 23:10 | 25 |
| სალამანკა | 12 | 7 | 4 | 1 | 18:10 | 25 |
| ესტრემადურა | 12 | 7 | 3 | 2 | 14:11 | 24 |
| ალბასეტე | 12 | 6 | 3 | 3 | 12:10 | 21 |
| სპორტინგი | 12 | 6 | 1 | 5 | 19:16 | 19 |
| ლევანტე | 12 | 5 | 4 | 3 | 19:19 | 19 |
| ტენერიფე | 12 | 5 | 3 | 4 | 18:14 | 18 |
| ლეიდა | 12 | 5 | 2 | 5 | 19:16 | 17 |
| ეიბარი | 12 | 4 | 5 | 3 | 18:15 | 17 |
| მერიდა | 12 | 4 | 5 | 3 | 13:10 | 17 |
| ბადახოსი | 12 | 3 | 8 | 1 | 11:9 | 17 |
| ვილიარეალი | 12 | 4 | 4 | 4 | 17:14 | 16 |
| ოსასუნა | 12 | 5 | 1 | 6 | 13:13 | 16 |
| კომპოსტელა | 12 | 4 | 3 | 5 | 16:17 | 15 |
| ელჩე | 12 | 3 | 5 | 4 | 14:15 | 14 |
| კორდობა | 12 | 3 | 4 | 5 | 12:14 | 13 |
| ლოგრონიესი | 12 | 2 | 6 | 4 | 17:18 | 12 |
| უელვა | 12 | 3 | 3 | 6 | 9:18 | 12 |
| ხეტაფე | 12 | 2 | 5 | 5 | 8:13 | 11 |
| ატლეტიკო B | 12 | 2 | 4 | 6 | 10:17 | 10 |
| ტოლედო | 12 | 2 | 3 | 7 | 8:17 | 9 |
| ლეგანესი | 12 | 1 | 5 | 6 | 8:20 | 8 |



REUTERS

ნანტი — მონაკო 0:3. ნანტელი შარლ დივენიუ (მარცხნივ) და მარსელელი ლუდოვიკ ჟიული ბურთისთვის იბრძვიან

## საფრანგეთი

XIII ტური

**ლანსი 1:1 რენი**
0:1 ნონდა (28), 1:1 ნუმა (54)

**ლე ავრი 3:1 პსჟ**
1:0, 2:0 ლესაჟე (34, 51), 3:0 ბუზელინი (65), 3:1 კრისტიანი (85)

**მარსელი 4:1 სტრასბური**
1:0 პირესი (4), 2:0 მორისი (20), 3:0 რავანელი (48), 4:0 ბაკაიოკო (83), 4:1 დიეგო გარაი (90)

**ოსერი 2:1 მონპელიე**
1:0 მარლე (23), 2:0 გივარში (54), 2:1 ლოკო (82)

**ნანსი 2:2 ბორდო**
1:0 მორე (2), 1:1 ვილტორდი (45), 2:1 ვიარტი (55), 2:2 სანჩესი (66)

**სენტ ეტიენი 2:0 მეცი**
1:0 ალექსი (45), 2:0 სუბია (70)

**ბასტია 5:0 ტრუა**
1:0 ლაშუერი (11), 2:0 იურიეტი (29), 3:0 ანდრე (64), 4:0 პრინსი (69), 5:0 მენდი (83)

**სედანი 2:0 ლიონი**
1:0 ნდიეფი (21), 2:0 დებლოკი (90)

**ნანტი 0:3 მონაკო**
0:1 სიმონე (10), 0:2 ტრეზეგე (62), 0:3 ჟიული (87)

საფრანგეთის ჩემპიონატის მორიგი ტური სამ დღეს გაგრძელდა — პარასკევს დაიწყო და კვირას დასრულდა

„ნანტმა“ „მონაკოსთან“ 0:3 წააგო. მე-10 წუთზე ტრეზეგემ მარცხენა ფლანგიდან სიმონეს ჩააწოდა და ამ უკანასკნელმაც სეზონში თავისი მეცხრე გოლი მიითვალა. შემდეგ თავად ტრეზეგემაც გაიტანა. 87-ე წუთზე ლუდოვიკ ჟიულიმ მესამეც შეაგდო.

„ლიონმა“ აქამდე ზედიზედ სამი მატჩი მოიგო, „სედანი“ კი ვეღარ დაამარცხა. ნდიეფის და დებლოკის გოლებით „სედანმა“ 2:0 იმარჯვა.

„ბასტიამ“ 5:0 მოუგო —ტრუას“. ამ შეხვედრაში საინტერესო ის იყო, რომ ორი, ან მეტი გოლის გატანა ვერც ერთმა კორსიკელმა ვერ შეძლო.

„სენტ ეტიენი“ „მეცს“ მასპინძლობდა. სტუმართა მეკარემ ლეტიზიმ თამაში კი საიმედოდ დაიწყო, მაგრამ ტაიმის მიწურულს უხეში შეცდომა დაუშვა. ამით ისარგებლა ბრაზილიელმა ალექსმა და მასპინძლები დაწინაურდნენ. მეორე ტაიმში ვეტერანმა ნესტორ სუბიამ მეორეც შეაგდო. „სენტ ეტიენმა“ 2:0 მოიგო.

„ნანსი“ ორჯერ დაწინაურდა „ბორდოსთან“ შეხვედრაში, მაგრამ ჩემპიონმა ორჯერვე შეძლო ანგარიშის გათანაბრება. 83-ე წუთზე კი მასპინძლებს ბიანკალინი გაუძევეს. „ბორდოს“ საჯარიმოში ეს ფეხბურთელი სტუმართა მცველს გრენეს შეეჯახა და მსაჯს პენალტის დანიშვნას სთხოვდა. არბიტრმა სხვაგვარად განსაჯა და კამათისთვის და სიმულაციისთვის ბიანკალინი გააძევა.

„ოსერმა“ მარლეს და გივარშის გოლებით 2:1 მოუგო „მონპელიეს“. სტუმართაგან ნაკრების ყოფილმა თავდამსხმელმა ლოკომ გაიტანა. აღსანიშნავია, რომ „ოსერმა“ შინ ჩატარებულ 7 მატჩიდან ყველა მოიგო.

„მარსელმა“ 4:1 „სტრასბურს“ მოუგო, მასპინძელთაგან პირესმა, მორისმა, რავანელიმ და შეცვლაზე შემოსულმა ბაკაიოკომ იხეირეს. შეხვედრის მიწურულს გარაიმ 30 მეტრიდან პრესტიჟის გოლი გაიტანა. „სტრასბურგმა“ შეხვედრა 10 კაცით დაამთავრა, მას შემდეგ, რაც პიერ ნიანკა გაუძევეს.

წინა სეზონში „ლე ავრმა“ პსჟ-სთან შინ 0:4 წააგო. გასულ შაბათს გამართულ შეხვედრაში მასპინძლებმა რევანში აიღეს და პარიზელები 3:1 დაამარცხეს. სტუმართაგან რობერმა ორი ყვითელი ბარათი მიიღო და მინდორი ნაადრევად დატოვა.

„ლანსმა“ შინ 1:1 ითამაშა „რენთან“. ამ შეხვედრაში მასპინძლებს ძირითადი შემადგენლობის ერთბაშად ექვსი მოთამაშე აკლდათ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოსერი | 12 | 8 | 2 | 2 | 21:14 | 26 |
| ლიონი | 13 | 7 | 3 | 3 | 15:10 | 24 |
| მონაკო | 12 | 7 | 2 | 3 | 27:12 | 23 |
| ბორდო | 13 | 6 | 4 | 3 | 23:18 | 22 |
| პსჟ | 13 | 6 | 3 | 4 | 19:17 | 21 |
| მარსელი | 13 | 5 | 5 | 3 | 19:13 | 20 |
| სენტ ეტიენი | 13 | 5 | 4 | 4 | 21:21 | 19 |
| სედანი | 13 | 6 | 1 | 6 | 20:23 | 19 |
| მეცი | 13 | 4 | 6 | 3 | 16:11 | 18 |
| რენი | 13 | 5 | 3 | 5 | 20:19 | 18 |
| ბასტია | 13 | 4 | 5 | 4 | 20:18 | 17 |
| სტრასბური | 13 | 4 | 4 | 5 | 14:21 | 16 |
| ლანსი | 13 | 4 | 3 | 6 | 9:15 | 15 |
| ნანსი | 13 | 3 | 4 | 6 | 19:20 | 13 |
| ლე ავრი | 13 | 3 | 4 | 6 | 14:21 | 13 |
| მონპელიე | 13 | 3 | 3 | 7 | 15:21 | 12 |
| ნანტი | 13 | 4 | 0 | 9 | 13:19 | 12 |
| ტრუა | 13 | 4 | 0 | 9 | 10:22 | 12 |

### მეორე დივიზიონი

მე-16 ტური. გენგამი — ლორიანი 3:0; ლავალი — ვალანსი 3:2; ნიმი — კანი 1:1; ნიცა — კაენი 0:0; აიაჩო — ლე მანი 0:1; შატორუ — ნიორი 1:0; ლუანი — ვასკეალი 2:1; ტულუზი — კრეტეი 1:1; ლილი — სოშო 0:1; ამიენი — გენიონი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 16 | 12 | 2 | 2 | 24:8 | 38 |
| გენგამი | 16 | 9 | 5 | 2 | 30:19 | 32 |
| ტულუზი | 16 | 8 | 3 | 5 | 24:12 | 27 |
| კაენი | 16 | 7 | 6 | 3 | 20:12 | 27 |
| ნიმი | 16 | 7 | 4 | 5 | 18:15 | 25 |
| ლე მანი | 16 | 6 | 7 | 3 | 18:17 | 25 |
| გენიონი | 16 | 6 | 6 | 4 | 20:15 | 24 |
| კანი | 16 | 6 | 5 | 5 | 14:15 | 23 |
| სოშო | 16 | 6 | 4 | 6 | 17:15 | 22 |
| ლავალი | 16 | 5 | 6 | 5 | 17:16 | 21 |
| ამიენი | 16 | 4 | 9 | 3 | 17:17 | 21 |
| ლორიანი | 16 | 6 | 3 | 7 | 14:16 | 21 |
| კრეტეი | 16 | 4 | 6 | 6 | 14:19 | 18 |
| ნიცა | 16 | 2 | 11 | 3 | 11:12 | 17 |
| აიაჩო | 16 | 5 | 2 | 9 | 16:22 | 17 |
| შატორუ | 16 | 4 | 5 | 7 | 15:23 | 17 |
| ვალანსი | 16 | 2 | 7 | 7 | 15:22 | 13 |
| ნიორი | 16 | 2 | 7 | 7 | 11:20 | 13 |
| ლუანი | 16 | 3 | 4 | 9 | 12:23 | 13 |
| ვასკეალი | 16 | 2 | 6 | 8 | 11:20 | 12 |

## ბელგია

XI ტური

**აალსტი 2:0 მეხელენი**
1:0 მისენი (39), 2:0 ვან პიდენი (71)

**ბრიუგე 5:2 სტანდარდი**
1:0 მარტენსი (8), 2:0 ანიჩი (17), 3:0 ფადიგა (44), 4:0 ვერმანტი (45), 4:1 პიერი (50), 4:2 ლიკუნკუ (51), 5:2 იანსენი (82)

**გეელი 1:1 ბევერენი**
0:1 ნუპი (29), 1:1 ზეფილო (90)

**ლომელი 1:1 შარლერუა**
1:0 გომისი (6), 1:1 კუედრაგო (70)

**სენტ ტრუიდენი 0:5 გენკი**
0:1 ვანგრონსველდი (8), 0:2 იანსონი (23), 0:3, 0:4 ორიგი (27, 47), 0:5 ოლივიერი (66)

**ლოკერენი 0:4 გენტი**
0:1 იოლი (35), 0:2 სზეკერსი (40), 0:3 კარეზი (82), 0:4 აარსტი (86)

**ბეერსხოტი 3:2 ვესტერლო**
0:1 შასენსი (3), 1:1 სონკი (15), 2:1, 3:1 დემკინი (18, 36), 3:2 ბრონო (42)

**ლიერსი 1:0 მუსკრონი**
1:0 ვან მეირი (66)

**ანდერლეხტი 2:0 ჰარელბეკე**
1:0 ეკაკია (72), 2:0 დე ბოეკი (77)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 10 | 8 | 2 | 0 | 30:14 | 26 |
| ლიერსი | 11 | 8 | 2 | 1 | 23:11 | 26 |
| გენტი | 11 | 8 | 0 | 3 | 35:18 | 24 |
| გენკი | 11 | 6 | 4 | 1 | 29:14 | 22 |
| ბეერსხოტი | 11 | 6 | 2 | 3 | 21:17 | 20 |
| ბრიუგე | 10 | 6 | 1 | 3 | 26:10 | 19 |
| აალსტი | 11 | 5 | 2 | 4 | 21:16 | 17 |
| შარლერუა | 11 | 4 | 4 | 3 | 16:14 | 16 |
| მეხელენი | 11 | 5 | 1 | 5 | 14:21 | 16 |
| ვესტერლო | 10 | 4 | 3 | 3 | 22:20 | 15 |
| მუსკრონი | 11 | 4 | 2 | 5 | 21:19 | 14 |
| სტანდარდი | 11 | 4 | 1 | 6 | 16:21 | 13 |
| სენტ ტრუიდენი | 11 | 2 | 3 | 6 | 13:28 | 9 |
| ჰარელბეკე | 11 | 1 | 4 | 6 | 10:18 | 7 |
| ლოკერენი | 11 | 1 | 4 | 6 | 12:23 | 7 |
| ლომელი | 11 | 1 | 4 | 6 | 14:26 | 7 |
| გეელი | 11 | 0 | 6 | 5 | 6:21 | 6 |
| ბევერენი | 10 | 0 | 3 | 7 | 10:28 | 3 |

## ალბანეთი

მე-6 ტური: აპოლონია — ბილიში 1:1; ელბასანი — ლუშნია 2:1; შკიპონია — შკუმბინი 2:1; დინამო — პარტიზანი 2:1; ტირანა — ტომორი 0:0; ფლამურტარი — ტეუტა 1:0; ვლაზნია — შკენდერბეუ 2:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტეუტა | 6 | 4 | 0 | 2 | 9:4 | 12 |
| ტომორი | 6 | 3 | 3 | 0 | 7:3 | 12 |
| ტირანა | 6 | 3 | 2 | 1 | 5:1 | 11 |
| შკიპონია | 6 | 3 | 2 | 1 | 6:3 | 11 |
| ბილიში | 6 | 2 | 4 | 0 | 11:7 | 10 |
| ლუშნია | 6 | 2 | 2 | 2 | 8:7 | 8 |
| შკუმბინი | 6 | 1 | 4 | 1 | 6:6 | 7 |
| შკენდერბეუ | 6 | 2 | 1 | 3 | 6:7 | 7 |
| ვლაზნია | 6 | 2 | 1 | 3 | 6:8 | 7 |
| ფლამურტარი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:11 | 7 |
| ელბასანი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:8 | 7 |
| პარტიზანი | 6 | 1 | 2 | 3 | 7:8 | 5 |
| დინამო | 6 | 1 | 2 | 3 | 5:8 | 5 |
| აპოლონია | 6 | 0 | 3 | 3 | 3:11 | 3 |

## ინგლისი

ასოციაციის თასი. I ეტაპი: ბარნეტი — ბარნლი 0:1; ბრისტოლ როვერსი — პრესტონი 0:1; ჰარტლ[illegible]ლი — მილუოლი 1:0; ალდერშოთ[illegible] ჰედნესფორდი 1:1 (გადათამაშება [illegible]); ბათი — ჰენდონი 0:2; ბლეკპული — სტოკი 2:0; ბრენტფორდი — პლიმუთი 2:2 (გადათამაშება 9.11); ბრისტოლ სიტი — მანსფილდი 3:2; ბარტონი — როჩდეილი 0:0 (გადათამაშება 9.11); კემბრიჯ სიტი — უიგანი 0:2; კემბრიჯ იუნაიტედი — გეტეშედი 1:0; ჩელტენჰემი — ჯილინგემი 1:1 (გადათამაშება 9.11); ჩესტერფილდი — ენფილდი 1:2; დარლინგტონი — სოთფორტი 2:1; დონკასტერი — ჰალიფაქსი 0:2; ჰეისი — რანკორნი 2:1; ექსეტერი — ისტვუდ თაუნი 2:1; ფორესტ გრინი — გიოსლი 6:0; ჰერეფორდი — იორკი 1:0; ილკესტონ თაუნი — კარლაისლი 2:1; ლეიტონ ორიენტი — კარდიფი 1:1 (გადათამაშება 9.11); ლინკოლნ სიტი — უელინგი 1:0; ლუთონი — კინგსტონიანი 4:2; მაკლსფილდი — ჰალი 0:0 (გადათამაშება 9.11); მერთირი — სტელბრიჯი გადაიდო; ნოტსი — ბორნმუთი 1:1 (გადათამაშება 9.11); ოლდემი — ჩელმსფორდ სიტი 4:0; ოქსფორდ იუნაიტედი — მორეკემბი 3:2; პიტერბრო — ბრაიტონი 1:1 (გადათამაშება 9.11); რიდინგი — იოვილი 4:2; როტერჰემი — უორტინგი 3:0; შრიუსბერი — ნორთჰემპტონი 2:1; სენტ ალბანსი — ბამბერ ბრიჯი 0:2; სუონსი — კოლჩესტერი 2:1; ტამუორტი — ბარი 2:2 (გადათამაშება 9.11); ტორკი — საუთენდი 1:0; უიტლიფი — ჩესტერი 0:0 (გადათამაშება 9.11); რექსჰემი — კეტერინგი 1:1 (გადათამაშება 9.11); უიკომბი — ოქსფორდ სიტი 1:1 (გადათამაშება 9.11); რაშდენ დაიმონდსი — სკანტორფი 2:0

### II ეტაპის წილისყრა

შრიუსბერი — ოქსფორდ იუნაიტედი; ჰეისი — მაკლსფილდ თაუნი ან ჰალი; რიდინგი — ჰალიფაქსი; მერთირი ან სტელბრიჯი — უიტლიფი ან ჩესტერ სიტი; პრესტონი — ენფილდი; უიკომბი ან ოქსფორდ სიტი — უიგანი; ფორესტ გრინი — ტორკი; ტამუორთი ან ბარი — ლეიტონ ორიენტი ან კარდიფი; ილკესტონ თაუნი — რაშდენ დაიმონდსი; ბრენტფორდი ან პლიმუთი — პიტერბრო ან ბრაიტონი; ბლეკპული — ჰენდონი; ნოტსი ან ბორნმუთი — ბრისტოლ სიტი; ჰერეფორდი — ჰარტლპული; ჩელტენჰემი ან ჯილინგემი — დარლინგტონი; რექსჰემი ან კეტერინგ თაუნი — ბარტონი ან როჩდეილი; კემბრიჯ იუნაიტედი — ბამბერ ბრიჯი; ბარნლი — როტერჰემი; ექსეტერი — ალდერშოთი ან ჰედნესფორდი; ლუთონი — ლინკოლნ სიტი; ოლდემი — სუონსი

მატჩები გაიმართება
20-21 ნოემბერს

## პორტუგალია

IX ტური

**ალვერკა 3:1 ბენფიკა**
0:1 ნუნუ გომეში (25), 1:1 მილინკოვიჩი (45პ), 2:1, 3:1 ანდერსონ ლუიზი (70, 74)

**ჟილ ვისენტე 3:1 სანტა კლარა**
1:0 ტეშეირა (15), 2:0 სერჟიო ლომბა (46), 3:0 ტავარეში (57), 3:1 კლეიტონ კრუზი (84პ)

**ბელენენსეში 1:0 ლეირია**
1:0 სება ფერნანდესი (14)

**ბრაგა 1:2 მარიტიმუ**
1:0 ელპიდიო სილვა (32), 1:1 რამონი (75), 1:2 სუმოდიკა (82)

**რიუ ავე 1:1 ფარენსე**
0:1 ნადერი (21), 1:1 პო სანტუში (52)

**ბოავიშტა 2:1 სალგეირუში**
1:0 ლიტუში (18), 2:0 ჟოზე როჟერიუ (48პ), 2:1 ედუ ბატისტა (62)

**პორტუ 3:0 სპორტინგი**
1:0 ჩაინიო (5), 2:0, 3:0 ჟარდელი (60, 90)

**კამპომაიორენსე 2:1 გიმარაეში**
1:0 ლეალსონ კაბრალი (8), 1:1 სოდერსტრიომი (28), 2:1 ნოვაისი (35)

**ამადორა — სეტუბალი**
წუხელ გვიან გაიმართა

წლევანდელ სეზონში პირველი მარცხი იწვნია ლისაბონის „ბენფიკამ“. ყველაზე ტიტულიანი პორტუგალიური კლუბის დამარცხება „ალვერკამ“ შეძლო. ნუნუ გომეშის გოლით „ბენფიკა“ 25-ე წუთზე დაწინაურდა. მასპინძლებმა პირველივე ტაიმში გაათანაბრეს ანგარიში — იუგოსლავიელმა კიკოლა მილინკოვიჩმა პენალტით გაიტანა. მეორე ნახევარში უკვე ბრაზილიელმა ლეგიონერმა ანდერსონ ლუიზმა იხეირა. მან მოწინააღმდეგის მცველთა შეცდომებით ორჯერ ისარგებლა და „ალვერკამ“ 3:1 მოიგო. აღსანიშნავია, რომ აქამდე „ბენფიკას“ მხოლოდ ორი გოლი ჰქონდა გაშვებული.

„პორტუმ“, რომელიც გათამაშების ცხრილში მეორეა, 3:0 მოუგო ლისაბონის „სპორტინგს“. მე-5 წუთზე კარლოს ჩაინიომ ანგარიში გახსნა. შემდეგ ბრაზილიელმა მარიო ჟარდელმა კლუბის რიგებში თავისი მე-100 და 101-ე გოლები შეაგდო. ამ გამარჯვებით „პორტუმ“ „ბენფიკასთან“ ჩამორჩენა ერთ ქულამდე შეამცირა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 9 | 6 | 2 | 1 | 15:5 | 20 |
| პორტუ | 9 | 5 | 4 | 0 | 16:5 | 19 |
| მარიტიმუ | 9 | 5 | 2 | 2 | 14:7 | 17 |
| გიმარაეში | 9 | 4 | 3 | 2 | 14:10 | 15 |
| ბელენენსეში | 9 | 4 | 3 | 2 | 12:7 | 15 |
| სპორტინგი | 9 | 4 | 3 | 2 | 14:10 | 15 |
| ბოავიშტა | 9 | 4 | 3 | 2 | 8:7 | 15 |
| ჟილ ვისენტე | 9 | 4 | 2 | 3 | 12:8 | 14 |
| ალვერკა | 9 | 4 | 2 | 3 | 11:12 | 14 |
| სანტა კლარა | 9 | 2 | 4 | 3 | 13:14 | 10 |
| სალგეირუში | 9 | 3 | 1 | 5 | 8:11 | 10 |
| რიუ ავე | 9 | 2 | 4 | 3 | 11:16 | 10 |
| კამპომაიორენსე | 9 | 3 | 1 | 5 | 9:15 | 10 |
| ამადორა | 8 | 1 | 5 | 2 | 7:11 | 8 |
| ფარენსე | 9 | 1 | 4 | 4 | 6:15 | 7 |
| ლეირია | 9 | 1 | 3 | 5 | 8:12 | 6 |
| სეტუბალი | 8 | 1 | 3 | 4 | 10:14 | 6 |
| ბრაგა | 9 | 1 | 1 | 7 | 9:18 | 4 |

## ჰოლანდია

**აიაქსი 1:2 როდა**
1:0 ვინტერი (67), 1:1 პეეტერსი (72), 1:2 ლიუპერსი (90)

**ალკმარი 0:3 პსვ**
0:1, 0:2 ვან ნისტელროი (22, 49), 0:3 ბრუგინკი (80)

**ვიტესი 3:1 უტრეხტი**
1:0 დე მარკი (44), 1:1 ლუსიუსი (72), 2:1, 3:1 ვან ჰოიდონკი (73, 90)

**მაასტრიხტი 1:0 სიტარდი**
1:0 კაერსი (90)

**დენ ბოსხი 1:1 კამბური**
1:0 ჯონსი (8), 1:1 დე ვაარდი (32)

ამსტერდამის „აიაქსი“ ხანმოკლე ლიდერობის შემდეგ კვლავ მეორე ადგილზე ჩამოქვეითდა. პირველ ადგილზე პსვ-ა, რომელმაც „ალკმარს“ 3:0 მოუგო.

ბომბარდირობისთვის ბრძოლაში ეინდჰოვენელმა რუუდ ვან ნისტელროიმ პოზიცია გაიმყარა. მან ამ მატჩში ორი გოლი შეაგდო. პსვ ორი ქულით უსწრებს „აიაქსს“, რომელიც მიმდინარე სეზონში პირველად დამარცხდა „როდასთან“. ანგარიში 1:1 იყო, როდესაც მსაჯის მიერ დამატებულ დროში მარკ ლიუპერსის გოლმა ამსტერდამელები დაამწუხრა. აქამდე „როდას“ „აიაქსისთვის“ 21 წელი არ მოეგო.

„ალკმარი“ — პსვ-ს შეხვედრაში ერთი საინტერესო ამბავი მოხდა. 75-ე წუთზე არბიტრი იან ვეგერეფი დაშავდა. მისი ადგილი ყოფილმა ფეხბურთელმა, ამჟამად მეოთხე მსაჯმა ბენ ჰავერკორტმა დაიკავა. ეს მისი დებიუტი იყო ჰოლანდიის პირველ დივიზიონში.

წინა კვირაში „ვიტესმა“ უეფას თასზე 1:4 წააგო „ლანსთან“. ამ დამარცხებას გუნდის მწვრთნელი ჰერბერტ ნიიმანი შეეწირა. კვირას კლუბმა გულშემატკივრების გულის მოგება შეძლო და „უტრეხტი“ 3:1 დაამარცხა. ორი გოლი ვან ჰოიდონკმა შეაგდო. კლუბის მწვრთნელად კი იან იონგბლადი დაინიშნა. სტაჟიან გულშემატკივარს ეს კაცი ახსოვს — იგი 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჰოლანდიელთა მეკარე გახლდათ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 10 | 9 | 1 | 0 | 45:8 | 28 |
| აიაქსი | 11 | 8 | 2 | 1 | 38:16 | 26 |
| ჰერენვენი | 11 | 7 | 1 | 3 | 18:12 | 22 |
| როდა | 11 | 7 | 1 | 3 | 18:13 | 22 |
| ტილბურგი | 10 | 7 | 1 | 2 | 21:19 | 22 |
| ვიტესი | 11 | 6 | 3 | 2 | 21:15 | 21 |
| ტვენტე | 11 | 5 | 5 | 1 | 17:11 | 20 |
| ფეიენოორდი | 10 | 5 | 3 | 2 | 18:8 | 18 |
| ვალვაიკი | 11 | 5 | 2 | 4 | 18:21 | 17 |
| ალკმარი | 11 | 5 | 1 | 5 | 19:19 | 16 |
| უტრეხტი | 11 | 5 | 0 | 6 | 14:18 | 15 |
| სპარტა | 11 | 3 | 0 | 8 | 18:29 | 9 |
| მაასტრიხტი | 11 | 2 | 2 | 7 | 14:28 | 8 |
| გრააფსხაპი | 11 | 1 | 4 | 6 | 9:15 | 7 |
| სიტარდი | 11 | 2 | 1 | 8 | 12:21 | 7 |
| კამბური | 11 | 1 | 3 | 7 | 8:23 | 6 |
| დენ ბოსხი | 11 | 1 | 3 | 7 | 12:32 | 6 |
| ნაიმეგენი | 10 | 1 | 1 | 8 | 14:26 | 4 |

### თასის მეორე ეტაპი

**ჰერენვენი 1:2 ნაიმეგენი**

**ვალვაიკი 2:0 ტვენტე**

## ჩეხეთი

მე-12 ტური. ბუდეიოვიცე — ლიბერეცი 0:1; ბოჰემიანსი — ბანიკი 0:0; იაბლონეცი — სიგმა 0:0; ოპავა — დრნოვიცე 2:0; დუკლა — ვიკტორია 5:2; სპარტა — ბლშანი 3:1; ტეპლიცე — სლავია 1:1; ბრნო — ჰ. კრალოვე 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლავია | 12 | 8 | 4 | 0 | 19:5 | 28 |
| სპარტა | 12 | 7 | 4 | 1 | 28:11 | 25 |
| ბუდეიოვიცე | 12 | 6 | 2 | 4 | 17:15 | 20 |
| დრნოვიცე | 12 | 6 | 2 | 4 | 13:11 | 20 |
| ბოჰემიანსი | 12 | 4 | 6 | 2 | 11:7 | 18 |
| ტეპლიცე | 12 | 5 | 3 | 4 | 15:15 | 18 |
| ბანიკი | 12 | 4 | 5 | 3 | 18:15 | 17 |
| ლიბერეცი | 12 | 3 | 6 | 3 | 10:10 | 15 |
| ოპავა | 12 | 3 | 4 | 5 | 16:14 | 13 |
| დუკლა | 12 | 3 | 4 | 5 | 12:18 | 13 |
| იაბლონეცი | 12 | 3 | 4 | 5 | 11:18 | 13 |
| სიგმა | 12 | 2 | 6 | 4 | 12:14 | 12 |
| ბრნო | 12 | 3 | 3 | 6 | 12:16 | 12 |
| ჰ. კრალოვე | 12 | 3 | 3 | 6 | 12:17 | 12 |
| ბლშანი | 12 | 3 | 2 | 7 | 11:23 | 11 |
| ვიკტორია | 12 | 1 | 6 | 5 | 16:24 | 9 |

## რუსეთი

XXIX ტური

**ზენიტი 2:2 ალანია**

1:0 კურტიანი (8), 1:1 ტარლოვსკი (14), 2:1 პოპოვიჩი (49), 2:2 კასიმოვი (72)

**ცსკა 4:1 დინამო**

0:1 ტერიოხინი (2), 1:1 შიშკინი (37), 2:1 ბოკოვი (39), 3:1 გოლოვსკოი (44ს.კ.), 4:1 კულიკი (85)

**როტორი 1:0 ლოკომოტივი**

1:0 არიფულინი (58 ს.კ.)

**ნ. ნოვგოროდი 3:2 ჩერნომორეცი**

1:0 კუზნეცოვი (28), 1:1 გერაშჩენკო (40), 2:1, 3:1 გოგრიჭიანი (50, 68), 3:2 პოპოვი (86)

**როსტსელმაში 2:1 ჟემჩუჟინა**

0:1 ხრუსტოვსკი (26), 1:1 კუპრიანოვი (31), 2:1 ხანკეევი (70)

**შინიკი 1:0 ურალანი**

1:0 ენინი (45)

**ტორპედო 0:2 სატურნი**

0:1 გავრილინი (15), 0:2 ბუზნიკინი (54)

ერთი ტურით ადრე თითქმის ყველაფერი გაირკვა, უეფას თასის საგზურის მესამე მფლობელისა და ინტერტოტოზე გამსვლელთა ვინაობის გარდა.

ცსკა-მ „დინამოზე" ბრწყინვალე გამარჯვების შედეგად ბრინჯაოს მედლებს გამოჰკრა ხელი, თუმცა ამ საქმეში არმიელებს „ტორპედო" წამოეხმარა — მეოთხეადგილოსნებმა შინ ვერაფერი მოუხერხეს მეორე წრეში ექს-სპარტაკელი ბუზნიკინით გაძლიერებულ „სატურნს" და 0:2 დანებდნენ.

დამთავრდა სოჭელთა „მარგალიტის" წვალება. ინტერტოტოზე დაგეშილმა „როსტსელმაშმა" გულთან ახლოს არ მიიტანა „ჟემჩუჟინას" გასაჭირი და პირველი დივიზიონის გზას გაუყენა. სამაგიეროდ, ჩემპიონატში უმოტივაციოდ დარჩენილმა მოსკოვის „ლოკომოტივმა" „გაუგო" დაბეჩავებულ „როტორს" და ვოლგოგრადს ჯანაშიას, სმერტინის, ჩუგაინოვის და ლოსკოვის გარეშე ეწვია. მასპინძლებს მაინც გაუჭირდათ გამარჯვების მიღწევა და მხოლოდ არიფულინის ავტოგოლით შეძლეს სასურველი შედეგის დაფიქსირება.

კარი გაიჯახუნა იაროსლავლის „შინიკმა", რომელმაც თავისი ყოფილი მწვრთნელის, ავერიანოვის ჯავრი ამოიყარა და მის გაწვრთნილ „ურალანს" მინიმალური ანგარიშით სძლია.

„ნიჟნი ნოვგოროდის" და „ჩერნომორეცის" შეხვედრა თამამად შეიძლება მოვიხსენიოთ მასპინძელთა ქართველი ვეტერანის, გოჩა გოგრიჭიანის ბენეფისად. როგორც თვითმხილველები აღნიშნავენ, გოგრიჭიანს თითქმის ყველაფერი გამოსდიოდა მოედანზე. მის მიერ გაკეთებული დუბლი სრულიად კანონზომიერი და ლოგიკური შედეგი გახლდათ.

...და „ალანია". ვალერი გაზაევი კვლავ მეხუთე ადგილზე გასვლით იმუქრება. სანქტპეტერბურგში ნათამაშევი ფრის შემდეგ, მის შეგირდებს ბოლო ტურში „სპარტაკთან" ერთი ქულაც ჰყოფნით, რომ უეფას საგზურს დაეუფლონ. მოსკოვურ შეხვედრაში რუსეთის გათამაშების საუკეთესო ბომბარდირის ვინაობაც უნდა გაცხადდეს. თუმც არა გვგონია, ალანიელ გიორგი დემეტრაძეს თითქმის განაღდებული ტიტული სპარტაკელმა ანდრეი ტიხონოვმა აართვას. ტიხონოვს ჰეთ თრიქის გაკეთება მართებს მაშინ, როცა სტუმრები მხოლოდ იმაზე იზრუნებენ, გოლი არ გაუშვან.

**ბომბარდირები**

| | | |
|---|---|---|
| დემეტრაძე | (ალანია) | 21 |
| ტიხონოვი | (სპარტაკი) | 18 |
| კულიკი | (ცსკა) | 15 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 29 | 21 | 6 | 2 | 72:24 | 69 |
| ლოკომოტივი | 29 | 19 | 5 | 5 | 59:30 | 62 |
| ცსკა | 29 | 15 | 9 | 5 | 55:28 | 54 |
| ტორპედო | 29 | 13 | 10 | 6 | 37:32 | 49 |
| ალანია | 29 | 12 | 7 | 10 | 54:42 | 43 |
| დინამო | 29 | 11 | 8 | 10 | 42:40 | 41 |
| როსტსელმაში | 29 | 11 | 8 | 10 | 32:34 | 41 |
| ზენიტი | 29 | 9 | 11 | 9 | 36:34 | 38 |
| ურალანი | 29 | 10 | 5 | 14 | 27:34 | 35 |
| სატურნი | 29 | 8 | 9 | 12 | 29:37 | 33 |
| ნ. ნოვგოროდი | 29 | 9 | 5 | 15 | 32:47 | 32 |
| როტორი | 29 | 7 | 10 | 12 | 35:49 | 31 |
| კრილია | 29 | 8 | 6 | 15 | 38:48 | 30 |
| ჩერნომორეცი | 29 | 7 | 7 | 15 | 29:48 | 28 |
| ჟემჩუჟინა | 29 | 5 | 10 | 14 | 28:54 | 25 |
| შინიკი | 29 | 5 | 8 | 16 | 20:44 | 23 |

## შვეიცარია

XVII ტური

**ლოზანა 2:0 ლუგანო**

1:0 ლონდონო (69), 2:0 კუცბა (90)

**სერვეტი 1:1 არაუ**

1:0 ვოლფი (67), 1:1 ვოიჩეკოვსკი (85)

**დელემონი 2:2 ბაზელი**

0:1 პუგელი (8), 1:1 ფაბინიო (10), 2:1 რიჩკოვი (17პ), 2:2 კროიცერი (61)

**გრასჰოპერი 0:0 ივერდონი**

**სენტ გალენი 2:1 ქსამაქსი**

0:1 ბიელი (1), 1:1 პინელი (65), 2:1 განე (73)

**ლუცერნი 0:1 ციურიხი**

0:1 ჯანინი (34)

ციურიხი: პასკოლო, ჯანინი, შტოკლასა, ჯორჯევიჩი, კვენტინი (შასო 81), კასტილიო (გასპოზი 68), კებე, ჯამარაული, სანტანა, დუგლასი (ფრიკი 60), ბარტლეტი

შვეიცარიის ჩემპიონატში პირველი ეტაპის დასრულებამდე 5 ტური დარჩა. სიტუაცია თანდათან იძაბება. „ციურიხს", ბოლო ორ ტურს თუ არ ჩავთვლით, ფინალურ ეტაპზე (რვა გუნდს შორის) მოხვედრის მცირე შანსი ჰქონდა, თუმცა ბოლო დროს საგრძნობლად მოუმატა თამაშს და ზედიზედ ორი მატჩი მოიგო. წინა ტურში „სერვეტის" 2:0 დამარცხების შემდეგ, რაიმონდო პონტეს დამოძღვრილმა გუნდმა სტუმრად ერთ-ერთ კონკურენტ „ლუცერნს" სძლია.

გოჩა ჯამარაულმა მთელი შეხვედრა შეუცვლელად ითამაშა და საკმაოდ კარგი შეფასებაც მიიღო, მიხეილ ყაველაშვილი კი საერთოდ არ გამოჩენილა. „ციურიხმა" მთელი შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარა და დამსახურებულ წარმატებასაც მიაღწია. მატჩის ერთადერთი გოლი 34-ე წუთზე ჯანინიმ გაიტანა — სტუმართა მცველის თავური „ლუცერნის" მეკარე ფოლეტიმ ვერ მოიგერია.

„ციურიხს" კიდევ ბევრჯერ შეეძლო გატანა, თუმცა თავდამსხმელები შეტევების დაგვირგვინებისას მოიკოჭლებდნენ. სამხრეთაფრიკელმა შონ ბარტლეტმა ორჯერ ძელსაც გაარტყა ბურთი. „ლუცერნმა" კი მეტოქის იერიშებს ვერაფრით უპასუხა.

ჩემპიონატის ლიდერმა „სენტ გალენმა" მორიგი მატჩი მოიგო, თუმცა აუტსაიდერ „ქსამაქსთან" საშინაო შეხვედრის დებიუტი საპირისპირო შედეგს უქადდა. თამაში ახალდაწყებული იყო, როცა სტუმრებმა გოლი გაიტანეს — ბიელიმ შტილს რომ აუღებელი დაურტყა, სულ 48 წამი იყო გასული. მასპინძლებს პირველი ტაიმი გონს მოსასვლელად დასჭირდათ, შესვენების შემდეგ კი საქმეზე გადავიდნენ. 65-ე წუთზე პინელიმ წონასწორობა აღადგინა, მალე კი განემ „სენტ გალენი" დააწინაურა. „ქსამაქსმა" მდგომარეობის გამოსწორება ვეღარ შეძლო.

მოიგო „ლოზანამაც", რომლის მეტოქეც „ლუგანო" გახლდათ. „სენტ გალენის" მსგავსად, ლოზანელებმაც მეორე ტაიმში გადაწყვიტეს შეხვედრის ბედი. ლონდონოს გოლს, მსაჯის მიერ დამატებულ დროში კუცბამ მეორეც დაამატა.

„გრასჰოპერმა" შინ „ივერდონს" ვერ მოუგო, ისევე, როგორც „სერვეტმა" „არაუს". პირველი მატჩი უგოლოდ დასრულდა. „სერვეტმა" და „არაუმ" კი თითოჯერ დაამწუხრეს ერთმანეთი. პირველად ეს მასპინძელმა ვოლფმა გააკეთა. არაუელმა ვოიჩეკოვსკიმ შეხვედრის დასრულებამდე 5 წუთით ადრე გამოიჩინა თავი.

ვანო ოქროპირიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ გალენი | 17 | 9 | 5 | 3 | 33:23 | 32 |
| ლოზანა | 17 | 8 | 6 | 3 | 27:17 | 30 |
| ბაზელი | 17 | 7 | 8 | 2 | 25:14 | 29 |
| გრასჰოპერი | 17 | 6 | 7 | 4 | 27:20 | 25 |
| სერვეტი | 17 | 7 | 3 | 7 | 27:27 | 24 |
| ივერდონი | 17 | 5 | 8 | 4 | 22:18 | 23 |
| ლუცერნი | 17 | 6 | 4 | 7 | 20:22 | 22 |
| არაუ | 17 | 6 | 4 | 7 | 26:34 | 22 |
| ციურიხი | 17 | 5 | 6 | 6 | 16:21 | 21 |
| ლუგანო | 17 | 4 | 5 | 8 | 21:24 | 17 |
| დელემონი | 17 | 3 | 5 | 9 | 21:35 | 14 |
| ქსამაქსი | 17 | 2 | 7 | 8 | 20:30 | 13 |

## შოტლანდია

XII ტური

**აბერდინი 1:5 რეინჯერსი**

1:0 სოლბერგი (10პ), 1:1 იოჰანსონი (23), 1:2 მოლსი (67), 1:3 ამატო (69), 1:4, 1:5 იოჰანსონი (78, 80)

**სელტიკი 5:1 კილმარნოკი**

0:1 კოკარი (36), 1:1, 2:1, 3:1 ვიდუკა (51, 54, 56), 4:1 რაიტი (77), 5:1 ბარლი (84)

**ჰიბერნიანი 3:2 დანდი იუნ.**

0:1 დოდსი (5), 1:1 დე ვოსი (8 ს.კ.), 1:2 ტალასნიკოვი (33), 2:2, 3:2 ლატაპი (60პ, 78)

**დანდი 1:0 ჰართსი**

1:0 ტვიდი (2)

**მოზერუელი 1:0 სენტ ჯონსტონი**

1:0 ტვეიდლი (9)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 10 | 9 | 1 | 0 | 30:8 | 28 |
| სელტიკი | 11 | 9 | 0 | 2 | 32:6 | 27 |
| დანდი იუნ. | 12 | 6 | 2 | 4 | 17:17 | 20 |
| მოზერუელი | 11 | 4 | 4 | 3 | 18:19 | 16 |
| ჰართსი | 10 | 4 | 3 | 3 | 17:14 | 15 |
| ჰიბერნიანი | 12 | 3 | 5 | 4 | 21:24 | 14 |
| სტ. ჯონსტონი | 12 | 3 | 3 | 6 | 13:18 | 12 |
| დანდი | 12 | 4 | 0 | 8 | 17:24 | 12 |
| კილმარნოკი | 12 | 2 | 4 | 6 | 12:18 | 10 |
| აბერდინი | 12 | 1 | 2 | 9 | 12:41 | 5 |



REUTERS გლობუსიდან

სელტიკი — კილმარნოკი 5:1. „ნოტინგემიდან" „სელტიკში" ახალგადასული იან რაიტი მეტოქის კარში მეოთხე გოლის გატანს ზეიმობს

# დღე პირველი, დღე უკანასკნელი

ჩემპიონთა ლიგა. VI ტური

CHAMPIONS LEAGUE

დღეს ევროპის რვა სტადიონზე ჩემპიონთა ლიგის პირველი ეტაპის შესარჩევ ჯგუფებში უკანასკნელი მატჩები უნდა გაიმართოს. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე მოასპარეზე გუნდს უკვე განაღდებული აქვს შემდეგ ეტაპზე მონაწილეობა, სრულიადაც არ არის გასაკვირი ის უდიდესი ინტრიგა, რომელიც ამ მატჩებს უძღვის წინ.

ერთ-ერთი იმათგანი, რომელმაც შემდეგი ეტაპის საგზური ვადამდე ადრე გაიფორმა, A ჯგუფში მოასპარეზე რომის „ლაციოა". მან წინა ტურში საკუთარ კედლებში, „ოლიმპიურ" სტადიონზე გერმანულ „ლევერკუზენთან" ნათამაშევი ფრის შემდეგ ჯგუფის ლიდერობა მოიპოვა და მეტოქეთათვის მიუღწეველი შეიქნა. უკრაინის ჩემპიონ კიევის „დინამოს" ტურის უკანასკნელ შეხვედრაში სწორედ „ლაციოს" მასპინძლობა უწევს. უკრაინელებს მოგება სჭირდებათ, რათა შემდეგ მათი უშუალო კონკურენტის — „ლევერკუზენის" შედეგზე აღარ იყვნენ დამოკიდებულნი. ისინი მატჩს, სავარაუდოდ, მთავარი მწვრთნელის — ვალერი ლობანოვსკის არყოფნაში ჩაატარებენ, რომელიც გულის მცირე შეტევის შემდეგ ბოლომდე არ გამოჯანმრთელებულა. მსოფლიოს საინფორმაციო სააგენტო „როიტერმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომ კიევური კლუბი რამდენიმე ფეხბურთელს მოისაკლისებს. ერთ-ერთი მათგანი ვასილი კარდაშია, რომელიც სლოვენიურ „მარიბორთან" დაშავდა. ექიმები შიშობენ, რომ ვერ ითამაშებენ სერგეი სერებრენიკოვი, მას საზარდულის ტრავმა აქვს, და ალექსანდრ ხაცკევიჩი, რომელსაც ჰეპატიტი შეჰყრია.

რომაულ კლუბში შესაძლოა დებიუტი ჰქონდეს იტალიის 18-წლამდელთა ნაკრების წევრ ჯამპიეტრო პინცის. ხოლო დისკვალიფიკაციის გამო მატჩს არგენტინელი ნახევარმცველი მატიას ალმეიდა გამოტოვებს. იგივე „როიტერის" ცნობით, მცველებს — ჯუზეპე ფავალის, სინიშა მიხაილოვიჩს, ალესანდრო ნესტასა და ნახევარმცველ ატილიო ლომბარდოს ტრავმები აწუხებთ.

მთავარმა მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა, შესაძლოა ჩილელი ფორვარდი მარსელო სალასიც დაასვენოს და მის მაგიერ ვეტერანი ფეხბურთელი რობერტო მანჩინი გამოიყვანოს.

გერმანელთა თავკაც კრისტოფ დაუმს კი ასარჩევად აქვს საქმე, ვინ დააყენოს შეტევაში დისკვალიფიცირებული ულფ კირსტენის ნაცვლად. ასახელებენ ორ კანდიდატს, ტომას ბრდარიჩს და ტომას რაიხენბერგერს, სლოვენიის ჩემპიონი „მარიბორი" კი ალბანელი მცველის გერი ჩიპის გარეშე დარჩა, მას დისკვალიფიკაცია აქვს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლაციო | 5 | 3 | 2 | 0 | 12:3 | 11 |
| დინამო | 5 | 2 | 1 | 2 | 8:7 | 7 |
| ლევერკუზენი | 5 | 1 | 3 | 1 | 7:7 | 6 |
| მარიბორი | 5 | 1 | 0 | 4 | 2:12 | 3 |

*2 ნოემბერი. ლევერკუზენი — მარიბორი, დინამო — ლაციო*

B ჯგუფში ყველაფერი თითქმის გარკვეულია. შემდეგ ეტაპზე ესპანური „ბარსელონა" და იტალიური „ფიორენტინა" გავლენ, უეფას თასზე კი ინგლისური „არსენალი" იასპარეზებს. ამ ჯგუფმა ინტრიგა წინა ტურში დაკარგა მას შემდეგ, რაც არგენტინელი ფორვარდის გაბრიელ ბატისტუტას გოლის წყალობით „ფიორენტინამ" სტუმრად ლონდონის „არსენალი" დაამარცხა. უკანასკნელი ტური მხოლოდ ფორმალობადაა ქცეული.

ფლორენციულ კლუბს ჩეხი მცველი ტომას რეპკა ვერ დაეხმარება, იგი დისკვალიფიცირებულია, ხოლო კრისტიან ამორუზოს, ანდრეა ტაროცისა და პრედრაგ მიატოვიჩს მცირე ტრავმები აწუხებთ. უკანასკნელი ინფორმაციით, მთავარმა მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ შესაძლოა გაბრიელ ბატისტუტაც დაასვენოს და მის მაგივრად აგრეთვე არგენტინელი აბელ ბალბო ათამაშოს.

„ბარსელონას" ტრავმის გამო მცველი მიხაელ რაიციგერი დააკლდება. შესაძლოა სასტარტოში ჰოლანდიელი რონალდ დე ბური ვიხილოთ. ზურგის მცირე ტრავმის შემდეგ მომჯობინდა ლუის ენრიკეც და მთავარმა მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა შესაძლოა ათამაშოს კიდეც.

ლონდონის „არსენალი" კი შვედურ აიკ-თან ჩაატარებს შეხვედრას სტუმრად. მატჩი თითქმის არაფრისმომცემი იქნება, მაგრამ ინგლისელთა ფრანგი თავკაცი არსენ ვენგერი აცხადებს, რომ გუნდი მაინც ითამაშებს, რადგან სხვა თუ არაფერი, გარდა ფინანსურისა, უეფას სარეიტინგო მდგომარეობა გაიუმჯობესოს. თუმცა მან შესაძლოა ჰოლანდიელი თავდამსხმელი დენის ბერხკამპი და მცველთა დუეტი, კიოუნიადამსი მაინც დაასვენოს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 5 | 4 | 1 | 0 | 16:6 | 13 |
| ფიორენტინა | 5 | 2 | 2 | 1 | 6:4 | 8 |
| არსენალი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:7 | 5 |
| აიკ | 5 | 0 | 1 | 4 | 2:13 | 1 |

*2 ნოემბერი. აიკ — არსენალი, ფიორენტინა — ბარსელონა*

C ჯგუფში ლიდერი გარკვეულია. ეს ნორვეგიული „რუსენბორგია", ხოლო მეორე ადგილისთვის დორტმუნდის „ბორუსია" და როტერდამის „ფეიენოორდი" იბრძვიან. გერმანელები პორტუგალიაში „ბოავიშტას" სტუმრობენ და მოგების შემთხვევაში „ფეიენოორდისთვის" მიუღწეველნი ხდებიან.

„ბოავიშტას" მთავარი მწვრთნელის ჟაიმე პაშეკუს განცხადებით, იგი რამოდენიმე ფეხბურთელს დაასვენებს, მისი თქმით ჩემპიონთა ლიგაში მატჩის მოგება კარგია, მაგრამ საკუთარ ჩემპიონატსაც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. სავარაუდოდ, იგი რუმინელ ნახევარმცველ იონ ტიმოფტეს და ჟოაკიმ მარტელინოს არ ათამაშებს. მათ ორივეს მცირე ტრავმები აქვთ.

ტრავმის გამო „ბორუსიას" რიგებში შესაძლოა ანდრეას მიოლერმაც არ ითამაშოს. იგი გასულ შაბათს ბუნდესლიგის მატჩში დაშავდა. დისკვალიფიკაცია გაუვიდა ლარს რიკენს, რომელსაც ალბათ სასტარტოშიც ვიხილავთ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 5 | 3 | 2 | 0 | 12:4 | 11 |
| დორტმუნდი | 5 | 1 | 3 | 1 | 7:8 | 6 |
| ფეიენოორდი | 5 | 0 | 5 | 0 | 6:6 | 5 |
| ბოავიშტა | 5 | 0 | 2 | 3 | 3:10 | 2 |

*2 ნოემბერი. ბოავიშტა — დორტმუნდი, ფეიენოორდი — რუსენბორგი*

და დღეისთვის უკანასკნელი D ჯგუფი. აქაც წინა ტურში გაირკვა ლიდერთა ვინაობა. ეს ინგლისური „მანჩესტერი" და ფრანგული მარსელის „ოლიმპიკი" არიან. ხოლო უეფას თასის საგზურს ერთმანეთს ავსტრიული „შტურმი" და ხორვატული „კროაცია" ეცილება.

ბოლო ტურში „მანჩესტერი" „შტურმს" უმასპინძლებს. ინგლისელებს დისკვალიფიკაციის გამო ნახევარმცველები, დევიდ ბექემი და პოლ სქოულზი დააკლდებათ, ხოლო ნიკი ბათს ტრავმა აწუხებს.

თითქმის ორთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ გუნდს კვლავ დაუბრუნდა მცველი გარი ნევილი, რომელმაც შესაძლოა თამაშიც კი შეძლოს, იგივე ითქმის დევიდ მეიზეც.

ფრანგებს კი „კროაციასთან" შეხვედრაში მცველი პატრიკ ბლონდო დააკლდებათ, რომელსაც დისკვალიფიკაცია აქვს. ტრავმები აწუხებთ უილიამ გალასს, პიერ ისასა და ესპანელ ივან დე ლა პენიას. ხოლო წინასწარი ინფორმაციით, მატჩს სასტარტოში ალბათ დაიწყებს ნახევარმცველი რობერ პირესი.

ზაგრების „კროაციას" კი გასულ კვირას მთავარი მწვრთნელი შეუცვალეს, არგენტინელი თავკაცი ოზი არდილესი გადააყენეს და ახლა გუნდს მისი ყოფილი ასისტენტი მარიან კლაკი ავარჯიშებს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 10 |
| მარსელი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:6 | 9 |
| შტურმი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:10 | 6 |
| კროაცია | 5 | 1 | 1 | 3 | 5:5 | 4 |

*2 ნოემბერი. მანჩესტერი — შტურმი, მარსელი — კროაცია*

დასაწყისი პირველ გვერდზე

# ეგრეა, ჰაკინენი მაგარია!

**მეტოქეზე** თურმე ტყუილად არ ილესავდა კბილებს ფინელი პილოტი. მიკა მოუთმენლად ელოდა „სუძუკაზე“ რბოლას, რადგან მისივე თქმით, მოგების დიდი იმედი ჰქონდა და, რაც მთავარია, კიდევ ერთხელ უნდოდა დაემტკიცებინა, რომ სწორედ ისაა დღეისთვის მსოფლიოში საუკეთესო.

ირლანდიელი ოთხი ქულით უსწრებდა კონკურენტს და მნიშვნელოვანი მორალურ-მატერიალური უპირატესობაც, ცხადია მის მხარეს იყო. მაგრამ „სუძუკაზე“ რიგით მე-13 ეტაპი ირვინისთვის დათარსული გამოდგა — ჯერ კიდევ შაბათის კვალიფიკაციის ბოლოს, როცა თავისი ისე რა შედეგის გაუმჯობესებისთვის იბრძოდა, სწორ გზაზე მართვა დაკარგა და დამცავ ბარიერს ისეთი ძალით მიანარცხა მანქანა, ბოლიდის წინა მხარე ჯართად იქცა, თავად კი სათადარიგო მანქანაში მოუხდა გადაჯდომა, მაგრამ შედეგის გაუმჯობესება მაინც ვერ მოახერხა და საბოლოოდ მხოლოდ მეხუთე სასტარტო პოზიციას დასჯერდა. ამით ედიმ უკვე რბოლამდე უბოძა საკმაო ფორა კონკურენტს, რომელმაც მეორე დრო აჩვენა და მიხაელ შუმახერის გვერდით პირველი რიგიდან სტარტის აღების უფლებაც მოიპოვა.

„ფერარისთვის“ რბოლის ტაქტიკა ერთი შეხედვით, საკმაოდ მარტივი ჩანდა — შუმის მიკა იმ თავის მეორე პოზიციაზე უნდა შეეკავებინა.

ედისთვის კი საკმარისი იყო ფინიშთან თუნდაც მეოთხე მისულიყო და ჩემპიონობაც განაღდებული ექნებოდა.

მაგრამ კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. ჰაკინენმა „ფერარის“ სტარტისწინა სცენარი თავიდანვე წყალში ჩაუყარა. უფრო კი, თავად შუმახერის მიზეზით. სასტარტო ნიშნის მიცემის შემდეგ მისი ბედაური მძიმედ, „მაკლარენზე“ გვიან დაიძრა ადგილიდან და წინ გავარდნის ნაცვლად მკვეთრად მარჯვნივ გაიწია მიკასთვის გზის გადასაღობად, რათა თანაგუნდელის კონკურენტი თავიდანვე მარწუხებში მოექცია და იქნებ სულაც გამოეთიშა რბოლიდან, მაგრამ ფინელმა უფრო ფიცხლად აიღო სტარტი და შუმიც მის ზურგს უკან აღმოჩნდა. მოკლედ, ფინელმა პირველივე მეტრებიდან ხელთ იგდო ლიდერობა და საკმაოდ იოლად გადაჭრა (შუმახერის დახმარებით) თავისი პრობლემის პირველი ნაწილი.




REUTERS სურათები

მიკა ჰაკინენმა ედი ირვინს საჩემპიონო შამპანური „უწილადა“

რბოლის მოგების შემთხვევაში ხომ ის უპირობოდ ჩემპიონი ხდებოდა.

ირვინმაც პროგრამა-მინიმუმი სტარტზევე შეასრულა და კულჰარდის გასწრებით სანუკვარ მეოთხე პოზიციაზე გადავიდა. მესამეზე კი მოულოდნელად აღმოჩნდა პანი, რომელმაც მშვენივრად ისარგებლა სასტარტო არეულობით.

შუმის უხეშმა შეცდომამ „ფერარის“ თავიდანვე დიდი თავსატეხი გაუჩინა, რადგან მიკას „ვერცხლისფერი ისარი“ (ასე ეძახიან „მერსედესის“ ძრავიან რუხთეთრ „მაკლარენებს“) უნაკლოდ მუშაობდა და ყოველ წრეზე თითქმის ორ-ორ წამს უგებდა ირვინს, რომელიც ინერტული, ხელჩაქნეული ჩანდა და თითქმის იმის იმედითღა იყო, რომ ჰაკინენს ან მანქანა უმტყუნებდა, ანდა ვინმე შეასკდებოდა და რბოლიდან გამოთიშავდა. ყოველ შემთხვევაში, ლიდერს სალიდერო აგრესიულობისა არაფერი ეტყობოდა. ის კი არა, მესამე ადგილზე მიმავალ პანისსაც კი ვერ გაასწრო.

10 წრის შემდეგ ჰაკინენთან შუმახერის ჩამორჩენამ ხუთ წამს გადააჭარბა, ირივინი კი 21 წამით ჩამოიტოვა.

მას აქეთ რაც ხუთიოდე წლის წინ პილოტებს რბოლისას საწვავის ჩამატების ნება დართეს, ბოქსებში შესვლას გაცილებით მეტი ფასი დაედო და უფრო მნიშვნელოვანი პროცედურაც გახდა. საკმაოდ ხშირად სწორედ ზუსტად გათვლილი საბოქსე ტაქტიკის ხარჯზე აღწევენ მრბოლები გამარჯვებას. ამჯერად კი, მონოტონური რბოლის მსვლელობაში, პიტ-სტოპებს გადამწყვეტი კი არა, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი როლიც კი არ შეუსრულებიათ — ლიდერები დანაკლისის გარეშე, თითქმის ერთნაირი დროით შეყოვნდნენ საწვავ-საბურავების გამო. გამონაკლისი კულჰარდი გახდა — მისი ბოლიდისთვის ერთ-ერთ მოსახვევში მიხეთქების შედეგად მომძვრალი ცხვირის „მიკერებას“ მექანიკოსებმა 16 წამი მოანდომეს. დევიდმა რბოლა გააგრძელა, მაგრამ ეტყობა, ძლიერმა დარტყმამ მისი მანქანა სერიოზულად დააზიანა და სამგზის მესამე პრიზიორმა (1995, 97, 98) შოტლანდიელმაც ფინიშამდე 13 წრით ადრე დაასრულა ჩემპიონატი, ამჯერად მხოლოდ მეოთხე ადგილზე, რადგან თავისი ბედაურის ტრავმის გამო ვერ შეძლო ფრენცენთან სამქულიანი ჩამორჩენის დაძლევა.

კულჰარდის გამოთიშვამ ჰაკინენი მარტო დატოვა „ფერარებთან“ ჭიდილში.

პირადი პირველობის მოსაგებად მას არავის დახმარება არ სჭირდებოდა, აი, კონსტრუქტორთა თასის მოსაპოვებლად კი თანაგუნდელის ქულებიც აუცილებელი იყო.

ორი კვირის წინ მალაიზიაში უხეირო ჯირითის მერე ჰაკინენის „მაკლარენი“ „სუძუკაზე“ დოპინგნაჭამივით დაქროდა. თავად მიკამაც უმაღლესი პილოტაჟი აჩვენა და 300 კილომეტრიან დისტანციაზე ერთი შეცდომაც არ დაუშვია. ტყუილად როდი ამბობენ უნერვო ფინელზე, რაც უფრო კრიტიკულია ვითარება, მით უფრო მობილიზებულად, უკეთესად ასპარეზობსო. „სეპანგთან“ შედარებით, „სუძუკას“ ვიწრო ტრასაზე გასწრება არც ისე იოლია, მაგრამ გუშინწინ მიკას გამსწრები კი არა, დამწევიც კი არავინ ჩანდა.

რაკი ბოქსებში მეორე შესვლამაც ლიდერის უზარმაზარ უპირატესობას ვერაფერი დააკლო, რბოლისა და მთლიანად ჩემპიონატის ბედიც პრაქტიკულად გადაწყდა. მაშინ კი საბოლოოდ ჩამოყარეს ყურები და „ფერარის“ წითელდროშებიანი ხელები ირვინ-შუმახერის ფანებმა.

მეორე პიტ-სტოპის შემდეგ, ანუ ბოლო 15 წრე ექვსეულში არანაირი ცვლილება აღარ მომხდარა და საუკუნის გადამწყვეტი, თუმც საკმაოდ ერთფეროვანი რბოლის ფინიშს 13 მანქანამ უწია. როგორ შეიძლება, ერთ რბოლას ორი გამარჯვებული ჰყავდეს, მაგარმ ამჯერად სწორედ ასე მოხდა. პირად-გუნდური ჩემპიონობა ჰაკინენმა და „ფერარიმ“ ძმურად არა, მაგრამ უსისხლოდ კი გაიყვეს. სისხლისფერ ბედაურებს კონსტრუქტორთა თასი 1983 წლის შემდეგ აღარ მოეგოთ. ხანგრძლივი კრიზისის შემდეგ, იტალიელთა ეროვნული სიამაყე მეცხრედ დაეპატრონა ამ პრესტიჟულ ჯილდოს, ბრიტანულმა „ცისფერმა ისრებმა“ კი მეთერთმეტედ მოიგეს პირადი პირველობა.

31 წლის ჰაკინენი მეექვსე ორგზის ჩემპიონი გახდა ალბერტო ასკარის (1952-53), გრეჰემ ჰილის (1962, 68), ჯიმ კლარკის (1963, '65), ემერსონ ფიტიპალდისა (1972, 74) და მიხაელ შუმახერის (1994-95) შემდეგ.

მიკას ჩემპიონობა პირველმა მიულოცა ირვინმა, რომელიც მეტოქეს სამარცხვინოდ, თითქმის მთელი წრით ჩამორჩა.

**ირაკლი ნიქოლაძე**

## რბოლის შედეგები

**იაპონიის დიდი პრიზი**

31 ოქტომბერი. სუძუკა

დისტანცია — 53 წრე — 310.596 კმ

1. ჰაკინენი (მაკლარენი) 1:31.18,785 (204,086 კმ/სთ) 10 ქულა
2. მ. შუმახერი (ფერარი) 1:31.23,800 6 ქულა
3. ირვინი (ფერარი) 1:32.54,473 4 ქულა
4. ფრენცენი (ჯორდანი) 1:32.57,420 3 ქულა
5. რ. შუმახერი (უილიამსი) 1:32.58,279 2 ქულა
6. ალეზი (ზაუბერი) ჩამორჩა 1 წრით 1 ქულა
7. ჰერბერტი (სტიუარტი) 1 წრით
8. ბარიკელო (სტიუარტი) 1 წრით
9. ვილნევი (BAR) 1 წრით
10. ვურცი (ბენეტონი) 1 წრით
11. დინიცი (ზაუბერი) 1 წრით
12. ზონტა (BAR) 1 წრით
13. დე ლა როსა (ეროუსი) 2 წრით

**საუკეთესო წრე**

მ. შუმახერი 1.41,319 (208.355 კმ/სთ)

**ლიდერები**

1-19 წრე ჰაკინენი
20-22 წრე მ. შუმახერი
23-53 წრე ჰაკინენი

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| ფიზიკელა (ბენეტონი) გაიარა | 47 წრე |
| ტაკაგი (ეროუსი) | 43 |
| ბადოერი (მინარდი) | 43 |
| კულჰარდი (მაკლარენი) | 39 |
| ხენე (მინარდი) | 31 |
| ჰილი (ჯორდანი) | 21 |
| პანი (პროსტი) | 19 |
| ტრული (პროსტი) | 3 |
| ძანარდი (უილიამსი) | 0 |

## განლაგება სტარტზე

20. ბადოერი 1:42,515 მინარდი
14. დე ლა როსა 1:41,708 ეროუსი
21. ხენე 1:41,529 მინარდი
15. ტაკაგი 1:41,067 ეროუსი
23. ზონტა 1:40,861 BAR
12. დინიცი 1:40,740 ზაუბერი
5. ძანარდი 1:40,403 უილიამსი
10. ვურცი 1:40,303 ბენეტონი
9. ფიზიკელა 1:40,261 ბენეტონი
7. ჰილი 1:40,140 ჯორდანი
16. ბარიკელო 1:40,140 სტიუარტი
22. ვილნევი 1:39,732 BAR
11. ალეზი 1:39,721 ზაუბერი
6. რ.შუმახერი 1:39,717 უილიამსი
17. ჰერბერტი 1:39,706 სტიუარტი
19. ტრული 1:39,644 პროსტი
18. პანი 1:39,623 პროსტი
4. ირვინი 1:38,975 ფერარი
8. ფრენცენი 1:38,696 ჯორდანი
2 კულჰარდი 1.38,239 მაკლარენი
1. ჰაკინენი 1:37,820 მაკლარენი
3. მ.შუმახერი 1:37,470 ფერარი

## FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | ავსტრალია 7 მარტი | ბრაზილია 11 აპრილი | სან მარინო 2 მაისი | მონაკო 16 მაისი | ესპანეთი 30 მაისი | კანადა 13 ივნისი | საფრანგეთი 27 ივნისი | დიდი ბრიტანეთი 11 ივლისი | ავსტრია 25 ივლისი | გერმანია 1 აგვისტო | უნგრეთი 15 აგვისტო | ბელგია 29 აგვისტო | იტალია 12 სექტემბერი | ევროპის დიდი პრიზი 26 სექტემბერი | მალაიზია 17 ოქტომბერი | იაპონია 31 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 **ჰაკინენი** (ფინეთი) მაკლარენ მერსედესი | – | 10 | – | 4 | 10 | 10 | 6 | – | 4 | – | 10 | 6 | – | 2 | 4 | 10 | 76 |
| 2 **ირვინი** (ირლანდია) ფერარი | 10 | 2 | – | 6 | 3 | 4 | 1 | 6 | 10 | 10 | 4 | 3 | 1 | – | 10 | 4 | 74 |
| 3 **ფრენცენი** (გერმანია) ჯორდან მუგენ ჰონდა | 6 | 4 | – | 3 | – | – | 10 | 3 | 3 | 4 | 3 | 4 | 10 | – | 1 | 3 | 54 |
| 4 **კულჰარდი** (ბრიტანეთი) მაკლარენ მერსედესი | – | – | 6 | – | 6 | – | – | 10 | 6 | 2 | 6 | 10 | 2 | – | – | – | 48 |
| 5 **მ.შუმახერი** (გერმ...) ფერარი | – | 6 | 10 | 10 | 4 | – | 2 | – | – | – | – | – | – | – | 6 | 6 | 44 |
| 6 **რ.შუმახერი** (გერმანია) უილიამს სუპერტეკი | 4 | 3 | – | – | 2 | 3 | 3 | 4 | – | 3 | – | 2 | 6 | 3 | – | 2 | 35 |
| 7 **ბარიკელო** (ბრაზილია) სტიუარტ ფორდი | 2 | – | 4 | – | – | – | 4 | – | – | – | 2 | – | 3 | 4 | 2 | – | 21 |
| 8 **ჰერბერტი** (ბრიტანეთი) სტიუარტი | – | – | – | – | – | 2 | – | – | – | – | – | – | – | 10 | 3 | – | 15 |
| 9 **ფიზიკელა** (იტალია) ბენეტონ სუპერტეკი | 3 | – | 2 | 2 | – | 6 | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | 13 |
| 10 **სალო** (ფინეთი) ფერარი | – | – | – | – | – | – | – | – | – | 6 | – | – | 4 | – | – | – | 10 |

*ჰილი (ჯორდანი), ტრული (პროსტი) — 7 ქულა, ვურცი (ბენეტონი), დინიცი (ზაუბერი) — 3; ალეზი (ზაუბერი), პანი (პროსტი) — 2; დე ლა როსა (ეროუსი) და ხენე (მინარდი) — 1*

| | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ფერარი | 10 | 8 | 10 | 16 | 7 | 4 | 3 | 6 | 10 | 16 | 4 | 3 | 5 | – | 16 | 10 | 128 |
| 2 მაკლარენ მერსედესი | – | 10 | 6 | 4 | 16 | 10 | 6 | 10 | 10 | 2 | 16 | 16 | 2 | 2 | 4 | 10 | 124 |
| 3 ჯორდან-მუგენ-ჰონდა | 6 | 4 | 3 | 3 | – | – | 10 | 5 | 3 | 4 | 4 | 5 | 10 | – | 1 | 3 | 61 |
| 4 სტიუარტი | 2 | – | 4 | – | – | 2 | 4 | – | – | – | 2 | – | 3 | 14 | 5 | – | 36 |
| 5 უილიამს სუპერტეკი | 4 | 3 | – | – | 2 | 3 | 3 | 4 | – | 3 | – | 2 | 6 | 3 | – | 2 | 35 |

*ბენეტონი — 16; პროსტი — 9; ზაუბერი — 5; ეროუსი, მინარდი — 1*

# ჩხუბი, ცხადია, არ შეიძლება! ტაიმში შვიდი ქულა?

**საქართველოს ჩემპიონატი 5 ტური**

რუსთავი. 1 ნოემბერი

**აზოტი 92:86 სტუ**

I ტაიმი 41:38

აზოტი: ა. ჟღენტი (19), გაბისონია, გოგობერიშვილი (39), ბაბიაშვილი (9), მ. ბერუაშვილი (20); ჯიმშელეიშვილი (3), ჩაჩუა (2), ნიკლაური

სტუ: ტულუში (4), სულაძე, ლოსაბერიძე (22), ორმოცაძე (14), კორძაძე (8); მოისწრაფიშვილი (14), ოთიურიძე (10), მინაშვილი (7), მიქაძე (7)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: მურმან ქურიძე

**ირაკლი ფირაშვილი** რუსთავიდან

31 ოქტომბერს გამართული საყოველთაო არჩევნების გამო, მეხუთე ტურის ცენტრალური — „აზოტი“ — სტუ-ს შეხვედრა კვირის ნაცვლად ორშაბათს გაიმართა. ალბათ ამის გამო იყო, რომ ქიმიკოსთა საკალათბურთო დარბაზში იმაზე არცთუ მეტი გულშემატკივარი მოვიდა, ვიდრე ორი კვირის წინ, როცა რუსთავის „აზოტი“ პირველად თამაშობდა მშობლიურ ქალაქში დებიუტანტ „გორთან“. რაც შეეხება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდს, მას საკმაოდ სოლიდური შემადგენლობა ჰყავს. სტუდენტებმა წინა ტურში იოლად სძლიეს მანამდე დაუმარცხებელ „მაკაბის“ და ერთი კვირის შემდეგ თავაწეულები ჩამოვიდნენ მეტალურგთა ქალაქად წოდებულ რუსთავში. თუმცა სტუდენტები არც ისე მშვიდად ელოდნენ მატჩის დაწყებას. „აზოტთან“ თამაში, თანაც რუსთავში, რა სირთულესაც წარმოადგენს, ადვილი მისახვედრია...

მატჩში ფავორიტად, რაღა თქმა უნდა, მასპინძელი მიიჩნეოდა, თუმცა, როგორც ზემოთ ითქვა, სტუდენტები საბრძოლველად იყვნენ შემართულნი და რაიმეს იოლად დათმობას არ აპირებდნენ. თამაშიც ერთობ დაძაბული გამოდგა. მართალია, მასპინძლები მთელი მატჩის განმავლობაში წინ იყვნენ და მეტოქისთვის დაწევისა და გადასწრების საშუალება არ მიუციათ, მაგრამ სტუდენტებიც მათ ფეხდაფეხ მისდევდნენ. ალბათ, არც რუსთაველები უარყოფენ იმას, რომ მათ ამ დღეს მართლაც ღირსეული მეტოქე ჰყავდათ.

შეხვედრა იმით დაიწყო, რომ გუნდები საწყის ორ წუთში ამაოდ ცდილობდნენ შეტევის შედეგიანად დაგვირგვინებას — ორივე გუნდს სიზუსტე აკლდა. ანგარიში ორქულიანით გახსნა რუსთაველმა ბერუაშვილმა, რომელსაც სტუდენტმა ლოსაბერიძემ ასევე ორი ქულით უპასუხა. ეს იყო და ეს. ამის შემდეგ „აზოტი“ წინ გავიდა და არც დაუთმია ლიდერობა. როცა ბერუაშვილმა ფარქვეშიდან ჩააგდო და კვლავ წინ გაიყვანა თავისი გუნდი, სტუდენტთა თავკაცობამ პირველი წუთშესვენება ითხოვა. მწვრთნელებმა — ნუგზარ ჭეიშვილმა და ვაჟა ჭკუასელმა დაარიგეს შეგირდები, მაგრამ ამან შედეგი ვერ გამოიღო. პირიქით, ჟღენტის და გოგობერიშვილის შეტევების შემდეგ სხვაობა შვიდ ქულამდე გაიზარდა, მეხუთე წუთისთვის კი უკვე ათი ქულა გახდა — 13:3. პირველი ტაიმის შუაწელში, როცა ანგარიში 15:8 იყო, რუსთაველთა მწვრთნელმა ოთარ ხმელიძემ ბერუაშვილი ორი წუთით დაასვენა და ამ დროს თითქოს სტუმრებს სიმაღლეში უპირატესობა უნდა გამოეყენებინათ, მაგრამ ნაკრების გამთამაშებელმა არჩილ ჟღენტმა მნიშვნელოვანი სამქულიანი ჩააგდო და აზოტი კვლავ ათი ქულით გაიყვანა წინ. მართალია, რუსთაველებს აღარ ჰყავთ ცენტრი ირაკლი ჯაფარიძე, მაგრამ გამოცდილი ბერუაშვილი მშვენივრად უძღვება საქმეს ფარქვეშ. მიხეილი ბურთებს ხსნიდა, აგდებდა და დიდ საფიქრალს უჩენდა სტუდენტობას. „აზოტის“ ყველაზე ტანმაღალმა კალათბურთელმა თავისი მონაგარის დიდი ნაწილი პირველ ტაიმში გააჩერხა და ექვსი საჯარიმოდან არც ერთი არ აუცილებია. აქვე ისიც ვთქვათ, რომ მასპინძლები საკმაოდ ზუსტად ესროდნენ ჯარიმებს, რაც ქართულ კალათბურთში არც ისე ხშირია.

ბერუაშვილის კარგი თამაშის წყალობით ერთი ხანობა სხვაობა ცამეტ ქულამდეც ავიდა, მაგრამ სტუ-მ იმდენი იბრძოლა, სანამ ორ ქულამდე არ დაიყვანა. სტუდენტები თანდათან ძალას იკრებდნენ და მეთოთხმეტე წუთისთვის ანგარიში 28:26 გახდა, სტუ-ს ცოტაც რომ ევაჟკაცა, გათანაბრებაც შეეძლო, მერე კი ვინ იცის...

პირველი ტაიმის დარჩენილ დროში სხვაობა ორ-ექვს ქულას შორის მერყეობდა. სტუ ვერა და ვერ აზერხებდა გაქვითვას, ტაიმიც 41:38 მიიწურა. ბრძოლით დაღლილმა გუნდებმა გასახდელს მიაშურეს, გულშემატკივრები კი დაძაბული მეორე ნახევრის მოლოდინში იყვნენ. „აზოტის“ ერთგულ ქომაგობას გულში მცირე შიშიც შეეპარა, მაგრამ დაიწყო თუ არა მეორე ნახევარი ეს გრძნობა ყველას გაუქრა.

სტუ-მ ვერც შესვენების შემდეგ აუღო ალღო ვითარებას და კიდეც დაისაჯა, პირველ წუთებზე რუსთაველთა ლიდერი რამაზ გოგობერიშვილის შეჩერება შეუძლებელი გახდა. რამაზი სამიანებს და ლამაზ გარღვევებს ერთმანეთს უნაცვლებდა და სანამ სტუდენტები მოიფიქრებდნენ და მას მჭიდრო მეურვეობას დაუწესებდნენ, რუსთაველთა უკანახაზელმა ბლომად ქულები მიითვალა და არც შემდეგ აკლებდა ხელს მეტოქის კალათს. მისი გაუვნებლება ვერა და ვერ მოხერხდა და საბოლოოდ გოგობერიშვილმა 39 ქულას მოუყარა თავი, აქედან 21 სამქულიანებით. მეორე ტაიმის პირველი ხუთი წუთის შემდეგ 51:38 იყო და ამ ხნის განმავლობაში სტუმრებმა მხოლოდ იმით თუ იხეირეს, რომ „აზოტის“ თავდამსხმელ ზვიად ბაბიაშვილს მეოთხე პერსონალური „აჰკიდეს“. სტუ-ს კვლავ მოუხდა ოფლისღვრა დეფიციტის დასაფარავად და სტუმართა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ეს თითქმის მოახერხეს. მატჩის დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე „აზოტის“ მწვრთნელმა ოთარ ხმელიძემ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დაასვენა, რათა ბოლო წუთებისთვის შემოენახა და ამით, რაღა თქმა უნდა, ისარგებლა სტუმართა გუნდმა. მატჩის დამთავრებამდე ორიოდე წუთით ადრე ორმოცაძისა და ლოსაბერიძის აქტიურობის შემდეგ სხვაობა ექვს ქულამდე შემცირდა — 81:75. მალე მოისწრაფიშვილი გაისარჯა სანაქებოდ, ორქულიანიც ჩააგდო და საჯარიმოც — 85:81, მაგრამ „აზოტი“ მაინც ახერხებს რამდენიმექულიანი სხვაობის შენარჩუნებას, დრო რუსთაველებზე მუშაობს და მიუხედავად იმისა, რომ სტუდენეტებს ბოლო გაბრძოლება საკმაოდ მძლავრიც გამოუვიდათ, მიზანს მაინც ვერ აღწევენ. გუნდები ცვლიან რამდენიმე შედეგიან შეტევას და ბოლომდე მებრძოლ სტუ-ს ისღა დარჩენია, მარცხს დასჯერდეს. რუსთაველები კი ხუთ თამაშში მეხუთე გამარჯვებას ულოცავენ ერთმანეთს.



აზოტი — სტუ. რუსთაველი ლევან წიკლაური (№12) სტუ-ელ ამროსი ორმოცაძეს სროლას არ ანებებს

**როლანდ ლაბუჩიძე**

ჩვენი ვარაუდი, ეროვნული ჩემპიონატის დროს გახშირებულ ბილწსიტყვაობას შეიძლება სულ მალე მუშტი-კრივი მოჰყოლოდა, მეხუთე ტურში ასკ-სდასუ-ს შეხვედრის შემდეგ გამართლდა. სრულიად მშვიდ და ემოციებისაგან განტვირთული მატჩის მეორე ტაიმის ბოლო წუთებში მოედანზე მყოფი ორი ათი ნომერი — გიორგი ჩხეიძე და გოგა ზუბიაშვილი წალაპარაკდნენ. ემოციებს აყოლილი კალათბურთელები სათადარიგოებით შეცვალეს. სულ მალე შეხვედრაც დამთავრდა და მოთამაშეებმა გასახდელს მიაშურეს. იქ კი ჩხეიძემ და ზუბიაშვილმა მოედანზე დაწყებული საქმე გააგრძელეს. მკლავებდაკაპიწებულნი ეძგერნენ ერთმანეთს, კვლავ მოედანზე გადაინაცვლეს და საკალათბურთო არენა კრივის სარბიელს დაამსგავსეს. მართალია, ჩხეიძეს და ზუბიაშვილს თანაგუნდელებმა მუშტი-კრივი დიდხანს არ აცალეს, მაგრამ მეცხრე ეროვნული ჩემპიონატის დებულების საწინააღმდეგო ქმედება მაინც დაფიქსირდა.

შეხვედრის კომისრის, თენგიზ ქიქოძის თქმით, მომხდარი ფაქტის შესახებ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისია უახლოეს დღეებში იმსჯელებს და გიორგი ჩხეიძე — გოგა ზუბიაშვილის შორის მტყუან-მართალიც მაშინ გაირკვევა.

ამ შეხვედრაში ერთ-ერთი ლიდერის, შოთა უძილაურის გარეშე დარჩენილი სტუდენტები მაინც აშკარა ფავორიტებად ითვლებოდნენ. მიუხედავად ამისა, არმიელები პირველ ტაიმში ტოლს არ უდებდნენ მეტოქეს და ახალგაზრდა მარხვაშვილის, აკოლაშვილისა და ნუცუბიძის აქტიური თამაშის წყალობით რამდენჯერმე დაწინაურდნენ კიდეც. სტუდენტებმა კი მაჭარაძე-ნაცვლიშვილის კარგი ქმედებით და აბულაძის სამქულიანით უპასუხეს.

**საქართველოს ჩემპიონატი 5 ტური**

ვერის ბაღი. 30 ოქტომბერი

**სსუ 53:86 ვითა**

I ტაიმი 46:49

სსუ: გ. ჟღენტი (3), თოდუა (5), ფენდერავა (6), ქარუმიძე (20), ლ. ვაშაკიძე (2); არველაძე (4), ლაცუზბაია (7), ჩოხელი (6), ტატუნაშვილი

ვითა: ტურაშვილი (8), გ. გაგნიძე (21), ჭირაქაძე (1), შანიძე (7), ახალკაცი (23); ტ. ვაშაკიძე (11), ბაქრაძე (2), პაპასკირი (13), კოკოლიშვილი

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

კომისარი: აკაკი მეგრელაძე

**საქართველოს ჩემპიონატი 5 ტური**

ვერის ბაღი. 30 ოქტომბერი

**ასკ 78:99 სდასუ**

I ტაიმი 38:48

ასკ: მარხვაშვილი (10), აკოლაშვილი (19), ფანჯიკიძე (8), ზუბიაშვილი (7), ნუცუბიძე (18); ჯანელიძე, ლაცაბიძე, ლვინიაშვილი (14), ბიძინაშვილი (2)

სდასუ: ხოშტარია (13), ნ. ნოზაძე, ლ. აბულაძე (25), გ. ნაცვლიშვილი (24), მაჭარაძე (14); გ. ჩხეიძე (11), ანდღულაძე (5), სუხიშვილი (7)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, როლანდ გელოვანი

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**საქართველოს ჩემპიონატი 5 ტური**

ბათუმი. 30 ოქტომბერი

**ბასკო 69:59 დინამო**

I ტაიმი 37:25

ბასკო: აბრამიძე (9), დავითულიანი (20), კვაჭაძე, ბეჟანიშვილი (10), ვ. კილაძე (16); კეშელავა (5), გ. კილაძე, ბერია (9)

დინამო: ნიკოლაძე (27), მეგრელიშვილი (10), ორდენიძე (5), ყველაშვილი (5), ვ. აბულაძე (12); მთვარიძე, ენდელაძე, ახვლედიანი, უჩუმბეგაშვილი

მსაჯები: ლაშა თოიძე, ზურაბ აბაშიძე

კომისარი: ნოდარ დარახველიძე

სტუდენტთაგან განსაკუთრებით აბულაძემ ივაჟკაცა, რომლის დროული სამქულიანები ასკ-ს მოპოვებულ უპირატესობას უქარწყლებდა. მეცამეტე წუთზე ნუცუბიძის ოსტატური თამაშის შედეგად ასკ ჯერ ქულას უგებდა მეტოქეს, ხოლო რამდენიმე წამის შემდეგ იმავე ნუცუბიძემ სამ ქულამდე გაზარდა სხვაობა. მალე აბულაძის მორიგი სამქულიანით ანგარიში კიდევ ერთხელ გათანაბრდა — 24:24, ხოლო ფარქვეშ ნაცვლიშვილის რამდენიმე შედეგიანი შეტევის შემდეგ სდასუ-ს უპირატესობა გამოკვეთა, რომელმაც ტაიმის ბოლოს ათ ქულას მიაღწია.

შესვენების შემდეგ ცენტრში მაჭარაძის ადგილი ახალგაზრდა ლადო სუხიშვილმა დაიკავა და უფროსი კოლეგის დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანა. აზარტში შესულ ნაცვლიშვილს და აბულაძეს არც სხვა თანაგუნდელები ჩამორჩებოდნენ, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით არმიელების შესახებ. მართალია, ნუცუბიძე კვლავ მოწოდების სიმაღლეზე იდგა, მაგრამ მარხვაშვილი და აკოლაშვილი სტუდენტებმა საიმედოდ ამოკეტეს. გამარჯვებაში დარწმუნებული სტუდენტების ერთადერთ მიზანს მოგროვებულ ქულათა სამნიშნა ციფრით აღნიშვნაღა წარმოადგენდა. გულშემატკივრებიც ამას ითხოვდნენ. სამქულიანებიც ისროლეს, დროის მოგების მიზნით კიდეც დაჯარიმდნენ, მაგრამ სტუდენტებმა თავიანთ ქომაგთ ვერ აუსრულეს ნატვრა.

სსუ — „ვითას“ შეხვედრაში ერთი შეხედვით განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, რადგან ჩემპიონმა აუტსაიდერ სსუ-სთან მორიგი გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ თუ აღნიშნული მატჩის სტატისტიკურ მონაცემებს გადავავლებთ თვალს, აუცილებლად აზრი შეგვეცვლება. სსუ — „ვითას“ მატჩის საბოლოო შედეგი ლოგიკურია, მაგრამ... გაგიგონიათ, პირველ ტაიმში გუნდი 46 ქულას აკეთებდეს და მეორეში მხოლოდ 7-ს?! ვერაფერს იტყვი „უნიკალური“ შედეგია და საეჭვოა, მსოფლიოში რომელიმე ქვეყნის საკალათბურთო გუნდმა გააუმჯობესოს. იქნებ ტაიმში კი არა შეხვედრაშიც ვერ გააკეთოს გუნდმა აშკარად ძლიერ მეტოქესთან 7 ქულაც კი, მაგრამ ეს სხვა შემთხვევაა. 46 ქულის შემდეგ 7-მდე დასვლა მართლაც, რომ განსაკუთრებული რამაა და საეჭვოა, უარესი შედეგის ჩვენება რომელიმე გუნდმა შეძლოს.

პირველ ტაიმში რომ სსუ-ს უპირატესობა მოჩვენებითი იყო, შესვენების შემდეგ თვალნათლივ დადასტურდა. არადა, მეორე ტაიმში „ვითას“ შემადგენლობის გაძლიერებაზე საუბარიც არ ღირს, პირიქით, იგი უფრო შესუსტებული გამოიყურებოდა. გამოცდილი ტურაშვილი ახალგაზრდა პაპასკირმა შეცვალა, ხოლო გუნდის ერთ-ერთ საუკეთესო კალათბურთელ კოკოლიშვილს ქულაც კი არ გაუკეთებია. პირველ ტაიმში ტურაშვილის მიერ ზედიზედ ოთხი ჯარიმის გამოყენების შემდეგ „ვითა“ დაწინაურდა, რაც შესვენებამდე შეინარჩუნა.

შესვენების შემდეგ მოედანზე სიტუაცია სავსებით შეიცვალა. „ვითა“ წინ მიიწევდა ახალკაცის, პაპასკირისა და გაგნიძის შედეგიანი თამაშის ხარჯზე, ხოლო სსუ 46 ქულაზე „გაიყინა“. მართალია, სტუდენტები კვლავ გუნდის ლიდერის, ბუბა ბერიშვილის გარეშე თამაშობდნენ, მაგრამ იგი მათ არც პირველ ტაიმში დახმარებია. მეორე ტაიმში, მეცამეტე წუთის ბოლოს, სსუ-ს მხრიდან პირველი ბურთი სამქულიანით გიორგი ჟღენტმა გააკეთა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ სსუ-მ როგორც იქნა მეტოქის კალათს გასაღები მოუძებნა, მაგრამ ამაოდ. დარჩენილ დროში სტუდენტთა მიერ გაკეთებული ოთხი ქულა — ერთი ორქულიანი და ორი საჯარიმო სროლით — გუნდის ბომბარდირმა ლევან ქარუმიძემ მოიპოვა.

რა ჰქვია ამას, საკუთარი თავის უპატივცემულობა, მეტოქის, გულშემატკივრების, ქართული კალათბურთის თუ ყველასი ერთად? მგონი, ყველასი ერთად.

**საქართველოს ჩემპიონატი 5 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 5 | 5 | 0 | 480:362 | 10 |
| ბასკო | 5 | 5 | 0 | 477:389 | 10 |
| ვითა | 5 | 4 | 1 | 413:368 | 9 |
| სდასუ | 5 | 3 | 2 | 467:423 | 8 |
| თსუ | 5 | 3 | 2 | 458:421 | 8 |
| მაკაბი | 5 | 3 | 2 | 401:371 | 8 |
| შევარდენი | 5 | 3 | 2 | 353:386 | 8 |
| სტუ | 5 | 2 | 3 | 430:410 | 7 |
| დინამო | 5 | 2 | 3 | 366:383 | 7 |
| გორი | 5 | 0 | 5 | 389:474 | 5 |
| ასკ | 5 | 0 | 5 | 371:490 | 5 |
| სსუ | 5 | 0 | 5 | 318:446 | 5 |

| საქართველოს ჩემპიონატი 5 ტური | საქართველოს ჩემპიონატი 5 ტური |
|---|---|
| ვერის ბაღი. 1 ნოემბერი | ვერის ბაღი. 1 ნოემბერი |
| **გორი 75:97 თსუ** | **შევარდენი 76:73 მაკაბი** |
| I ტაიმი 26:42 | I ტაიმი 33:32 |
| გორი: ნინოშვილი (28), ლ. იაშვილი (19), ფსუტური (10), კურტანიძე, მანველიშვილი (4); ცაცებაშვილი (7), ლოლიშვილი (5), აბრამაშვილი (2) | შევარდენი: ორჯონიკიძე (8), კაზანჯიანი (16), შ. გაგნიძე (9), გიგაური (27), ალავიძე (3); ცაგარეიშვილი (7), მაჭავარიანი (6) |
| თსუ: ვეფხვაძე (5), ხეცურიანი (24), გელაშვილი (12), მარკოიშვილი (14), გ. ბერუაშვილი (2); ახოიშვილი (8), არსიაშვილი (2), მშვილდაძე, ქარჩავა (2), წოწელია (9), სანიკიძე (19) | მაკაბი: დ. ბერიშვილი (11), ი. ბერიშვილი (12), ბ. ნოზაძე (20), ლასარეიშვილი (6), ფერიაშვილი (24); ჩაჩუა |
| მსაჯები: როლანდ გელოვანი, დავით ანდრიაძე | მსაჯები: როლანდ ხომერიკი, მაკა კუპატაძე |
| კომისარი: როლანდ ხომერიკი | კომისარი: ნოდარ დარახველიძე |

**გიორგი ბიკაშვილი**

— ცოტაც დავიცადოთ, თუ გამოჩნდნენ ხომ კარგი, თუ არადა — სიტყვა არ დაემთავრებინა ფედერაციის გენერალურ მდივან აკაკი მეგრელაძეს, როცა ვერის ბაღში მწკრივად შემოვიდნენ გორელი კალათბურთელები. მათი მწვრთნელი ზურაბ კარტოზია ჯერ სამდივნოს ეახლა, მოიბოდიშა, ტრანსპორტმა შეგვაფერხაო და...

„გორი"-თსუ მართალია ოცი წუთის დაგვიანებით, მაგრამ მაინც დაიწყო. რა დიდი გზა გორიდან თბილისამდეა, მაგრამ მგზავრობას მაინც თავისი დაეტყო ქართლელთათვის. უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა თავიდანვე მძიმედ დაიწყო თამაში და აშკარა გახდა, რომ მისი ერთადერთი საზრუნავი „საპატიო" წაგება იქნებოდა.

თსუ-მ არად ჩააგდო ქართლელთა მოკრძალებული სურვილი. სტუდენტთა მწვრთნელმა ნოდარ ქორქიამ თავიდანვე აგრესიული ზონური დაცვა შეაგება გორელების ქაოსურ და გაუმართავ შეტევებს. შეხვედრა სულ ახალი დაწყებული იყო, როცა იოსებ ნინოშვილმა სტუდენტ გიორგი მარკოიშვილს გარღვევას ზუსტი სამიანით უპასუხა და „გორი" ამ მატჩში პირველად და უკანასკნელად დაწინაურდა. შიო ხეცურიანმა თავისიანთა ზედიზედ ორი შეტევა დააგვირგვინა, მერე გელაშვილმა ივარგა, იმავე ხეცურიანმა სამქულიანის ხაზიდანაც ისახელა თავი და როცა მას ნიკა ვეფხვაძემაც ხელი შეაშველა, „გორი" უკვე ათ ქულას — 5:15 აგებდა.

ქართლელები ხეცურიანს ვერაფრით აჩერებდნენ, შიო ყველა მეურვეს ადვილად უმკლავდებოდა და „გორის" მწვრთნელებს ისღა დარჩენოდათ, შეგირდები დაცვაში ზონურად განელაგებინათ. არც ამან გამოიღო ნაყოფი, გორელებმა თამაში ვერ ააწყვეს და როცა თსუ-ს რიგებში გოჩა წოწელიაც გამოჩნდა, სტუდენტთა უპირატესობა უფრო თვალში საცემი გახდა.

სტუდენტები ყველაფერში ჩაგრავდნენ გორელებს და პირველ ტაიმში დაწყებულ საქმეს მეორე ნახევარშიც არანაკლები გულმოდგინებით აგრძელებდნენ. ამიტომ იყო, რომ „გორი" ერთ ეპიზოდში მეტოქეს ოცდათოთხმეტი ქულითაც ჩამორჩა და შეხვედრაც ისე გაილია, წამითაც არ გაკრთომიათ ქართლელთ წარმატების იმედი.

„შევარდენი" — „მაკაბი" გაცილებით საინტერესოდ წარიმართა და გამარჯვებული ბოლო წუთზელა გარკვა. რამდენად მოულოდნელიც არ უნდა იყოს, ორი ქულა „შევარდენს" დარჩა. არადა „მაკაბიმ" რიხით დაიწყო მეცხრე ეროვნული, მესამე ტურში თვით „ვითაც" დაამარცხა და თითქოს განსაკუთრებულ პრობლემებს არც „შევარდენთან" უნდა წასწყდომოდა, მაგრამ კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო — „შევარდენმა" უკვე მერამდენედ დაამტკიცა, რომ წლების მანძილზე „მაკაბისთვის" ყველაზე უხერხულ მეტოქედ ჩამოყალიბდა.

შეხვედრის დებიუტი „შევარდენისა" იყო. თამაზ გიგაურის და გია კაზანჯიანის სამიანებმა მიზანს უწიეს. უმალ გიგაურმა სწრაფი გარღვევაც განავითარა და თავისიანები 8:0 დააწინაურა. „მაკაბი" მალე გამოირკვა, მწყობრი შეტევები განახორციელა და ტყუპი ბერიშვილების ძალისხმევით წონასწორობა აღადგინა — 8:8. შევარდენელთა ლიდერობა დუდუ ორჯონიკიძემ ითავა, რომელიც შუიდან არღვევდა მაკაბელთა ზონურ დაცვას და მეტოქეს წინ გასვლის შანსს უსპობდა. „შევარდენის" უბედურება ის იყო, რომ ძალიან მალე დაუგროვდა შვიდი გუნდური ჯარიმა და ყოველი დარღვევის შემდეგ მაკაბელთ პერსონალურების სროლის საშუალება ეძლეოდათ. სწორედ საჯარიმოს ხაზიდან მიითვალა პირველი ქულები „მაკაბის" გამოცდილმა ცენტრმა, ალექსანდრე ფერიაშვილმა. ეს დაახლოებით ტაიმის შუაგულში მოხდა, მანამდე კი ერთი თავით დაბალ გიგაურს საგულდაგულოდ შეებოჭა მაკაბელთა ლიდერი ფერიაშვილი და გასაქანს არ აძლევდა.

„ფერომ" პირველ ნახევარში თავისთვის უჩვეულოდ ცოტა, ექვსი ქულა მოინაგრა და ექვსივე პერსონალურით. ყოველივე კი გიგაურის კარგ დაცვით თამაშთან ერთად ფერიაშვილის ინერტულობაზეც მოგვანიშნებს. ალბათ, ამიტომ იყო, რომ ჩვენი მოლოდინის საწინააღმდეგოდ ფარზე გივი კოშკელოვის გუნდი გაბატონდა, რაც დროდადრო თამაშის ხასიათზეც აისახა და ერთხანს რვა ქულით (28:20) წინ გასული „მაკაბი" ნელ-ნელა თმობდა პოზიციებს.

ტაიმი თითქოს მაკაბელთა გამარჯვებით უნდა დამთავრებულიყო, წუთიც აღარ რჩებოდა და „შევარდენი" ოთხი ქულით ჩამორჩებოდა მეტოქეს, მაგრამ კახა მაჭავარიანმა ჯერ ორ ქულამდე შეამცირა სხვაობა, სულ ბოლო წამს კი გია კაზანჯიანის სამიანიც „მაკაბის" კალათში ჩაეშვა...

მეორე ნახევრის საწყისი წუთები თანაბარ ბრძოლაში გაილია, მერე ისევ გიგაურმა გამოიდო თავი და „შევარდენი" ხუთი ქულით (45:40) დაწინაურდა. აქტიურობა ძვირად დაუჯდა გიგაურს, მორიგი შეტევისას მსაჯის, მაკა კუპატაძის გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა და ტექნიკური შენიშვნა დასტყუა. ეს გიგაურისთვის მეოთხე ჯარიმა აღმოჩნდა, რაც „შევარდენისთვის" კარგს არაფერს მოასწავებდა. სულ მალე შევარდენთა კიდევ ერთი ძირითადი მოთამაშე, დუდუ ორჯონიკიძე დაჯარიმდა მეოთხედ. გიგაურის არ იყოს, დუდუც მსაჯთან კამათისთვის დაისაჯა და იმავე კუპატაძისგან.

ცოდვა გამხელილი სჯობსო და ამ შეხვედრის არბიტრებს ერთხანს ხელიდან გაექცათ სადავეები, მოედანზე ვნებათაღელვა ჩამოწვა, კალათბურთელები ბევრს ნერვიულობდნენ, მაგრამ, საბედნიეროდ, შეხლა-შემოხლას ისევ თამაში ამჯობინეს და სწორადაც მოიქცნენ.

მატჩის დამთავრებამდე სამ წუთზე ოდნავ ნაკლები რჩებოდა, როცა გიგაურმა ხუთი ჯარიმით სათადარიგოებში გადაინაცვლა. მანამდე ანგარიში თანაბარი (66:66) იყო და „მაკაბისაც" გული მიეცა, მაგრამ კაზანჯიანმა რკინის ნერვები გამოაჩინა და წუთნახევრით ადრე ჩაგდებული სამიანით მეტოქე სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენა. „მაკაბის" საპასუხო შეტევისას „შევარდენი" დაჯარიმდა. ლასარეიშვილს ორივე პერსონალური გაუცუდდა, ბურთი მისმა თანაგუნდელმა ფერაშვილმა მოიხელთა, მაგრამ მისი ნასროლიც ფუჭი აღმოჩნდა. ეს ეპიზოდი კი იმით დამთავრდა, რომ ნოზაძე ცაგარეიშვილს ეუხეშა და ამ უკანასკნელმაც ხუთ ქულამდე — 71:66 გაზარდა სხვაობა.

„მაკაბიმ" კიდევ გაიბრძოლა, ორი ქულა გაქვითა და შეტევის შესაძლებლობაც მიეცა, მაგრამ თერთმეტი წამით ადრე მაკაბელებმა ზონის წესი დაარღვიეს, ბურთი „შევარდენს" გადაეცა და ამით ყველაფერს ნათელი მოეფინა.


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**ხუთშაბათს, 4 ნოემბერს «კროკო» ჩვეულებრივი განრიგით იმუშავებს**

### ჩემპიონთა ლიგა. VI ტური

2 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 501 | ლევერკუზენი (გერმ.) - მარიბორი (სლოვენია) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 502 | დინამო (უკრაინა) - ლაციო (იტალია) | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| 503 | ფიორენტინა (იტალია) - ბარსელონა (ესპ.) | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 504 | აიკ (შვედეთი) - არსენალი (ინგლისი) | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 505 | ბოავიშტა (პორტ.) - დორტმუნდი (გერმანია) | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| 506 | ფეიენოორდი (ჰოლან.) - რუსენბორგი (ნორვ.) | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 507 | მანჩესტერი (ინგლისი) - შტურმი (ავსტრია) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 508 | მარსელი (საფრანგეთი) - კროაცია (ხორვატია) | 1,5 | 3,4 | 5,6 |

3 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 509 | მოლდე (ნორვეგია) — რეალი (ესპანეთი) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 510 | ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — პორტუ (პორტ.) | 1,7 | 3,1 | 4,2 |
| 511 | ბაიერნი (გერმანია) — რეინჯერსი (შოტლანდია) | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 512 | ვალენსია (ესპანეთი) — პსვ (ჰოლანდია) | 1,7 | 3,0 | 4,4 |
| 513 | სპარტა (ჩეხეთი) — სპარტაკი (რუსეთი) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 514 | ტილბურგი (ჰოლანდია) — ბორდო (საფრანგეთი) | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| 515 | ჩელსი (ინგლისი) — ჰერტა (გერმანია) | 1,7 | 2,0 | 6,5 |
| 516 | გალათასარაი (თურქეთი) — მილანი (იტალია) | 4,4 | 3,3 | 1,6 |

### უეფას თასი. II ეტაპი. II წრე

2 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 517 | ვოლფსბურგი (გერმანია) — როდა (ჰოლანდია) | (1,15-4,0) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 518 | აეკ (საბერძნეთი) — მტკ (უნგრეთი) | (1,5-2,0) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 519 | ბოლონია (იტალია) — ანდერლეხტი (ბელგია) | (1,4-2,3) | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 520 | მონაკო (საფრანგეთი) — ვიძევი (პოლონეთი) | (1,02-10,0) | 1,15 | 5,6 | 10,0 |

4 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 521 | მონპელიე (საფრანგეთი) — დეპორტივო (ესპანეთი) | (5,0-1,1) | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 522 | სელტა (ესპანეთი) — არისი (საბერძნეთი) | (1,02-10,0) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 523 | ლეგია (პოლონეთი) — უდინეზე (იტალია) | (5,0-1,1) | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| 524 | ვიკინგი (ნორვეგია) — ვერდერი (გერმანია) | (2,0-1,5) | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 525 | კაიზერსლაუტერნი (გერმანია) — ტოტენჰემი (ინგლისი) | (2,8-1,3) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 526 | ვესტ ჰემი (ინგლისი) — სტიაუა (რუმინეთი) | (1,7-1,7) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 527 | იუვენტუსი (იტალია) — ლევსკი (ბულგარეთი) | (—-50,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 528 | აიაქსი (ჰოლანდია) — ჰაპოელი (ისრაელი) | (—-50,0) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 529 | ჰელსინგბორგი (შვედეთი) — პარმა (იტალია) | (5,0-1,1) | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| 530 | ნანტი (საფრანგეთი) — ინტერი (სლოვაკეთი) | (—-50,0) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 531 | ნიუკასლი (ინგლისი) — ციურიხი (შვეიცარია) | (1,01-15,0) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 532 | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — გრაცერი (ავსტრია) | (1,4-2,3) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 533 | ამიცა (პოლონეთი) — ატლეტიკო (ესპანეთი) | (4,0-1,15) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 534 | ლოკომოტივი (რუსეთი) — ლიდსი (ინგლისი) | (15,0-1,01) | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 535 | გრასჰოპერი (შვეიცარია) — სლავია (ჩეხეთი) | (2,8-1,3) | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 536 | ბენფიკა (პორგულია) — პაოკ (საბერძნეთი) | (1,02-10,0) | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 537 | რომა (იტალია) — გიოტებორგი (შვედეთი) | (—-25,0) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 538 | მალიორკა (ესპანეთი) — ტეპლიცე (ჩეხეთი) | (1,01-15,0) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 539 | სელტიკი (შოტლანდია) — ლიონი (საფრანგეთი) | (2,5-1,35) | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 540 | ვიტესი (ჰოლანდია) — ლანსი (საფრანგეთი) | (10,0-1,02) | 2,3 | 2,8 | 2,9 |

### ინგლისი. I დივიზიონი. გადადებული მატჩები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 2 ნოემბერი | | | |
| 001 | სტოკპორტი — ქუინზ პარკი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 002 | ქრიუ — ჩარლტონი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 003 | ჰადერსფილდი — იფსვიჩი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 3 ნოემბერი | | | |
| 004 | მანჩესტერ სიტი — პორტსმუთი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

### ინგლისი. II დივიზიონი. XV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 2 ნოემბერი | | | |
| 005 | ბრენტფორდი — რედინგი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 006 | როვერსი — ბერი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 007 | ბარნლი — რექსემი | 1,3 | 4,2 | 7,0 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 008 | კემბრიჯი — სკანთორპი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 009 | კარდიფი — ბლეკპული | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 010 | ჯილინგემი — ბრისტოლი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 011 | მილუოლი — ლუტონი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 012 | ოლდემი — უიკომბი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 013 | ოქსფორდი — კოლჩესტერი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 014 | პრესტონი — ბორნმუთი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 015 | უიგანი — ჩესტერფილდი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | 3 ნოემბერი | | | |
| 016 | სტოკი — ნოტსი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### ინგლისი. III დივიზიონი. XV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 2 ნოემბერი | | | |
| 017 | კარლაისლი — იორკი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 018 | დარლინგტონი — ლეიტონი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 019 | ჰალიფაქსი — ჩელტენემი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 020 | ჰარტლპული — ბარნეტი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 021 | ლინკოლნი — პიტერბრო | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 022 | მაკლსფილდი — მენსფილდი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 023 | ნორთჰემპტონი — სუონსი | 1,9 | 3,0 | 3,3 |
| 024 | პლიმუთი — ექსეტერი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 025 | როჩდეილი — ჰალი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 026 | როტერჰემი — ტორკი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 027 | შრიუსბერი — ჩესტერი | 1,7 | 3,3 | 4,0 |
| 028 | საუთენდი — ბრაიტონი | 2,1 | 2,9 | 3,2 |

### ჰოლანდია. XII ტური

3 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 029 | ნაიმეგენი — ჰერენვენი | 3,3 | 3,2 | 1,9 |

### კალათბურთი. NBA

2 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 801 | ნიუ იორკი — კლივლენდი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 802 | ნიუ ჯერსი — ინდიანა | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 803 | ვაშინგტონი — ატლანტა | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 804 | მაიამი — დეტროიტი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 805 | შარლოტი — ორლანდო | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 806 | ტორონტო — ბოსტონი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 807 | დალასი — გოლდენ სტეიტი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 808 | ჰიუსტონი — მილუოკი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 809 | სან ანტონიო — ფილადელფია | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 810 | დენვერი — ფინიქსი | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 811 | იუტა — ლეიკერსი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 812 | კლიპერსი — სიეტლი | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 813 | ვანკუვერი — პორტლენდი | 4,0 | 12,0 | 1,15 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 3 ნოემბერი | | | |
| 814 | ბოსტონი — ვაშინგტონი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 815 | ორლანდო — დეტროიტი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 816 | კლივლენდი — ნიუ ჯერსი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 817 | ჩიკაგო — ნიუ იორკი | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 818 | ლეიკერსი — ვანკუვერი | 1,02 | 12,0 | 10,0 |
| 819 | პორტლენდი — კლიპერსი | 1,02 | 12,0 | 10,0 |
| | 4 ნოემბერი | | | |
| 820 | შარლოტი — ინდიანა | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 821 | ატლანტა — მილუოკი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 822 | ტორონტო — მაიამი | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 823 | სან ანტონიო — გოლდენ სტეიტი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 824 | იუტა — ჰიუსტონი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 825 | ფინიქსი — ფილადელფია | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 826 | სიეტლი — დალასი | 1,1 | 12,0 | 5,0 |

### კალათბურთი. ევროლიგა. VI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 3 ნოემბერი | | | |
| 827 | ცსკა (რუსეთი) — ბ[illegible]ონა (ესპანეთი) | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 828 | ბენეტონი (იტალია) — [illegible]ლე (საფრანგეთი) | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 829 | ვარეზე (იტალია) — პ[illegible]არნა (სლოვენია) | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 830 | პო ორტეზი (საფრანგეთი) — ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია) | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| | 4 ნოემბერი | | | |
| 831 | ეფესი (თურქეთი) — კახა სან ფერნანდო (ესპანეთი) | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 832 | ალბა (გერმანია) — თოფაში (თურქეთი) | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 833 | ვილერბანი (საფრანგეთი) — ულქერი (თურქეთი) | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 834 | პაოკ (საბერძნეთი) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 835 | რეალი (ესპანეთი) — ოლიმპია (სლოვენია) | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 836 | ციბონა (ხორვატია) — ფორტიტუდო (იტალია) | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 837 | მაკაბი (ისრაელი) — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 838 | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — ჟალგირისი (ლიტვა) | 1,1 | 12,0 | 5,0 |

### ჰოკეი. NHL

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 2 ნოემბერი | | | |
| 839 | პიტსბურგი — ლოს ანჯელესი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| | 3 ნოემბერი | | | |
| 840 | ვაშინგტონი — ოტავა | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 841 | ნიუ ჯერსი — მონრეალი | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| 842 | რეინჯერსი — აილენდერსი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 843 | კაროლინა — ტორონტო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 844 | ატლანტა — ტამპა ბეი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 845 | დეტროიტი — ლოს ანჯელესი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 846 | დალასი — ბუფალო | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 847 | კოლორადო — სენტ ლუისი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 848 | კალგარი — ნეშვილი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 849 | ედმონტონი — ფლორიდა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 850 | ანაჰაიმი — ფილადელფია | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 851 | სან ხოსე — ფინიქსი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| | 4 ნოემბერი | | | |
| 852 | ბოსტონი — ნიუ ჯერსი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 853 | ოტავა — პიტსბურგი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 854 | აილენდერსი — მონრეალი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 855 | ჩიკაგო — ბუფალო | 1,9 | 4,4 | 2,1 |

### ჰოკეი. ევროლიგა. IV ტური

2 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 856 | სლოვანი (სლოვაკეთი) — მეტალურგი (რუსეთი) | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 857 | ფილასი (ავსტრია) — ვშეტინი (ჩეხეთი) | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 858 | მანჰაიმი (გერმანია) — ტურკუ (ფინეთი) | 3,0 | 4,4 | 1,5 |
| 860 | ვოლერენგა (ნორვეგია) — მოდო (შვედეთი) | 3,4, | 4,4 | 1,4 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მსოფლიოს თასი

# მარსელიეზი თვიქნემში

31 ოქტომბერი, თვიქნემი
**საფრანგეთი 43(10):31(17) ახალი ზელანდია**

საფრანგეთი: გარბაჟოზა, ბერნა-სალი, დურთი, ნტამაკი (გლა 80), დომინისი (მოლა 78), ლამეზონი, გალტიე (ს. კასტანიედი 76), მანი, ჟუიე (ბრუზე 32), მ. ლიევრემონი (კოსტი 65), პელუ, ბენაზი, ტურნერი, იბანესი (კაპ.), სულეტი (დე ვილიე 58)
4ლ — ლამეზონი (20), დომინისი (56), დურთი (60), ბერნა-სალი (75); 4გ. და 3ს — ლამეზონი (2, 50, 54); 2ა — ლამეზონი (47, 49)
ახალი ზელანდია: უილსონი, უმაგა, კალენი, იერემია (გიბსონი 58), ლომუ, მერთენსი, კელეჰერი (მარშალი 78), კრონფელდი, რენდელი (კაპ.), ტორნი, მაქსველი, ბრუკი (უილისი 72), დოუდი (მეუვსი 58), ოლივერი, ჰოფტი
3ლ — ლომუ (24, 45), უილსონი (80); 2გ — მერთენსი (45, 80); 4ს — მერთენსი (9, 18, 22, 39)
გაფრთხილება: გარბაჟოზა (17), იბანესი (35)
მსაჯი: ფლემინგი (შოტლანდია)

საფრანგეთმა ის გააკეთა, რაც ამ მსოფლიოს თასზე სხვა ევროპელებმა ვერ შეძლეს — მან ერთ-ერთი სამხრეთელი ბობოლა ბეჭებზე გააკრა და ფინალი ჩრდილოეთი-სამხრეთის დაპირისპირებად აქცია. საფრანგეთმა ის გააკეთა, რაც აქამდე ვერც ერთ სხვა ნაკრებს ვერ მოეხერხებინა — მან ახალ ზელანდიას ერთბაშად 43 ქულა აართვა, ასეთი რამ კი ისტორიას არ ახსოვს. საფრანგეთმა ის გააკეთა, რასაც ვერავინ წარმოიდგენდა — მან ისე ლაღად, ლამაზად, მშვენივრად და ბრწყინვალედ ითამაშა, თვიქნემში თავმოყრილი ინგლისელები თავის მხარდასაჭერად და საქომაგოდ აღრიალა!

ერთი სიტყვით, ყოჩაღ, „მამლებო"! ახალი ზელანდიის ასე დამარცხება წარმოუდგენელი იყო. თუმცა, გული გულობდეს და „შავებიც" ორი ხელით შეიჭმებიან.

„თამაშის წინ ბიჭებს ვუთხარი, რომ ნამდვილი ბრძოლისთვის მომზადებულიყვნენ, რადგან „ოლ ბლექსი" მუდამ საომრად გამოდის მინდორზე. ამიტომ გადავწყვიტეთ, ჯარისკაცებივით საომარი სიმღერა გვემღერა. „მარსელიეზზე" უკეთესს რას შევარჩევდით? ამან ძალიან კარგად იმოქმედა ჩვენზე, ვიგრძენით, შეუძლებელს შევძლებდით. ასეც მოხდა. ამისთანა მატჩები რომ არსებობს, იმიტომ უყვარს ხალხს რაგბი" — თქვა ფინალში გასულთა კაპიტანმა რაფაელ იბანესმა.

„მარსელიეზმა" თავისი საქმე თამაშამდეც გააკეთა და მისი მიმდინარეობის დროსაც, მეორე ტაიმის დასაწყისში, როცა ახალი ზელანდია 24:10 დაწინაურდა, ტრიბუნებზე თავმოყრილმა ფრანგებმა თავიანთი ქვეყნის ჰიმნი დააგუგუნეს და თვისტომებიც აანთეს. და დაიწყო „შავების" რბევა...

ანგარიში „მამლების" დამრტყმელმა კრისტოფ ლამეზონმა გახსნა მე-2 წუთზე საჯარიმოთი. უნდა ითქვას, რომ მან თავისი მუხლმტკივანი ზელანდიელი კოლეგა ენდრიუ მერთენსი პირწმინდად დაჯაბნა და მასზე 12 ქულით მეტი მოუტანა საკუთარ გუნდს. სწორედ ამ თორმეტი ქულით მოიგეს ფრანგებმა.

REUTERS თვიქნემიდან



კრისტოფ ლამეზონი: ახალზელანდიელთა მთავარი მარბიელი

მერე ზელანდიამაც მიითვალა ქულები. მერთენსმა მესამე ცდიდან გაატარა ბურთი ძელებს შორის, ათიოდ წუთში კი კიდევ სამი ქულით შეეწია თავისიანებს. თუმცა აქ პატარა კაცის ჯერი დადგა. მინდორზე ყველაზე მომცრო ტანის „მამლების" მარცხენა ფრთა კრისტოფ დომინისი იყო, რომელიც ბრგე ზელანდიელებისთვის შეუჩერებელი აღმოჩნდა. მე-20 წუთზე მან მშვენიერი მანევრებით მეტოქის დაცვა გაარღვია და „ოლ ბლექსის" სალელოე მოედნისკენ გაქანდა. დომინისი ძელებიდან დაახლოებით ხუთ მეტრში შებოჭა კალენმა, მაგრამ სწრაფად გათავისუფლებული ბურთი გალტიემ ლამეზონს გადააწოდა და მასაც არ გასჭირვებია ლელოს გატანა.

„შავებისთვის" ეს პირველი ალიყური იყო, რომელმაც ისინი გამოაფხიზლა და ლომუმაც ჩვეულ, ძალისმიერ სტილში თავისი ლელო გაიტანა. მერთენსმაც კიდევ ორი საჯარიმო შეაგდო და ტაიმი სამხრეთელებმა მოიგეს 17:10. შესვენების შემდეგ უილსონისა და ლომუს მშვენიერი კომბინაცია ამ უკანასკნელის ლელოთი დასრულდა. ამ მომენტში ლომუს შებოჭვა ფრანგებს, ფაქტობრივად, არც უცდიათ და ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ისინი მარცხისთვის იყვნენ განწირულნი.

ახალი ზელანდია 24:10 დაწინაურდა, ტრიბუნებზე თავმოყრილმა ფრანგებმა თავიანთი ქვეყნის ჰიმნი დააგუგუნეს და თავისი მორაგბეებიც აანთეს. და დაიწყო „შავების" რბევა...

ლამეზონმა ორი წუთის ინტერვალით ორი არეკნი გაიტანა, მომდევნო ხუთ წუთში ორი საჯარიმოც ზუსტად შეასრულა და ანგარიშში სხვაობა ორ ქულამდე შეამცირა — 22:24. ამ დროს ზელანდიელთა რიგებში დაბნეულობა შეიმჩნეოდა. მათ თითქოს გამარჯვების რწმენა დაკარგეს... დომინისის ლელოს შემდეგ წინ უკვე „მამლები" არიან — 29:24. თვიქნემის სტადიონზე შეკრებილმა ინგლისელებმაც ამ მომენტში დაიწყეს „ბაყაყიჭამიების" ქომაგობა. სხვანაირად წარმოუდგენელიც იქნებოდა.

საფრანგეთს შეტევებისთვის თავი არ გაუნებებია. ოთხიოდ წუთში, აუტიდან მოგებული ბურთის შემდეგ, „მამლების" შერკინება დაიძრა „შავების" სალელოე მოედნისკენ. რამდენიმე მეტრის შემდეგ ზედახორა წარმოიქმნა, ბურთი სწრაფად გამოათავისუფლეს ლამეზონისათვის, რომელმაც პატარა, ბრწყინვალე აბრაგანით გადაატარა იგი მეტოქის დაცვას. რიშარ დურთიც ყველაზე ადრე გაჩნდა ბურთთან და მორიგი ლელო.

ახალმა ზელანდიამ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და მატჩის გადარჩენა სცადა, მაგრამ იმ დღეს „მამლები" ცაში დაფრინავდნენ. მათ უმაგას შეცდომით ისარგებლეს, ბურთი ფეხით წინ გაიგდეს და მას ოლივიე მანი და ფილიპ ბერნა-სალი გამოუდგნენ. უილსონი ცდილობდა, მათთვის ხელი შეეშალა, მაგრამ ბერნა-სალი ძალიან სწრაფი ყოფილა და მეოთხე ლელო. ბოლო წუთზე უილსონის ლელოს აღარაფრის შეცვლა აღარ შეეძლო.

საფრანგეთმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა და დაამტკიცა, რომ დავითსაც შეუძლია გოლიათის ძლევა.

**გაიოზ თალაკვაძე**

# ჩემი დამრტყმელი შენსას სჯობს

30 ოქტომბერი, თვიქნემი
**ავსტრალია 27(18)(12):21(18)(6) სამხრეთ აფრიკა**

ავსტრალია: ბარკი, ტიუნი (ლითლი 61), ჰორანი (გრეი 74), ჰერბერტი, როფი, ლარკჰემი, გრეგანი, კეფუ, უილსონი, კოკბეინი (ფინეგენი 60), ილსი (კაპ.), გიფინი (კონორსი 93), ბლეიდსი, ფოლეი, ჰარი
8ს — ბარკი (12, 22, 27, 40, 66, 75, 87, 98); 1ა — ლარკჰემი (93)
სამხრეთ აფრიკა: მონტგომერი, კაიზერი (ტერბლანში 72), ფლეკი, მალერი (ჰონიბალი 90), როსოუ, დე ბეერი, ვან დერ ვესტჰოიზენი (კაპ.), სკინსტედი (ვოსი 71), ა. ვანტერი, ერასმუსი, ენდრიუსი (ვან დენ ბერგი 59), ოტო, ვიზაჟი, დროცკე, დიუ რანდტი (ლე რუ 59)
6ს — დე ბეერი (25, 37, 44, 79, 80, 83); 1ა — დე ბეერი (54)
მსაჯი: დ. ბევანი (უელსი)

REUTERS თვიქნემიდან




სამხრეთაფრიკელები ამ ბურთს კი შესწვდნენ, მაგრამ ფინალს — ვერა

დაძაბული მატჩისა და დამატებითი დროის შემდეგ ავსტრალიამ სამხრეთ აფრიკას სძლია და მეორეჯერ გავიდა მსოფლიოს თასის ფინალში. „ქურციკებმა", რომელთაგან რვა ოთხი წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონი გამხდარა, პირველი მარცხი იგემეს ამ ტურნირების ისტორიაში და „ვოლაბებს" შანსი მისცეს პირველი ორგზის ჩემპიონები გახდნენ.

არადა, მოგება სამხრეთაფრიკელებსაც შეეძლოთ. ჯანი დე ბეერს უფრო მეტი სიზუსტით რომ შეესრულებინა არეკნები, იოსტ ვან დერ ვესტჰოიზენი რამდენიმე კონტრშეტევისას ნაკლები სანახაობით რომ დაკმაყოფილებულიყო, ანდა ოს დიუ რანდტს მეტოქის ბოლო მცველზე ჯიქურ წასვლის ნაცვლად ბურთი პარტნიორისთვის რომ გადაეგდო... თუმცა „ქურციკებმა" ერთხელაც ვერ შეძლეს მატჩის სადავეების მთლიანად საკუთარ ხელში აღება. ისინი ხანდახან გაიბრწყინებდნენ ხოლმე, ეს კი მსოფლიოს თასის ნახევარფინალის მოსაგებად საკმარისი არაა.

არა, ისე არ გაიგოთ, თითქოს აფრიკელთა წაგება მარტო მათი ბრალია. ამაში დიდი წვლილი ავსტრალიელებსაც მიუძღვით, რომლებმაც თამაში მშვენივრად დაიწყეს, ანგარიშიც გახსნეს და მეტოქე მუდმივად მდევრის როლის შესრულებისთვის გასწირეს. საწყისი რამდენიმე წუთი ტრადიციულად წარიმართა. ორივე გუნდი ბურთის მოწინააღმდეგის ნახევარზე გადატანას აბრაგანებით ცდილობდა. უაზრო პინგ-პონგი პირველებს ავსტრალიელებს მობეზრდათ და ბურთის ხელით გათამაშება სცადეს. მათ რამდენიმეჯერ აფრიკელთა დაცვის პირველი ჯებირი კარგად გაარღვიეს, მაგრამ პირველი რეალური ხიფათი მხოლოდ დე ბეერის შეცდომის შემდეგ შეუქმნეს „ქურციკებს". მეოთხედფინალში ხუთი არეკნის გამტანმა დე ბეერმა მეტოქის საჯარიმო მოედანში არაზუსტი პასი გააკეთა და როფი-ლარკჰემის დუეტმა მთელი მოედანი გადასერა, გვარიანი შიში აჭამა აფრიკელებს, მაგრამ მათ სალელოე მოედანს მაინც ვერ უწია.

„ქურციკების" დამრტყმელმა დე ბეერმა ამის შემდეგ თითქმის სულ აილო ხელი ხელით თამაშზე. მთავარი მწვრთნელის ნიკ მელეტის თქმით ხომ არეკნი ავსტრალიური დაცვის დაძლევის თითქმის ერთადერთი საშუალება იყო, დაცვისა, რომელმაც მსოფლიოს თასზე მხოლოდ ერთი ლელო გაუშვა. ჰოდა, დე ბეერმაც ურტყა და ურტყა არეკნები. თუმცა მისი „ოქროს ფეხი" „ტყვიისად" გადაქცეულიყო და მანაც ხუთი ცდიდან მხოლოდ ერთხელ უწია მიზანს.

მეორე ტაიმის დასაწყისში უპირატესობა აფრიკელთა მხარეს იყო, მაგრამ ვერც მისი შერკინების დომინირებამ, ვერ როსოუსა და მონტგომერის აქტიურობამ და ვერც რობი ფლეკის მშვენიერმა რეიდებმა სასურველი შედეგი ვერ მოიტანა. თუმცა ტაიმის შუაწელში დე ბეერის ერთადერთი ზუსტი არეკნის შემდეგ ანგარიში მაინც გათანაბრდა, მაგრამ ამის გაკეთებამ ძალიან ბევრი ენერგია შეიწირა.

ამ დროს „ვოლაბებიც" გამოფხიზლდნენ. ტიმ ჰორანის წამოწყებულ იერიშს მსოფლიოს ჩემპიონების მიერ თამაშის წესების დარღვევა მოჰყვა და მეტიუ ბარკმა, რომელიც იმ დღეს ბრწყინვალედ ურტყამდა, თავისიანები კვლავ დააწინაურა. ცოტა ხანში კი ძალიან ხანგრძლივი შეტევის შემდეგ გრეგანმა მატჩის ერთადერთი ლელო გაიტანა, რომელიც ბატონმა ბევანმა არ ჩათვალა. თუმცა რა, მომდევნო მომენტში გაწამაწიაში მყოფმა აფრიკელებმა ზედახორადან ბურთის განთავისუფლება არ დაანებეს და მათ საწინააღმდეგოდ მორიგი საჯარიმო დაინიშნა. ბარკი ზუსტად ურტყამს და ავსტრალია ყველას ფინალში ჰგონია, რადგან თამაშის დამთავრებას ხუთი წუთიღა უკლია, ანგარიში კი 18:12 გახდა.

ძირითადი დროის ბოლო წუთზე დე ბეერმა წამოიწყო იერიში. იგი ავსტრალიელებმა შებოჭეს. დე ბეერს ბურთის განთავისუფლება არც კი უცდია, მსაჯმა კი მის ნაცვლად „ვოლაბები" დააჯარიმა. ჯონიმაც კარგად შეირგო საჩუქარი. ამის მერე კი ბატონი ბევანის საათმა ყველა მეცნიერული კანონი თავდაყირა დააყენა. დამხმარე მსაჯმა ყველას ამცნო, რომ ორი წუთი კიდევ უნდა ებურთავათ მორაგბეებს. მთავარი მსაჯის საათმა კი ეს ორი წუთი გააოთხმაგა (!) და დე ბეერს 45 მეტრიდან ანგარიშის გათანაბრების შანსი ხელიდან არ გაუშვია.

დამატებითი ორი ტაიმი. ჰოდა, როცა აფრიკელები წინ გავიდნენ, სპორტული სამართლიანობის პრინციპი ზედიზედ ორჯერ მსოფლიოს თასის ფინალში ვერავინ გასულიყო. ასე მოხდა ამჯერადაც (მეორე დღესაც, საფრანგეთს ამ პრინციპით უნდა მოეგო). ავსტრალიელებმა კიდევ ცხრა ქულის მოპოვება შეძლეს და 16 ნოემბერს ისტორიაში პირველნი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები შეიძლება გახდნენ.

# რას მძებდა ზანგი თბილისში?

დასრულდა ძიუდოისტთა თბილისის 27-ე ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. ისედაც შეჭირვებულ-დაკნინებულს მანამდე გამართულმა მსოფლიოს პირადმა და ევროპის გუნდურმა ჩემპიონატებმა მონაწილეები დააკლო და მცირერიცხოვან სტუმრებში ამაოდ მოძებნიდით სახელოვან ფალავნებს. მაგრამ უცხოელებზე რა ვთქვათ, როცა მწვრთნელებმა ჩვენი ნაკრების ლიდერები — რევაზიშვილი და ხერგიანი დაასვენეს, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოპოვებულმა ბრინჯაოს მედლებმა და ოლიმპიურმა ლიცენზიებმა გადალალესო. ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო მათ მოგვიანებით ალექსი დავითაშვილი, სოსო ლიპარტელიანი და გიორგი ვაზაგაშვილიც დაემატნენ.

ტურნირის სიძლიერეს მონაწილეთა შემადგენლობა კი განსაზღვრავს, მაგრამ ეტყობა, ძველებური ენთუზიაზმი აღარც ჩვენ შემოგვრჩენია. ძიუდოისტები ხშირად ისე ჭიდაობდნენ, თითქოს ვინმე აიძულებდათ. მაინცდამაინც ვერც ორგანიზატორებმა გამოიჩინეს თავი. უმნიშვნელო საჩუქრებს რომ შევეშვათ, იყო შეცდომები წილისყრისას, რის გამოც რამდენიმე შეხვედრა განმეორებით დაინიშნა. ევროპის ძიუდოს კავშირის პრეზიდენტი, ჰოლანდიელი ფრანს ჰუგენდაიკი ქართულად კი მოგვესალმა და გახსნის ცერემონიალზეც ტურნირისადმი თავისი კეთილგანწყობა გამოხატა, მაგრამ ალბათ არაერთ დარღვევაზეც დახუჭა თვალი. თუნდაც სპორტის სასახლის დანაგვიანებულ გასახდელებზე (კიდევ კარგი, სტუმართათვის განკუთვნილი შედარებით უკეთ გამოიყურება). ასეთ პირობებში ამ ტურნირს სალიცენზიო სტატუსს არავინ მიანიჭებს და ნურც მისი ძველი სახელის დაბრუნებაზე ვიოცნებებთ.

ტურნირზე ლამაზი ილეთებიც მრავლად შესრულდა, მაგრამ მთლიანობაში მაინც მოსაწყენი შეჯიბრება იყო. ტურნირს კოლორიტულობა და თუ შეიძლება ითქვას, ინტერესი შორეული აფრიკიდან შემთხვევით ჩამოხეტებულმა ტოგოელმა დენარიომ შესძინა, აეროპორტში გაკვირვებისგან ხელები რომ გაუშლია, ეს სად ჩამოვედიო (ნეტავ, მისი დედაქალაქი ლომე ასეთი რა მსოფლიოს მერვე საოცრებაა). ისე, რა უნდოდა, რისთვის გამოიარა ამხელა გზა და ხარჯა ამდენი ფული. ჭიდაობა იმან არ იცოდა და, თბილისში ჩამოდიო, კალთებს არავინ დაახევდა. ის პირველივე შეხვედრაში იპონით დამარცხდა ჯლამაძესთან (73). თვალს ხომ წყალი დაალევინა და ჩვენი ტურნირს მონაწილე პირველი აფრიკელიც შეიქნა. ტოგოსავით ერთი კაცით გვეწვია უკრაინაც და ეს უფრო ემიგრანტ ჩიმჩიურის წყალობით. სომხები, აზერბაიჯანელები და ყაზახები შედარებით მრავალრიცხოვანი გუნდებით ჩამოვიდნენ. ისე, ზოგიერთ წონაში ჩემპიონობა ან პრიზიორობა ძნელი მოსაპოვებელი სულაც არ იყო. მაგალითად, მძიმე წონაში ჩინჩალაძეს და ფერაძეს თითო წაგება ეყოთ... ბრინჯაოს მედლების დასაუფლებლად. ერთი მოგებით გავიდა ფინალში ხაბულიანიც. ეს იმიტომ, რომ აქ სულ ხუთი ძიუდოისტი ასპარეზობდა.

მსაჯთა მიკერძოებას ვერც ეს ტურნირი გადაურჩა. ფეიქრიშვილ-გასვიანის შეხვედრისას ტაბლოზე გასვიანს ქულა დააკლეს და მსაჯებმა გამარჯვებულად მისი მეტოქე გამოაცხადეს. დარწმუნებით ვერავინ იტყვის, მსაჯ-ინფორმატორმა ეს განგებ გააკეთა თუ არა, მაგრამ გასვიანი რომ აზარალა, ფაქტია. ჰოდა, პროტესტიც გამოითქვა. უსამართლობა იმდენად აშკარა იყო, რომ ნაკრების ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა ბერდია გუგავამაც გაილაშქრა გასვიანის დასაცავად. მას არც გასვიანის მწვრთნელი ანზორ მარგველანი ჩამორჩა. გუგავამ ლაშას მამას, ნაკრების მწვრთნელ სულიკო ფეიქრიშვილსაც კი მიმართა, შენც უნდა თქვა შენი სიტყვა, აქედან ფუჭდება ყველაფერიო, ესეც ხმამაღლა განაცხადა, მაგრამ ამაოდ. ის შეხვედრა ვიდეოზეც იყო გადაღებული, მაგრამ მსაჯებმა ფირის ნახვა არ ისურვეს. ერთმა ამის მიზეზი ასე ახსნა — მსაჯთა გადაწყვეტილება არ იცვლება, ახლა რომ ფირი გავარჩიოთ, ტურნირის ავტორიტეტი შეილახებაო(!).

საუბედუროდ, ეს მსაჯთა ერთადერთი შეცდომა არ იყო. იმავე აფრიკელის დასაცავად ჩვენი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ანზორ მარტყოფლიშვილი ერთხელ ფეხზეც კი წამოუხტა მსაჯებს.

ტურნირში ქალებიც მონაწილეობდნენ და მე თუ მკითხავთ, ბიჭებზე უფრო ჟინიანად იჭიდავეს. ამასთან, არც ოსტატობა აკლდათ. მაგალითად, გრძელნაწნავიანმა ჯინორიძემ ისეთი უზადო კისრულით დასცა მეტოქე იპონზე, რომ მგონი, ასეთი ილეთი ვაჟებსაც არ გაუკეთებიათ.

**ტექნიკური შედეგები**

60 კგ
1. ლაშა სარდანაშვილი (საქართველო)
2. ნიდჯატ სულთანოვი (აზერბაიჯანი)
3. მამუკა მათიაშვილი (საქართველო)
3. თემურ გივიაშვილი (საქართველო)

66
1. ლევან ჭიაბერაშვილი (საქართველო)
2. თემურ ბაჩიაშვილი (საქართველო)
3. ნამადი სულთანოვი (აზერბაიჯანი)
3. ილია ქოთოლაშვილი (საქართველო)

73
1. ელხალ რაჯაბლი (აზერბაიჯანი)
2. ფირუზ ტყეშელაშვილი (საქართველო)
3. ჯონდო მუზაშვილი (საქართველო)
3. თურან მუსაევი (აზერბაიჯანი)

81
1. ნიკო ბიბილაშვილი (საქართველო)
2. ლევან ციგრიაშვილი (საქართველო)
3. მარატ ზასეევი (რუსეთი)
3. მურატ კასიევი (რუსეთი)

90
1. გია გუგავა (საქართველო)
2. გიორგი წმინდაშვილი (საქართველო)
3. გელა ჭურჭელაური (საქართველო)
3. ზაზა გულბიანი (საქართველო)

100
1. ივერი ჯიქურაული (საქართველო)
2. ლაშა ფეიქრიშვილი (საქართველო)
3. იუზა ბოლქვაძე (საქართველო)
3. ინაულ გაბარაევი (რუსეთი)

მძიმე
1. შოთა ჩოჩიშვილი (საქართველო)
2. დავით ხაბულიანი (საქართველო)
3. რატი ფერაძე (საქართველო)
3. ზვიად ჩინჩალაძე (საქართველო)

**ქალები**

52
1. კაიფატ კასიმოვა (აზერბაიჯანი)
2. მიგერ გაბაროვა (აზერბაიჯანი)
3. ასმათ კალეევა (აზერბაიჯანი)
3. შუმათ კალეევა (აზერბაიჯანი

70
1. ვარვარა მოსიაგინა (ყაზახეთი)
2. ნინო მირუაშვილი (საქართველო)
3. ვერია ჰუსეინოვა (აზერბაიჯანი)



ივერი ჯიქურაულმა (მარცხნივ) ყველა მეტოქე დაამარცხა





სანდრინ ტესტიუ და მარი პირსი

# მოკლე ჩართვა

შტუტგარტი. გერმანია. EUROCARD OPEN. დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 2,45 მილიონი $

მეოთხედფინალი: **ანდრე აგასი** (1, აშშ) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 6:2, 6:1; **გრეგ რუზედსკი** (5, ინგლისი) — ტოდ მარტინი (3, აშშ) 4:6, 7:6 (12:10), 6:4; **ტომას ენკვისტი** (13, შვედეთი) — მარსელო რიოსი (6, ჩილე) 6:4, 6:2; **რიჩარდ კრაიჩეკი** (8, ჰოლანდია) — მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) 6:3, 6:2.

ნახევარფინალი: **ენკვისტი** — აგასი 6:3, 4:6, 6:0; **კრაიჩეკი** — რუზედსკი 6:4, 6:4.

ფინალი: **ენკვისტი** — კრაიჩეკი 6:1, 6:4, 5:7, 7:5.

თუ გსურთ ლამაზი ჩოგბურთი, რისკიანი დარტყმები იხილოთ და გული მატჩის მანძილზე რამდენჯერმე მაინც აგიჩქროლდეთ, უყურეთ მარსელო რიოსის, ანდრე აგასის, რიჩარდ კრაიჩეკის თამაშს — აქა-იქ შეცდომებთან ერთად ისეთი დარტყმებით დატკბებით, დროს დაკარგულად ნამდვილად არ ჩათვლით.

აი, ტომას ენკვისტი კი სულ სხვა ჯიშის ჩოგბურთელია. იგი მარტო სახის საოცხრად სწორი და ოთხკუთხა ნაკვთებით კი არა, თამაშითაც საოცრად წააგავს რობოტს: თუ სამიზნე გასწორებული აქვს, გზაზე ყველას და ყველაფერს ანადგურებს, მაგრამ თუ მიკროპროცესორში ერთი მოკლე ჩართვა მოუვა, რემონტში ჩაბარებამდე აღარაფერი ეშველება.

სეზონი შვედური ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით აღჭურვილმა ენკვისტმა არაადამიანურად გამართულად დაიწყო: ერთი ATP-ის, ერთიც საჩვენებელი ტურნირი მოიგო, თან თითქმის ყველა ძლიერი ამა ქვეყნისა დაამარცხა (რაფტერი, აგასი, ფილიპუსისი...) და ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში გააღწია.

ბოროტმა ჰაკერმა ევგენი კაფელნიკოვმა სეზონის პირველი „მეიჯორის“ გადამწყვეტ შეხვედრაში ენკვისტი ოსტატურად შედგენილი ვირუსით გამოიყვანა წყობიდან და მო[illegible]ნო 8 თვის მანძილზე შვედს ღირებუ[illegible] აღარაფერი გაუკეთებია. თუმცა კა[illegible]ტალური შეკეთების შემდეგ შტუტგარტის ტურნირს მოდიფიცირებული და სამიზნეგასწორებული სკანდინაველი დაუბრუნდა.

„ენკვისტმა ერთ დღეს მსოფლიოს ჩემპიონივით შეიძლება ითამაშოს, მეორე დღეს კი სამარცხვინოდ“ — მეტად სამართლიანად თქვა თავის დროზე ანდრე აგასიმ. ამჯერად მსოფლიოს ჩემპიონს შვედი მთელი კვირის მანძილზე ჰგავდა.

მერვედფინალიდან მოყოლებული ენკვისტს უძნელესი მეტოქეები ჰყავდა — გუსტავო კურტენი, რიოსი, აგასი, კრაიჩეკი, მაგრამ ვერავინ შეაჩერა.

ხოტორა ამერიკელი და კიკინიანი ჩილელი იმიტომ დაისაჯნენ, რომ ენკვისტთან მძლავრ და სწორხაზოვან დარტყმებში გაჯიბრება მოიწადინეს, რითაც თავისივე ხელით გაითხარეს სამარე.

„ასე მეგონა, რომ ყოველთვის, როცა ბურთს ეხებოდა, დარტყმულის უკან დაბრუნება შეუძლებელი იყო — აღნიშნა ნახევარფინალში დამარცხების შემდეგ აგასიმ, რომელიც შვედმა სახელოვანი გელფრენდის, შტეფი გრაფის თვალწინ პირველად შეარცხვინა — დიდი რა მნიშვნელობა აქვს, შტეფი მიყურებს, თუ არა, მას ხომ ჩემს მაგივრად თამაში არ შეუძლია. ზოგჯერ ვფიქრობ, რა კარგი იქნებოდა, რომ შეეძლოს. ნეტავ, დღეს ვინმეს ჩემთვის მისი მოჭრილი ბექჰენდი მოეცა...“

მანამდე საუკეთესო უკანახაზელების დამარცხების მიუხედავად, რიჩარდ კრაიჩეკთან შეხვედრაში ენკვისტს ფავორიტად არავინ თვლიდა. დარბაზის სწრაფ კორტებზე გოლიათი ჰოლანდიელის მოწოდებასთან გამკლავება თითქმის შეუძლებელია, თანაც კრაიჩეკი შტუტგარტის ტურნირის ორგზის გამარჯვებული, კიდევ ორგზის ფინალისტი გახლდათ და მიაჩნდა, აქ რაღაც ზებუნებრივი ძალები მეხმარებიანო.

ამიტომ საოცარი დასაწყისი, როდესაც ენკვისტი თხუთმეტიოდ წუთში 5:0-ით დაწინაურდა, ყველასათვის მოულოდნელი აღმოჩნდა. შოკის მდგომარეობიდან ჰოლანდიელი მანამ ვერ გამოერკვა, სანამ კიდევ ერთხელ არ დაკარგა საკუთარი მოწოდება და მარცხის პირას არ აღმოჩნდა — შვედმა მეორე სეტიც სწრაფად მოიგო.

კედელზე ზურგის მიბჯენამ კრაიჩეკზე სასიკეთოდ იმოქმედა: უიმბლდონის 1996 წლის ჩემპიონი, აგასისა და რიოსისგან განსხვავებით, დროზე მიხვდა, რომ ენკვისტთან მძლავრ დარტყმებში გაჯიბრებით არაფერი გამოუვიდოდა, ტემპი დააგდო, გადაგდებაზე ათამაშდა და შვედი აიძულა, შეცდომები დაეშვა.

თანდათან უპირატესობამ ჰოლანდიელის მხარეს გადაინაცვლა. მან ანგარიშში სხვაობა შეამცირა და მოვლენებში გვერდითი მსაჯი რომ არ ჩარეულიყო, იქნებ მეხუთე, გადამწყვეტი სეტიც შემდგარიყო.

მეოთხე სეტში, 5:5-ზე ენკვისტს ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, როდესაც ბადესთან გავარდნილ მეტოქეს ბურთი შემოავლო, თუმცა სულ მცირედით ააცილა გვერდით ხაზს. იქვე მყოფი გვერდითი მსაჯი, ალბათ, ერთადერთი ადამიანი იყო დარბაზში, რომოელმაც ეს ვერ შეამჩნია, აუტი არ დაიძახა და ქულა შვედს ჩაუთვალა — 6:5.

კრაიჩეკი დიდხანს კამათობდა მსაჯთან და ამ გადაწყვეტილების შეცვლას ითხოვდა, თუმცა არაფერი გამოვიდა და ორიოდ წუთში მატჩიც დასრულდა.

„ენკვისტი ჩემზე უკეთ თამაშობდა, მე დიდი დაჭირვებით ვახერხებდი შეხვედრის გაჭიანურებას. მეხუთე სეტისთვის რომ მიმეღწია, იქნებ რაიმე შეცვლილიყო, მაგრამ მსაჯის იმ სულელურმა გადაწყვეტილებამ ყველაფერი გააფუჭა. ამან ძალიან ცუდ გუნებაზე დამაყენა“ — აღნიშნა კრაიჩეკმა, რომელსაც 1993 წელს შტუტგარტის ტურნირის ფინალში მიხაელ შტიხთან მიკერძოებულმა მსაჯებმა ძალით წააგებინეს.

ენკვისტმა გამარჯვებისთვის 376 ათასი დოლარი მიითვალა, კლასიფიკაციაში მეთექვსმეტედან მეცხრე ადგილზე გადაბარგდა და, ბუნებრივია, ძალიანაც გაიხარა: „ეს ჩემი საუკეთესო კვირა, საუკეთესო ტურნირი იყო, ოთხი საუკეთესო ათეულელი დავამარცხე. ბოლო ბურთის ჩაგდებამდე არ მჯეროდა, რომ მოგება შემეძლო.“

შემდეგ მოკლე ჩართვამდე არაფერი გეტკინოს, ტომას.

ლინცი. ავსტრია. „ჯენერალი ოუფენ“. დარბაზი, ჰარდი. საპრიზო 520 ათასი $

მეოთხედფინალი: **მარი პირსი** (1, საფრანგეთი) — ირინა სპირლეა (რუმინეთი) 3:6, 6:2, 6:2; **სანდრინ ტესტიუ** (5, საფრანგეთი) — ნატალი ტოზია (3, საფრანგეთი) 6:2, 3:6, 6:3; **ამელი მორესმო** (4, საფრანგეთი) — ბარბარა შვარცი (ავსტრია) 3:6, 7:6, 4:1 — ტრავმა; **სარა პიტკოვსკი** (საფრანგეთი) — დენიზა ხლადკოვა (ჩეხეთი) 6:2, 6:0.

ნახევარფინალი: **პირსი** — მორესმო 7:5, 6:3; **ტესტიუ** — პიტკოვსკი 6:4, 6:2

ფინალი: **პირსი** — ტესტიუ 7:6 (7:2), 6:1.

ფრანგული სპორტისთვის გასული უქმეები ნამდვილად წარმატებული იყო: რაგბის ეროვნულ ნაკრებს მხარი ჩოგბურთელმა მანდილოსნებმა აუბეს და ავსტრიაში ოთხივე ნახევარფინალისტი ამ ქვეყნის წარმომადგენელი გახლდათ.

გამარჯვება და სეზონის პირველი ტიტული კი საბოლოოდ მარი პირსს დარჩა, რომელმაც ამ კვირაში მოდური მინი-კაბების ნაცვლად კაცური შორტები და მაისურა მოირგო.

**ავთანდილ სვანიძე**



REUTERS შტუტგარტიდან

ტომას ენკვისტი

კრივი

# ნაახალწლევს გავსწორდეთო

## უთხრეს ნევადაში მაიკ ტაისონს



REUTERS ლას ვეგასიდან

ის წუთებია, მაიკ ტაისონმა ორლინ ნორისის უწესოდ წაქცევისთვის რეფერის რისხვა რომ დაიმსახურა

პარასკევს სათათბიროდ დასხდნენ ნევადის ათლეტთა საქმეების კომიტეტის მთავარი კომისრები. მათ უნდა განესაჯათ ლას ვეგასის „ემჯიემ გრანდში" ცხრა დღის წინათ მომხდარი ამბავი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მაიკ ტაისონმა გონგის შემდეგ დაარტყა ორლინ ნორისს, ამ უკანასკნელმა კი ბრძოლის გაგრძელება იუარა — მუხლი ვიტკინეო.

ამჯერად ტაისონი სასჯელს გადაურჩა. კომისრებმა ალალად მიუბოძეს მას ერთი კვირის წინათ გაყინული ჰონორარის, 8,8 მილიონი დოლარის მიღების უფლება.

კომისრებმა ასე განსაჯეს — გონგისშემდგომი დარტყმა სამატჩო ელემენტია და ბევრგზის მომხდარაო. თანაც, მათ ხელები შეუკრა რეფერი რიჩარდ სტილის გადაწყვეტილებამ: მან ტაისონს დისკვალიფიკაცია კი არ მისცა (ანუ წაგება), არამედ მატჩი გააუქმა.

თათბირიდან გამოსულმა ერთ-ერთმა კომისარმა ლორენზო ფერტიტამ კი ავად იანგლა:

„ტაისონს შეუძლია ჩაალაგოს ჩემოდნები და აღარასოდეს იჩხუბოს ლას ვეგასში".

რას ნიშნავს ეს ხუმრობა? ეს იმას ნიშნავს, რომ 2000 წლის 1 იანვარს ტაისონის ნევადაში კრივობის უფლების ლიცენზიას ვადა გაუდის. ლიცენზიის განსაახლებლად კი „რკინის მაიკი" სწორედ რომ ამ კომისართა წინაშე უნდა წარდგეს. არადა, მაიკს გვარიანად ნაღანძლი ჰყავს ნევადელი კომისრები, შემეშვანო, მაგათ რა ესაქმებათო და ა.შ.

„ჩვენ ბევრი შეკითხვა გვაქვს ტაისონთან", ეს მუქარანარევი სიტყვები კი კომისიის თავმჯდომარე ელიას განემს ეკუთვნის.

ასე რომ, ჯერ არაფერი დამთავრებულა. ტაისონი კი, არათუ ნევადის, საერთოდაც ქვეყნის გარეთ აპირებს შემდეგი ორთაბრძოლის გამართვას.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**

მთის თხილამურობა

# პირველი გამარჯვება ცუდი ნიშანია

ამ უქმეებზე საფრანგეთის კურორტმა ტინესმა სამთომოთხილამურეთა მსოფლიოს თასის სეზონის გახსნას უმასპინძლა. ასპარეზობები გაიმართა გიგანტურ სლალომში, რომლის ტრასაც გრანდე გოტეს ყინვარზე, 3440 მეტრის სიმაღლიდან გადმოყურებს ტინესს.



REUTERS ტინესიდან

სონია ნეფი

ტინესი საფრანგეთის კურორტებიდან პირველია, რომელსაც მსოფლიოს თასის შეჯიბრებისთვის უმასპინძლა. ამავე დროს ეს კურორტი მეორეა ავსტრიული სოელდენის შემდეგ, სადაც ამგვარი შეჯიბრება პირველად ჩატარდა.

აღსანიშნავია, რომ ტინესში 1992 წლის ალბერვილის ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამით ფრისტაილელთა შეჯიბრება გაიმართა.

მიუხედავად ასეთი ისტორიისა, შარშან აქ არანაირი სათხილამურო ასპარეზობა არ ჩატარებულა. თუმცა სეზონის გახსნის პატივი ტინესს წინათაც რგებია, კერძოდ იტალიურ სესტრიერეში 1994 წელს დაგეგმილი სეზონის გახსნა კაცებში უთოვლობის გამო ტინესის ტრასებზე გადმოიტანეს.

ახლა კი შაბათ-კვირას გამართულ შეჯიბრებაზე ვთქვათ. სტარტის წინ ორმა ფავორიტმა ლასე კიუსმა და ჰერმან მაიერმა ერთხმად განაცხადა, რომ სეზონის პირველივე შეჯიბრებაში გამარჯვება ცუდი ნიშანიაო. ნორვეგიელი გიგანტური სლალომის პირველივე ცდაზე გამოვარდა ტრასიდან და, ასე ვთქვათ, იღბლიანობა დაიბევა მთელი სეზონის მანძილზე. რაც შეეხება მაიერს, ავსტრიელმა ყველაფერი იღონა საიმისოდ, რომ პირველი 100 ქულა მოეპოვებინა და ამით სათავეში მოქცეოდა თასისთვის მებრძოლთა საკმაოდ გრძელ სიას. მეორე იყო შვეიცარიელი მიხაელ გრუნინგენი, მესამე-მეოთხე ადგილები დაიკავეს ნორვეგიელმა ამოდტმა და ავსტრიელმა ებერჰარტერმა.

ქალთა შეჯიბრებაში სეზონის სტარტზე საუკეთესო ფორმა აღმოაჩნდა შვეიცარიელ სონია ნეფს, მომდევნო ადგილები გაინაწილეს შვედმა ანა ოტოსანმა და ავსტრიელმა ანიტა ვახტერმა. თასის მორიგი ეტაპი 19 ნოემბრისთვისაა გათვალისწინებული.



REUTERS ტინესიდან

ჰერმან მაიერი

მოტორბოლა

# 125 — ალზამორა იტალიელთა მეორე კერპი მეორეა



REUTERS ბუენოს აირესიდან

ემილიო ალზამორა

მას შემდეგ, რაც ბრაზილიის დიდმა პრიზმა გაარკვია მსოფლიოს ორი ჩემპიონის ვინაობა მოტორბოლაში, ჯერი არგენტინასა და კლას 125 მოტოციკლებით მოასპარეზეებზე მიდგა. მკითხველს შევახსენებთ, რომ კლას 500-ში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ესპანელი ალექს კრივილე, კლას 250-ში კი იტალიელი ვალენტინო როსი.

არგენტინის რბოლებით დასრულდა მოტომრბოლთა სეზონი. უკანასკნელ რბოლას, როგორც უკვე ვთქვით, უნდა გაერკვია 125-იანებში გამარჯვებულის ვინაობა. ბრწყინვალედ იასპარეზა იტალიელთა მეორე კერპმა (პირველი, ცხადია, ვალენტინო როსია) მარკო მელანდრიმ. მან რბოლა კი მოიგო, მაგრამ ტიტულის მოსაპოვებლად ერთადერთი ქულა დააკლდა. საბოლოოდ, 227 ქულით მსოფლიოს ჩემპიონი ამ რბოლაში მეორე ადგილზე გასული ესპანელი ემილიო ალზამორა გახდა. 226 ქულით მეორეა მელანდრი, მესამე ადგილი 190 ქულით იაპონელმა მასაო აზუმამ დაიკავა.

**ირაკლი ბერიაშვილი**

ჰოკეი

NHL

29 ოქტომბერი

**ანაჰაიმი — ვაშინგტონი 5:2**

3:0 0:1 2:1

1:0 კარია 5'24(4); 2:0 სელიანე 12'21(6); 3:0 ტვერდოვსკი 19'26(4); 3:1 ბონდრა 21'21(8); 4:1 ოლაუსონი 43'25(2); 4:2 კონოვალჩუკი 47'19(2); 5:2 კარია 48'59(5)

**ბუფალო — ფლორიდა 3:2**

1:0 0:1 1:1 1:0

1:0 პეკა 5'37(3); 1:1 უიტნი 27'06(5); 1:2 მელიკანი 59'27(1); 2:2 ბარნსი 59'42(3); 3:2 სანდერსონი 63'54(4)

**კაროლინა — ნიუ ჯერსი 2:4**

0:0 1:0 1:4

1:0 კოვალენკო 24'30(2); 1:1 რაფალსკი 40'51(1); 1:2 ოლივა 42'25(4); 1:3 სიკორა 43'38(1); 2:3 ბატალია 48'38(4); 2:4 მაკეი 59'56(3)

**დეტროიტი — ჩიკაგო 2:4**

1:2 1:2 0:0

1:0 დიუშენი 4'17(3); 1:1 გილმორი 10'12(3); 1:2 მაკამონდი 10'47(2); 2:2 ჩელიოსი 22'04(1); 2:3 მაკეიბი 23'27(1); 2:4 მიური 32'37(1)

30 ოქტომბერი

**სან ხოსე — პიტსბურგი 1:1**

1:0 0:1 0:0 0:0

1:0 დამფუსი 7'37(3); 1:1 ლონგი 24'52(4)

**ვანკუვერი — ნეშვილი 4:1**

2:0 2:0 0:1

1:0 კარია 2'08(4); 2:0 ოკუანი 19'53(1); 3:0 მოგილნი 26'09(5); 4:0 კარია 29'29(5); 4:1 ტიმონენი 58'38(2)

**სენტ ლუისი — დეტროიტი 5:4**

2:1 1:1 1:2 1:0

1:0 ნეში 3'17(1); 1:1 ლაპოინტი 8'58(2); 2:1 ისტვუდი 16'00(2); 3:1 ტარჯონი 25'33(7); 3:2 დიუშენი 29'14(4); 3:3 აიზერმანი 53'37(2); 3:4 ლიდსტრიომი 55'56(2); 4:4 პრონგერი 59'25(2); 5:4 დემიტრა 60'56(5)

**დალასი — ტამპა 1:2**

1:2 0:0 0:0

0:1 ლეკავალიე 2'544); 1:1 ჰალი 7'19(4); 1:2 მოდინი 19'45(2)

**ჩიკაგო — ლოს ანჯელესი 1:3**

0:1 0:2 1:0

0:1 მიური 3'00(5); 0:2 ჩარტრანდი 27'21(1); 0:3 ბლეიკი 30'25(6); 1:3 ჟამნოვი 19'22(4)

**ოტავა — ფლორიდა 5:0**

0:0 2:0 3:0

1:0 რედენი 24'43(3); 2:0 ჰოსა 34'32(7); 3:0 მაკიჩერნი 46'29(2); 4:0 ჟიუნო 48'07(1); 5:0 ბონკი 51'04(5)

**ბოსტონი — ბუფალო 3:0**

2:0 1:0 0:0

1:0 მაკლარენი 8'46(2); 2:0 სამსონოვი 9'32(3); 3:0 სამსონოვი 35'55(4)

**მონრეალი — რეინჯერსი 2:2**

1:1 0:1 1:0 0:0

1:0 რუჩინსკი 6'22(21); 1:1 ლიჩი 19'02(1); 1:2 ნაბლი 37'07(2); 2:1 კოივუ 40'30(2)

**ფილადელფია — ნიუ ჯერსი 5:3**

1:1 1:0 3:2

1:0 მაკარტი 0'51(2); 1:1 შარიფიანოვი 15'18(1); 2:1 რეკი 35'18(6); 2:2 სიკორა 46'20(2); 2:3 მედენი 48'47(1); 3:3 კრეიგი 49'15(3); 4:3 მაკჯილისი 53'59(2); 5:3 ლეკლერი 57'11(5)

**აილენდერსი — კაროლინა 0:4**

0:2 0:1 0:1

0:1 ჰილი 8'40(1); 0:2 კაპანენი 14'59(8); 0:3 ტანაბე 21'11(1); 0:4 ონეილი 53'19(3)

**ტორონტო — კალგარი 2:1**

1:0 1:0 0:1

1:0 ბერარდი 15'44(1); 2:0 კოროლიოვი 21'58(3); 2:1 ბურე 51'13(10)

**კოლორადო — ფინიქსი 3:5**

1:0 1:2 1:3

1:0 ოზოლინში 8'03(2); 2:0 იელი 24'06(2); 2:1 რენიკი 26'06(6); 2:2 ლუმე 29'46(2); 2:3 ადამსი 44'17(3); 3:3 ოზოლინში 52'23(3); 3:4 გრინი 53'55(7); 3:5 გრინი 59'41(8)

31 ოქტომბერი

**ატლანტა — ოტავა 4:6**

2:3 1:2 1:1

0:1 ფიშერი 1'12(1); 1:1 ბრიუნეტი 2'12(6); 1:2 ბონკი 6'06(6); 2:2 ე. უორდი 13'59(1); 2:3 ჰოსა 18'49(8); 2:4 მაკიჩერნი 22'20(3); 2:5 არვედსონი 24'39(4); 3:5 შენონი 37'44(2); 3:6 ჰოსა 40'18(9); 4:6 სვარტვადეტი 59'09(1)

**ანაჰაიმი — ფინიქსი 0:3**

0:1 0:1 0:1

0:1 ლეტოვსკი 13'15(2); 0:2 დოუნი 33'08(4); 0:3 გრინი 57'46(9)

**ედმონტონი — ნეშვილი 4:2**

1:0 2:1 1:1

1:0 სელივანოვი 4'08(7); 2:0 ნიინიმა 21'26(2); 3:0 მიური 24'01(1); 3:1 ჩელბერგი 34'37(4); 3:2 ლეგვანდი 43'08(3); 4:2 გრირი 46'49(2)

**სან ხოსე — ვაშინგტონი 2:1**

1:0 0:1 1:0

1:0 სატერი 7'37(1); 1:1 კონოვალჩუკი 32'04(3); 2:1 კოროლიუკი 45'00(3)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.opentext.org.ge/sarbieli